# უცხოეთის მწერლები

# პრუდონი

---

გამოცემული

გიგო თოიძისაგან

---

თბილისი

Типографія Е. И. Хеладзе || სტამბა ე. ხელაძისა, სას. ქუჩ.

1890



# უცხოეთის მწერლები

# პრუდონი.

გამოცემული

გიგო თოიძისაგან.

თბილისი

სტამბა ე. ხელაძის. Типографія Е. Хеладзе.

1890

Дозволено цензурою въ Тифлисѣ, 20-го Января 1890 г.

# უცხოეთის მწერლები.

## I.

უდიდეს ერის წარსულს ყოველთვის უდიდესივე მომავალი ექნება. ეს მოაზრება ბევრმა უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარა, და ბევრნი-კი წინააღმდეგს ლაპარაკობდენ. საფრანგეთის ერს თავის პირველის რევოლიუციის შემდეგიდამ თავისი წარსული დიდად მოსაგონებელ სიმდიდრედ გაუხდა და ამ სიმდიდრეს მართლაც რომ თავის ჭეშმარიტი მნიშვნელობა აქვს. ამას ცხადად ამტკიცებენ ვოლტერის ღვაწლი, ჟან-ჟაკ რუსსო, დიდრო და მთელი მეთვრამეტე საუკუნის ენციკლოპედისტები. ასე და ამ გვარად: ფრანცუზების მდიდარს მეთვრამეტე საუკუნეს მოჰყვა მდიდარი მომავალი და მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ერს დაებადნენ მრავალი გამოჩენილი პირები, რომელთა სიცოცხლესთანაც შეკავშირებულია საფრანგეთის ერის გონებითი, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა და პირობები. ერთ ამ გვარ ძლიერ პირთაგანი არის პეტრე პრუდონი.

პეტრე პრუდონი დაიბადა 15 იანვარს, 1809 წელს, ბეზანსონის მახლობლად. პრუდონის მშობლები საკმარისად ღარიბი გლეხები იყვნენ, ისინი მუშაობდენ ერთს ლუდის დიდს ქარხანაში. პრუდონი პა[illegible] მეტის მეტი მახვილგონიერი ბიჭი ყოფილა. [illegible] სხვა და სხვა მიზეზების გამო პრუდონ[illegible]ებულის ლუდის ქარხნი-

დამ გადვიდა სხვაგან, ერთ ღვინის საკეთებელს ქარხანაში. ამ ქარხანაში მუშაობის დროს პრუდონის მამა კარგა ხანს დარჩა. აქ ცოლ-ქმარნი ძლიერ მუშაობდენ და ჩვენებურად რომ იტყვიან,—«დღეს ღამესთან ასწორებდენ» იმ იმედით, რომ ეგების როდისმე ერთი თავ-შესაფარი ქოხი ვიშოვნოთ სადმეო, რადგანაც პრუდონის მამის ოჯახი შვიდი-რვა სულისაგან შესდგებოდა რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მუშაკებს აღუსრულდათ წადილი —ამათ შეიძინეს ერთი პატარა თავიანთ საკუთარი ქოხი.

პრუდონის მამა ჩინებული მუშა-კაცი ყოფილა, მაგრამ ცხოვრების ანგარიშის და საოჯახო ეკონომიისა-კი არაფერი სცოდნია, რის გამოც პრუდონი ხშირად უსაყვედურებდა მას. ნაცვლად ამისა, პრუდონის დედა, ეკატერინე, მეტის მეტი მახვილი და გონიერი დედა-კაცი ყოფილა და ძალიან შორს გამსჭვრეტი თავიანთ შინაურს ცხოვრების საქმეებში. ეს დედა-კაცი თურმე დიდად მეცადინეობდა პრუდონის განვითარებაზე. ის ხშირად მოუთხრობდა ხოლმე პრუდონს თავის ბიძის, სალდათის მხნეობის და გმირობის ამბებს, და ასეთის ამბებით სწურთნიდა. დედის ასეთის მოღვაწეობის გამო პრუდონს მისი სიყვარული თვით უკანასკნელს დღემდის შერჩენია. ამან მისის სიყვარულის გამო თვის პირველს ქალს დედის სახელი უწოდა, პატივად იმ ღირსებისა, რომელიც ამ სოფლის დედა-კაცს ჰქონია თავის სხეულში გახსნილი და რომლის მოვალეობა პრუდონს სავალდებულოდ ჰქონია მიმჩნეული. პრუდონმა მეორე თავის ქალს უწოდა სახელად მარსელი, სასხოვრად და მოსაგონებლად რევოლიუციის კეთილ-მოღვაწე პირთა.

პრუდონი იყო უფროსი და მეხუთე შვილი თავის მამისა, ამის პირველის წლების ცხოვრებას მისთვის სულ უმნიშვნელოდ გაუვლია. ეს შველოდა თავის მშობლებს შინაურს სა-

ქმეებში, სხვათა შორის ძროხებს მიერეკებოდა ხოლმე სანახიროდ მინდორში. ამას გარდა სხვა ასეთ საქმეებში მუშაობდა და ეხმარებოდა თავის მშობლებს. ის იყო, პატარა ყელი მოიღერა და გახდა თუ არა 12 წლისა, ამ დროს ეს პატარა ყმაწვილი მიაბარეს ერთ ღვინის, თუ ლუდის ქარხანაში მუშა შეგირდად. ამ დროს მას დააწყებინეს მისმა მშობლებმა წიგნის კითხვის შესწავლა, პრუდონს მეცადინეობაში საკმარისად ეხმარებოდა თურმე პივა-ხანის პატრონად ყოფილი რენო, რომელსაც ერთის სასწავლებლისთვის თავის შვილებიც მოუმზადებია. ამის შემდეგ პრუდონს წერა-კითხვის შესწავლისთვის განსაკუთრებითი ყურა-დღება მიუპყრია და ეს თავის მუშაობის დროსვე დიდად მეცადინეობდა წერა-კითხვის შესწავლისათვის, სხვა და სხვა საჭირო საგნების შეთვისებაში და გამოწურთვნაში. პრუდონი ასეთის მეცადინეობით ისე განვითარდა და ისე დაწინაურდა, რომ მას არც ერთ საშვალო სკოლაში ეგზამენიის მიცემა არ გაუჭირდებოდა. ამის შემდეგ პრუდონი შევიდა ბეზანსონის სასულიერო კოლლეგიის სემინარიის მეექვსე კლასის გარედან მიმსვლელ შეგირდათ. უფ-ჟუკოვსკი ამას გემნაზიად ასახელებს. კოლლეგიაში ყოფნის დროს პრუდონს სწავლის საქმე კარგად ვერ წაუვიდა, ამას ბევრნაირი დაბრკოლება ეღობებოდა წინ და სწავლის ლტოლვილებასაც ხელს უშლიდენ. ამათი ოჯახი იქამდის შეუძლო იყო, რომ მისთვის სახელმძღვანელოების ყიდვაც არ შეეძლოთ, რის გამო ხშირად სასწავლებელშიაც ვერ მიდიოდა, უმეტეს ნაწილს-კი ეს თავის გაკვეთილებისთვის ამხანაგების წიგნებიდან იწერდა და იგი ჩინებულად სწავლობდა. სასწავლებელში, ასეთ დაბრკოლებათა გარდა, პრუდონი ხშირად მთელი დღის განმავლობაში მშიერიც რჩებოდა. ის ბევრ-ჯერ მისულა სასწავლებლიდამ სახლში მშიერი და შინაც არაფერი დახვედრია საჭმელად. ასე და ამ გვარად, იგი დილითაც მშიერი წასულა

სასწავლებელში, რადგანაც სახლში არაფერი ჰქონიათ საჭმელად და შუადღის შემდეგაც მშიერი დარჩენილა, იმ დრომდის, ვიდრე რამეს იშოვნიდენ. ამ დროს პატარა პრუდონს ბევრი რამ სულის შემშფოთი სურათი უნახავს თავის მდიდართ და ღარიბთ ამხანაგთ შორის. ამის გარჩევამ მეტად მას ცნობის მოყვარეობაც აღძრია და ამბებს ხშირად დაუფიქრებიათ იგი.

სასულიერო კოლლეგიაში ყოფნის დროს, კოლლეგიის სწავლა ვერ აკმაყოფილებდა პრუდონის სწავლის სურვილს და მეცადინეობას. ამ სიმშლის შვილს დიდი წყურვილი ჰქონია სხვა და სხვა ცოდნის შეძენის და ეს იქამდის წავიდა წინ, რომ ჯერეთ ისევ ცამეტის წლის იყო, როცა მან სკოლის სკამიდამ დაიწყო სამოქალაქო ბიბლიოთეკაში სიარული და წიგნების კითხვა. წიგნის კითხვის სურვილი იმას ისე ჰქონდა გაღვიძებული, რომ იგი მუდამ დღე რამდენიმე წიგნს ჰკითხულობდა, თითქმის ჰყლაპავდა. ეს ბიბლიოთეკარს ათს სხვა და სხვა ნაირს წიგნს ერთად სთხოვდა. ბიბლიოთეკარი გაკვირვებული იყო ამ ყმაწვილის ასეთის მეცადინეობის გამო. ერთხელ, როცა პრუდონი შევიდა ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკარს რამოდენიმე წიგნი ერთად მოსთხოვა, ბიბლიოთეკარი ძალიან გაჰკვირდა წიგნების რიცხვზე და მიტომ პრუდონს ჰკითხა გაოცებით: —«ჩემო კარგო! ნეტა რად გინდა მაგდენი წიგნები?» პატარა პრუდონს ასეთი სიტყვები ძლიერ სწყენია და მრისხანებით მიუგია: —«თქვენ რა საქმე გაქვთ!» ასეთის პასუხის შემდეგ ბიბლიოთეკარს აღარ უკითხავს მისთვის რა. ბევრს შიმშილში და ვაი ვაგლახში მყოფმა პრუდონმა, როგორც იქმნა, სასწავლებელში ცხრამეტ წლამდის მიაღწია. ამ დროს-კი სასულიერო კოლლეგიაში მას ისე გაუჭირდა ცხოვრების საქმე, რომ სკოლაში სწავლას თავი დაანება და მოურიდებლივ და თავმოწონებით სტამბაში გადვიდა შეგირდად. აქ რამდენიმე ხანი შეგირდად გაატარა და ბოლოს გახდა ასოს ამომწყობი,

რომლის საშვალებითაც ცოტა მოღონიერდა. პრუდონი სტამბაში კარგა ხანს დარჩა. ასოთ ამომწყობის გარდა აქ მან ბევრი სხვა რამ შეისწავლა კიდევ. სხვათა შორის აქვე შეისწავლა მან კორრექტურის სწორება და ბოლოს ეს შესწავლილი საქმეც გაიხადა თავის ხელობად. პრუდონს, კორრექტორად დამდგარს, ჩვენ ვხედავთ 1829 წ. ამ კორრექტორის დროს მას თურმე ბრწყინვით მიჰყავდა თავისი მოვალეობა. ამის თანამედროვე ერთი მეკორრექტურე სწერს, რომ «პრუდონი კორრექტორობის დროს სწორედ ჰქუხდა თავის სწავლითაო.» ამ კორრექტორობის დროს პრუდონმა იშოვნა იმავ სტამბის გამგეს თანაშემწეს ადგილი. ამ უფროსობის დროს იგი დიდად განვითარდა სასტამბო და საკორრექტურო საქმეებში; სხვათა შორის აქ იგი ასწორებდა სხვა და სხვა თეოლოღიურის შინაარსის წიგნებს. ასეთი წიგნების კორრექტურის გაცნობამ იგი ერთობ წინ წაიყვანა. უკანასკნელს ხანში მას მიანდვეს ფრანგულის «დაბადების» კორრექტურა, რაის გამო მან ურიულის ენის შესწავლასაც მოჰკიდა ხელი, რადგანაც ეს ამ ენას წინეთაც სწავლობდა. ფრანგულის თარგმანს დაუწყო ურიულს დედანზე შეთანხმება და შედარება, რაის გამო ურიული ენაც ხეირიანად შეისწავლა. რადგანაც პრუდონი ისეთ თანამდებობაში იყო, რომ მას სხვა და სხვა ენების შესწავლა საჭიროდ უხდებოდა, ამიტომ ამის შემდეგ მან მოჰკიდა ხელი შედარებითი ლინგვისტიკის შესწავლას. ამ დროს პრუდონმა თავზე თმა დაიყენა თურმე და სხვა ფრივაც შეიცვალა. პრუდონმა ლინგვისტიკას დიდი ყურადღება მიაპყრო და მისთვის საყურადღებო საკითხავად შეიქმნენ ჰუმბოლდტი, ბოპი, ბიურნუფი და სხვანი. მან მცირე ხნის განმავლობაში ლინგვისტიკაზე საკმარისად იმეცადინა და იმის შესახებ წერილებიც დასწერა, რომლებიც თავის ანალიზით და ღირსებით წმიდა მეცნიერულს თხუზულებად ჩაითვლებიან-

ზოგი-ერთნი უწყიან, რომ პრუდონს ვითომც ენათ მეცნიერების სიყვარული სემინარიაში ყოფნის დროსვე შთანერგია გულშიო. ეს დაუღალავად თავს აკლავდა ბერძნულს, ლათინურს და ურიული ენების შესწავლის საქმეს. ამ გვარის მეცადინეობით ენათ მეცნიერების სწავლაში ეს ღრმად განვითარდა. ამ ენების შესწავლის საშვალებით პრუდონი ერთი ენის სიტყვებს უდარებდა მეორეს, მესამეს და ასე და ამ გვარის მეცადინეობით ის ზედ მიწევნით არჩევდა ერთის ენის ნათესაობას მეორე ენასთან და მეორეს მესამესთანა. ამ ხანებში პრუდონმა ბევრს სასულიერო მწიგნობარ პირებში განითქვა სახელი, რომელ პირნიც სტამბის საქმეებთან ახლოს იდგნენ. ამ დროს ეს ისმენდა ბურნუფის კურსს. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს განშორდა ფილოლოგ-ბერგმანს. ამის შემდეგ მან შეადგინა ერთი ფილოლოგიური თხუზულება. ამ თხუზულების გამო მას ბევრი სასულიერო მწერლები ემადრიელებოდენ. ამათისავე დახმარებით პრუდონმა მოახერხა და 1838 წელს შევიდა ბეზანსონის აკადემიაში პანსიონერად. ამ აკადემიაში ყოფნის დროს პრუდონს დაუნიშნეს პენსია.

აკადემიის პენსიის მიღების გამო პრუდონს აკადემიის სამმართველოში უნდა წარედგინა თხოვნა, რომელიც დაწვრილებით და დალაგებით უნდა ყოფილიყო დაწერილი. პრუდონს გარდა უქვსს კიდე სხვებს ჰქონია თხოვნები დაწერილი. როგორც სჩანს, პრუდონს ამ შემთხვევაში ზოგიერთი აკადემიკებიც დახმარებიან და თხოვნა მიუცია მას აკადემიის საქმის მწარმოებლის თვის. ამის თხოვნა მიუღია, წაუკითხავს და ცოტა არ მოსწონებია, რადგანაც მასში აწერილი ყოფილა ის, თუ პრუდონი სად აღიზარდა და სად რა სწავლა მიიღო. სეკრეტარს უთხოვნია, რომ შესცვალე ის ადგილი, რომ ვითომც შენ აღზრდა და სწავლა მუშა ხალხში მიგიღიაო. ჩასწერე

თუ დღეს რომელ ხალხს ეკუთვნი სულით, ხორცით, სამსახურით, მიმართულებით და რომელ ხალხის პატივისცემის და სამსახურისთვის სცხოვრობო. პრუდონმა შესცვალა ეს თავის თხოვნაში, თუ არა, ეს არ ჩანს. იმ სიტყვების გამო, რომლებიც პრუდონს უთხრეს, რომ შესცვალეო, მას აკადემიის ზოგიერთი პირები დაეხმარენ და ესენი ამტკიცებდენ, რომ სიტყვა «მუშა»ს პრუდონის მოღვაწეობისათვის წმინდა მეცნიერული ხასიათი აქვს. აქ საეჭვო და საფიქრელი არაფერია: თუ ეს კაცი მართლა «მუშა ხალხის» დასს ეკუთვნის და თქვენს წინაშე იგი ამ მუშა ხალხის* წარმომადგენელია,—ეს უფრო უკეთესია, რადგანაც პრუდონი ამ თავის მოძმე მუშა ხალხის ბედნიერების და გონებითი გახსნის გულისთვის დაუღალავად იმუშავებს მეცნიერებაშიო. ამ წერილს გარდა სხვა წერილები სულ თავისუფლად იქმნენ განხილული და მიღებული აკადემიის მმართველობისაგან. ამის შემდეგ ბეზანსონის აკადემიის რჩევამ დაავალა პრუდონს, რომ მას თავის ცხოვრების შესახებ დაწვრილებით ეამბნა და გაეცნო. ეს პრუდონს ერთის მხრით არ ესიამოვნა, მაგრამ მეორეს მხრით მეტი გზა არ ჰქონდა. გააცნო. ვიდრე პრუდონის წერილებს განიხილავდნენ და პრუდონს პასუხს მისცემდენ, მანამდის მას თურმე ბევრ ნაირს ამბებს ასმენდენ, რომელთა მეოხებითაც შენ არ ამოგირჩევენო. ზოგი ეუბნებოდა, რომ შენ ხანში ხარ შესული და ამიტომ არ ვარგიხარ კანდიდატურის ასპარეზზეო. ზოგი ეუბნებოდა, რომ შენ პროტესტანტის სარწმუნოებისა ხარ და ამიტომაო. ზოგი კიდევ ეუბნებოდა, რომ, შენ ურწმუნოებო კაცი ხარ, მაგრამ მასთანვე დიდი გაფრთხილება და კრძალულება გაქვსო და იქამდის წმინდა ხარ, რომ შენ შენს ფილოლოგიურს საგრამატიკო შრომასაც უარს ჰყოფო. როგორც სწერს თვით პრუდონი, მისი წინაღმდეგნი ყოფილან ყველა უსქირო პირები, თორემ ხეირიანებს ამის მხარე ჰკავე-

ბიათ. ამორჩევის შემდეგ პრუდონი ერთს თავსს მეგობართან მიწერილს წერილში სწერს, რომ «მე ყუგვე ამომირჩიეს. ასე და ამ გვარად, დღეის შემდეგ ჩვენ უნდა ვიქნეთ ერთგულნი და პარტიოსანი ჩვენის ერის საქმისა. ვიქმნებით ერთად და დავიხოცებით ერთადვე შეუსყიდველნი და შეურყეველნი» ამორჩევის შემდეგ პრუდონს მრავალი მოკითხვისა და მოლო-ცვის წერილები მისვლია. ამბობს პრუდონი, რომ «წერილებით ზოგი დიდს ჯამაგირს მილოცავდაო, ზოგი დიდს ღირსებას და ზოგი პაგონებსაო, მაგრამ არც ერთმა იმათგანმა არ მითხრაო, რომ — »პრუდონ! შენ პირველად უნდა მიეცე დაბალ ერის საწყალ პირთ განთავისუფლების და განათლების საქმეს. შენ, იქნება, გულში შთაინერგო სიმტრე და სიძულ-ვილე მდიდართა და შეძლებულთა მეოხებით, რომელთაც ხელ-ში უპყრიათ გასაღები და კარი მეცნიერებისა. მაშინ ეგენი შეგაჩვენებენ და დაგწყევლიან შენ, მაგრამ შენ ამაებს ნუ შეუშინდები. შენ განაგრძე შენი რეფორმატორობის გზა. ათას ნაირს ცილის წამებაში, ჭორებში და თითქმის თვით შენს სიკვდილშიაც გრწამდეს შენი დანიშნულება. გეშინოდეს, რომ ოდესმე არ იწამო უსამართლობის ნაყოფი სიტკბოება.

**и золотыя цѣпи раба славному мученичеству апостола!**

შენ თუ დაგცემს ხალხის სიმდიდრე, შენ თუ გაგაუნამუსოებს მათი უნამუსოება, შენ თუ გადაგაბირებს ერის სისაძაგლე, შენ თუ ხარ შვილი ერისა, როგორც ამბობდენ ოდესმე იესო ქრისტეს შესახებ, ანუ უარს ჰყოფ შესს უმთავრეს ჭეშმარი-ტებას, შენს დედა აზრებს, შენს მიმართულებას, შენს რწმუ-ნებას, სინიდისს და ნამუსს, მხოლოდ მისთვის, რომ შენ გახდე ბედნიერი იმათ თუ ამათ ცხოვრების მზგავსად! მაშინ შენ იქმნები გასაკიცხი. შენის აზრების და მიმართულების მმათა ყურადღება შენზეა მოქცეული, ესენი უცდიან თავიანთის გაცივებულის და გაყინულის გულით, რომ ამათ ხომ არ

მოუხდებათ შენი მიმართულების დატირვა, დატირვა იმ კაცის მიმართულებისა და დედა აზრის, რომელიც გუშინ ან გუშინის წინ თავის დაჩაგრულთ და ილაჯ გაწყვეტილს ძმებს საფრანგეთის ცარიზმისაგან ჰპირდებოდა, რომ მე ჩემის მიმართულებით და რეფორმატორობით დაგიხსნით თქვენაო. ამ დაჩაგრულთ და შეწუხებულთ შენთვის არაფერი აქვთ საჩუქრად. ამათ შენს საჩუქარს შეადგენს მხოლოდ შენის სახელის კურთხევით მოგონება. დაჩაგრულის ერისაგან ასეთი მოგონება უფრო ძვირფასი იქნება, ვიდრე ოქროთი და ვერცხლით შემოსვა მბრძანებელთა და მფლობელთაგან.»

«მე ძლიერ მტანჯვენ ჩემს გარშემო მყოფთ ჩემთ მოძმეებთ დავალებანი. როგორი მხურვალებით მიდრეკილება სუფევს მათში კეთილ-ცხოვრებისადმი, ჩვენა გვრწამს სიმართლე ჩვენის დედა აზრების და მოძღვრების საუკუნოდ ჩვენის დოგმატების. ნუ თუ ჩვენ არა გვაქვს ჩვენი ნება და უფლება, ნუ თუ ჩვენ ვერ გამოვუზრდით ახალ დროის ქვეყანას ახალ თაობას სულით და სარწმუნოებით დაუცემულს და კისერს მოუდრეკელს? ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ მართალნი და ჭეშმარიტნი ვართ, სარწმუნოება ჩვენი არის თანასწორობის ნიშანი და ჩვენი მაგალითი იქნება, რომ შევცვალოთ დედა მიწის პირზედ ხალხის უსწორო ცხოვრება.»

აკადემიაში პენსიის დანიშვნის შემდეგ პრუდონმა მეორე ნაირს შრომას მოჰკიდა ხელი. ამან საპრემიოდ გადააკეთა თავის პირვანდელი ფილოლოგიური საგრამმატიკო შრომა. ამ შრომას უწოდა მან: «Изслѣдованіе о грамматическихъ категоріяхъ и о нѣкоторыхъ источникахъ Французскаго языка.» ამ შრომის გამო მას პრემია არ მისცეს, მაგრამ მოწონებითი-კი მოუწონეს, რადგანაც იგი ჩინებულად და ჭკვიანად შეიცავს ურიული ენის მეხანიკურს ანალიზსა. ავტორს მხოლოდ ის შეცდომა მოსვლია, რომ იგი ბევრს

გამოსაცნობს მისახვედრს ცნობებს მისცემია და ხშირად იგი შედარებითი მეტოდს უარს ჰყოფსო. პრუდონის ასეთმა შრომამ აკტის შემდეგ უარი მიიღო, მაგრამ პრუდონს ეს არ სწყენია. ამის შემდეგ ასეთს შრომას თითქმის განშორდა და აღარ მიჰკარებია სიკვდილამდის. ამის შემდეგ პრუდონმა მოჰკიდა მეორჱ შრომას ხელი, ეს შრომა იყო «მსჯელობა კვირა-უქმი დღის სასარგებლოდ.» ეს საგანი ბეზანსონის აკადემიამ საპრემიო ტემად გამოაცხადა მოწაფეებში. პრუდონის თხუზულება წაკითხულ იქმნა და მოწონებული, თუმცა პრემიაკი არ მისცეს, მაგრამ მის მაგიერ მას დაუნიშნეს მისაღებად წერილის სიკარგისგამო სამახსოვრო მედალი. **1839** წელს **17** აგვისტოს აკადემიის კრების ერთმა მწევრთაგანმა აბბატ დონეიმ ისაუბრა პრუდონის შესახებ და არ უარ ჰყო წერილის ღირსება და პრუდონის ნიჭიერება. მაგრამ იმავე დროს ჰკიცხავდა და ესაყვედურებოდა მას, თავისუფალ თეორიის გამო და განსაკუთრებით იმას, რომ პრუდონი ეხებოდა კითხვებს საპრაკტიკო პოლიტიკის და სოციალურს დაწესებულებას.

ბეზანსონის აკადემიაში ყოფნის დროს პრუდონი ცხადად დარწმუნდა იმაზე, რომ ამისთვის აკადემიის დახმარებას მაინცა და მაინც არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა, როგორც ჰფიქრობდა პრუდონი და მრავალნიც სხვანი. ამ დახმარების გამო მას თითქმის ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული და სამწერლო მუშაობის დროს ვეღარ იცლიდა. ამის ასეთ გაჭირვებას ის უფრო აორკეცებდა, რომ მან სტამბის გამგეობის დროს სხვა და სხვა მიზეზებისა და შემთხვევისაგან ბევრი ზარალი ნახა. აკადემიის დახმარებიდამ იგი სტამბის ვალის სარგებელს სწყვეტავდა, მაგრამ მაინც სულ ვერ გადასაყვიტა,—ასეთი დიდი—ყოფილა მისი ზარალი. აქ ყოფნის დროსაც-კი სტამბა ისევ მის კისერზე ირიცხებოდა პირობისამებრ და ზარალის

მეტსკი ეს აქ სხვას არას იძენდა. სტამბის საქმე და ვალი იმას გულზე სიპ-ქვასავით აწვა. ამ ვალმა ჩაჭყლაპა პრუდონის რამდენიმე ხნის მონაგარი და ძალა. 1839 წ. პრუდონი გადასახლდა პარიჟში, მაგრა ბეზანსონის აკადემიის საქმეები აქაც არ ასვენებდენ მას. აკადემიამ თავის მოვალეობად ჩათვალა პრუდონზე და მის ცხოვრებაზე თვალ-ყურის ჭერა და მიტომ პარიჟში ყოფნის დროს აკადემიის დავალებით პრუდონს თვალ-ყურს ადევნებდა იმ დროის ფილოსოფოსი დროზე. ამ კაცისთვის უნდა ეძლია: პრუდონს თავის დღიურის დაწვრილებითი ანგარიში. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ იმას, თუ ასეთი ანგარიშის მიცემა პრუდონისთვის რა უნდა ყოფილიყოს, გარდა ამისა თვით ფილოსოფოსი დროზეც არ იქმნა კაი მდგომარეობაში ჩავარდნილი, როცა ამან პრუდონის პირველ დღის ანგარიშის მიცემიდამვე გაიგონა, რომ პრუდონი სიცოცხლე და სიკვდილის გამო ომს უცხადებს ცივილიზაციასო, იმ აზრით, როგორც ესმით მრავალთო.

ბეზანსონის აკადემიიდამ წასვლის ცოტა წინედ პრუდონმა დაბეჭდა თვის სტამბაში მსჯელობა «კვირა უქმის დღის შესახებ» ეს წერილი პრუდონმა არამც თუ აკადემიის რჩევის ბრძანებისამებრ გადააკეთა და ზოგიერთი სიტყვები შესცვალა, არამედ იგი უფრო მკაცრის მიმართულების გახდა და უფრო უკიდურეს სასტიკი დანიშნულება მისცა. ამ წიგნის გამოსვლამდის პრუდონი ამბობდა, რომ «ბრძოლა ცხარე მომიხდებაო,» მაგრამ მე ამას არ შევუშინდები, მის შემდეგ მე წინ წავალ და უკან დახევა ჩემგან ყოვლად შეუძლებელიაო. წიგნის დაბეჭდვისა და გამოცემის შემდეგ მართლაცა და ბეზანსონის სამღვდელოება წინააღმდეგი გამხდარა, «პროტესტი» გამოუცხადებიათ, წიგნების გასყიდვა ყველგან აუკრძალავთ და პრუდონის დედა აზრების და წიგნის წინააღმდეგ პასუხი მოუმზადებიათ. სამღვდელოება თვის მსჯელობაში და პასუხში

პრუდონის ნიჭს და ტალანტს არ უარ ჰყოფს, მხოლოდ მის იდეია არ მოსწონდათ,—ამაზედ ჰკიცხავდენ და ემდურებოდენ. იმ დროის რესპუბლიკელებს-კი ეს მოვლენა ძლიერ გაეხარდათ. რადგანაც მათ იპოვეს და ნახეს ერთი ახალი თანამოაზრე. პრუდონს ზოგიერთნი მცნობნიც ესაყვედურებოდენ. ესენი ეუბნებოდენ: თავი დაანებე საპოლიტიკო კითხვებსო, მოგვეცი ჩვენ მეტაფისიკაო. მორალისტები ეუბნებოდენ თურმე: დაანებე თავი რესპუბლიკას, მონარხიას, სამღვდელოებას და სხვებსო. პრუდონი ამბობს, რომ ამ პირებთ სურთ, რომ მე ჩემს ფილოსოფიურს მიმართულებას და მოღვაწეობასკი ვადგეო; მხოლოდ იმ პირობით, რომ არ ვილაპარაკო და ვისაუბრო სარწმუნოებაზე, ღმერთზე, საზოგადოებაზე და სხვებზე. მე უნდა გავუდგე მხოლოდ მშრალს მეცნიერებას და მხოლოდ მკვდარის მეცნიერებისთვის ვიმუშავო. ასეთის მკიცხველ და დამრიგებელ სამღვდელო და სხვა პირებთ გარდა ყოფილან მრავალნი ისეთნი პირნიც, რომელნიც თურმე პრუდონს ცუდად უცქეროდნენ. გაზეთ «ნაციონალში» პრუდონზე საუბარი ასტეხეს და მას თითქმის იეზუიტი უწოდეს. ურჩევდენ ამას, რომ ასეთის კითხვებისათვის თავი დაენებებია და განშორებიყო. რასაკვირველია, ამისთანა აზრები უმეტეს ისეთ პირებში იბადებოდა თურმე, რომელნიც პრუდონის წიგნის სათაურს აქცევდენ ყურადღებას და აქიდან ადგენდენ მის შინაარსის შესახებ ცნობებს. იმათ უმეტეს ნაწილის ეგონათ, რომ პრუდონი ნამდვილი იეზუიტიაო. ამ დროს მის კალის რიცხვმა სხვა ნაირი მიმართვა მიიღო. პრუდონი-კი დიდად მეცადინეობდა თურმე, კითხულობდა, სწერდა და საუბრებს ჰმართავდა. ამ ხანებში პრუდონი მეტის მეტ გაჭივრებაში ჩავარდა და მის გამო მას ბევრჯელაც უგმია თვისი სიცოცხლე და ხანდისხან მას გულში ქურდობის სურვილიც გავლია, მაგრამ არა, ეს ასეთს სურვილს არ დამორჩილებია. წადილს გონება ვერ

დაუმორჩილებია და ისევ წადილს მოუხრია გონების წინაშე მორჩილების მუხლი. ეს ასეც ემართებათ ყოველ დიდ ბუნებოვან მამულის შვილებს და მათი წადილი მხოლოდ მაშინ ისხამს ფრთებს და გონებას არ ემორჩილება, როცა ეს საზოგადო საქმეების დამცველ პირებს შეეხება და სხვა ამ გვარებს. თუმცა ასეთ ქურდობაში პრუდონს გასაკიცხი არა უნახავს რა რადგანაც იქ მყოფთ სიმდიდრის შემძენთ „ჩუმად და წყნარად უქურდავთ და უხვეპამთ ერი. ასეთი გაჭირვება პრუდონის სხეულს უფრო ამაგრებდა. ეს თურმე არაფერს უხრიდა თავს, არც ლაპარაკში, არც მოქმედებაში და არც სხვა ფრივ. ეს ყველაფერს ისეთის სიმართლით და პატიოსნებით ეკიდებოდა, როგორც შეეფერება და მოეთხოვება ყოველს პატიოსანს და მართალს პირს. მცირე ხნის შემდეგ-კი ამას მუშაობა აღარ შეეძლო, თუმცა მუშაობას თავს არ ანებებდა და მის საშვალებით იკლავდა თავის მწუხარებას. პრუდონის ამ დროის ცოდნა, მაღალი მოაზრება და შორს გამჭვრეტელობა ზღვასსაებრ ღელავდენ, მომავალის ბედნიერების იდეალებს ამის თავში განუწყვეტლივ ეკავათ ადგილი. ამ დროს მას ჩაენერგა თავში იმ შესანიშნი თსუზულების დაწერის საგანი, რომელიც კაცობრიობას ოდესმე გზაში დახვდება საღმთო კალის მზგავს ასასრულებლად და რომელსაც, «საკუთრება» ეწოდება. ასეთის მოაზრების გამო პრუდონს ბევრნი დასცინოდენ, ზოგნი იძახდენ, რომ პრუდონი უიდეიო აგიტატორიაო, ზოგი რას სწამებდა და ზოგი რასა, მაგრამ ყველა ეს პირები იყვენ ნამდვილი და უსაგნო ცრუ ლიბერალები, რომლებიც ამ გამოჩენილის კაცის ნიჭს და ძალს სულ არაფრად სთვლიდენ. პრუდონს ესეთი სულის მომწამვლელი და მომ-[illegible]ელი წუთები ელობებოდენ წინ იმ დროს, როცა ეს უმეტეს [illegible]ს მშიერი ატარებდა, მის გულში ცრემლის გუბე [illegible] და გადმოდიოდა. ამავე დროს ეს გამოჩენილი ბოძი, ანუ

უძლიერესი პირი და აზროვნების გმირი სდგას გულ ამაყად, შეურყევლად, მის გულის ძლიერებას უფრო უძლიერესი და უშესანიშნავესი ძალა ეთვისება და იგი ხდება ერთს უდიდეს გულგაუტეხელ და დიდს მცოდნე განვითარებულ პირად. შიმშილისაგან გაზრდილი და გაწურთვნილი პირი უფრო მტკიცედ იცავს თავის დედა აზრებს, იგი საუკუნო მფლობელი ხდება ამისი. ამის მეოხებით უფრო იღვიძებს მრავალ ნაირი ცოდნა და იგი ამ დროს გულს მოდგინებით მოღვაწეობს, რომელ ღვაწლიც მიმართულია პირდა-პირ ერის ბედნიერ მხარეების მსხვერპლად. პრუდონი აზროვნებს ამ დროს, რომ მთელი ამ დროის განვითარების ძალა, მეცადინობა, ფილოსოფია, უდიდეს პირთ ტანჯვა, ათას ნაირი ბრძოლა და კამათობის დედამიზინად უნდა იყოს ერთი რამე, ეს ერთი რამე არის ის, რომ დედამიწაზედ უსწორო თანასწორობა მოისპოს და როგორც ერთი სცხოვრობს ბედნიერებით, მოსვენებით და სარგებლობს, ისევე მეორეც ისარგებლოს. მთელი კაცობრიობის ძალა და თვით სულის მაჩების ღაღადება და ლოცვებიც კი ამისკენ უნდა იყოს მიმართულიო. კაცობრიობამ თავის რეალურის გონებით განვითარებასთან თანვე უნდა პოზიტიური, თავისუფლება, თანასწორობა და ყველა ერის ერთად აღიარებს და ერთნაირი ცხოვრების ნათლის მოფენას უნდა ქებდესო. უამისოდ ყველაფერი ტყუილი არის და ამაოდ დარჩებაო. ამას ჰფიქრობდა ეს და ამიტომაც ჩააფრინდა ასეთ კითხვების შესახებ წერას.

როცა პრუდონი თავის სიღატაკისაგან დიდად შეწუხებული იყო და აღელვებული, ამ დროს მას უხდებოდა მზერა ბევრს ისეთ საქმეებზე, რომელნიც იზიდავდენ მის უმთავრეს ყურადღებას. ეს საყურადღებო საგანი არის ის, რომ პარიჟში სამოცდა ათი გაკოტრება მოხდა, მარტო ერთი თვის განმავლობაში. ფულის რიცხვი ექვს მილიონამდე შესდგებოდა.

ფულის ზომაც სამოც მილიონამდის ყოფილა. «კურთხეული საკუთრება!“ —, გაკვირვებით ამბობს პრუდონი: ხალხი სიღატაკეში ვარდება, ამან მიმატა ისეც დიდს პროლეტარის რიცხვს პროლეტარია და აქ პაუპერიზმაც იჩინა თავი. გაკოტრებულ და გაღარიბებულ ხალხს სხამენ ციხეებში, რადგანაც ესენი იწყებდენ ავაზაკობას და ქურდობას. ამ დროს-კი 5000 ფრანკს უნიშნავდენ ქორწილის საჩუქრად გერცოგ ნემურელს. ასევე უნიშნავდენ მას თვის შენობათ შესაკეთებლად და სხვ. ასეთია სახელმწიფო წესები და მის წარმომადგენი. ასე ზრუნავენ თავიანთ ქვეყნის და ერის ბედნიერებისათვის! რა ბედნიერება და სიყვარულია და! ხალხის უმეცრებით და გაუგებლობით უმეტესი ერის ნაწილი მონად გაუხდიათ, ამათთვის მათ ყველაფერი წაურთმევიათ, საკუთრება, უფლება, ღირსება და ხმა, თვით ამაღლებულან მათზე, განისვენებენ სიამოვნებით, ამ დამონებულს ერს სწოვენ სისხლს და ამას ეძახიან ესენი მამულის სამსახურს. კაი ნამუსის მქონი გმირები უნდა იყვნენ ეს შვილები! — ამ დროს ბატონები თავიანთ მოსამსახურეებს უკლებდენ ჯამაგირებს, მექარხნეები — მუშებს და ასე და ამ გვარად სხვანიც მრავალნი. ასეთ მოვლენათა გამო ლაპარაკობდენ მრავალნი, რომ აი დღეს მოხდება აჯანყება და აი ხვალაო, აი შემოდგომაზე და აი გაზაფხულზეო. შიში ყველგან იდგამდა ფესვებს და უფრო შეძლებულ ერსაც ეშინოდა ძლიერ. კარლისტებმაც დაიწყეს ერთად შეკრება, შეერთება და მოლაპარაკება, — ამათ უფრო დიდი იმედი აქვსთ. ერთის სიტყვით, ამ დროს ერთი პატარა ბიჭიდამ დაწყობილი უდიდეს მინისტრამდის სულ ფულზე ლაპარაკობდენ. ყველას თურმე შიმშილისა ეშინოდა და გაკოტრების და მისაგან ფეხების გაჭიმვისა. ყველა ასეთ მოვლინებისაგან პრუდონი გატაცებული იყო და მის-შორს გამჭვრეტელობას და ცოდნას ეს საკვირველად არ მიაჩნდა. იგი ამას თითქოს გულ-

გრილად უცქერდა და რიდასიც დასაწყისად თუ ნიადაგად სთვლიდა. ეს მხოლოდ სასტიკად სწუხდებოდა იმისაგან, რომ მას ხშირად უხდებოდა მზერა და აღნიშვნა იმისი, რომ ამ უბედურების დროს, როდესაც ჩვენის ერის უმეტესი ნაწილი თჳსის მდგომარეობით განწირულებამდის არის მისულიო, როდესაც ამათი ცოლ-შვილი და დედ-მამანი შიმშილისაგან დაღალულნი მწარედ იტანჯებიან და სასტიკის მონებისაგან ამის შესახებ სიტყვის თქმაც არ შეუძლიანთო, ამ დროს-კი მრავალს უდიდეს ადგილებში ბანკეტი ბანკეტზე იმართებაო, მრმვალი სიამოვნების შვილები იქ კუჭზე სძღებიან, ქეიფობენ და დანარჩენს დროსაც გამოძინვას და დასვენებას ანდომებენო. ასეთ ოცნებებში იყო პრუდონი გართული და ჩავარდნილი და ამხანებში იგი უკვე მოეწყო თავისაგან წინეთ არჩეულის საგნისადმი თხუზულების წერას «საკუთრების» შესახებ, რომლის გამოჩენაც საკმარისად შესანიშნავს მოვლენას შეად-გენს, როგორადაც ამ ახალს ცხოვრებაში, ისევე ახალს აზ-როვნებაში და ბევრს კიდევ სხვებში. 1840 წლიდამ პრუდონმა დაიწყო ამ თხუზულების წერა. ამის წერას იგი მეტის-მეტი ბეჯითად ჩააფრინდა, ეს მისაგანაც ასევე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამის შესახებ საუბარი და სჯა იმ დროს მეტის-მეტი საფრთხილო და მოსარიდი იყო, როგორც მმართველობის წინაშე, ისევე მეცნიერების და სხვების, რადგანაც «საკუთრების» შესახები პირობები ამ დროს ერთობ ძნელს მდგომარეობაში იყო მოთავსებულიო. მართალია, ეს აზროვნებაც პრუდონის-თვის მშიერ აზროვნების ხანად ჩაითვლება, მაგრამ რა კი ის თავის უმეტეს ნაწილს «საკუთრების» განსაზღვრის მსჯე-ლობაში და აზროვნებაში ატარებდა, ამიტომაც მას ისე მალიანაც ბევრი დრო არ რჩებოდა, რომ მის მეოხებით ფაშვის შიმშილიც ედარდნა.

33855

ისიც კი უნდა ითქვას, რომ პრუდონს თავის გაკვირებას და სიღატაკის ცნობები არას დროს არ ამოშრობია, თავიდამ ცხადი საქმეა, რომ ასეთ გაკვირებასაც არა მცირედი გავლენა ექნებოდა პრუდონის ამ თხუზულების უკიდურესის ხასიათების მიცემის და განმარტებისთვის. ერთი უმთავრესი კითხვა, «საკუთრების» შესახებ, რომელიც ირჩევა ამ თხუზულებაში და სადაც დამწერს გამოჰყავს ორნაირი ერის დოვლათის უფლებით მხარეები, აქ ხმობილ ერთ უდოვლათო და უსახელ-კარო უმიწა წყლო პირისთანა ლატაკს მდგომარეობის მსგავს მდგომარეობაში თვითონ პრუდონისა. მიტომაც იყო, რომ ეს შიშის მოურიდალი პირი, სიღარიბის შვილი იმას ჭაზროვნებდა, რომ მე უსიკვდილოთ უნდა მივსცე ქონებათა თანასწორობის შესახებ ბჭობას დასაწყისიო. მე, მთელი ჩემი ძალა, გონებითი განვითარება და უღრმესი განსჭვრეტა იმას უნდა მოვანდომო. მე უნდა მოვესწრო ამის აღორძინებას და ამის გაბრწყინვებასაო. თუ ეს ასე არ ვქენი, მაშინ მკვდარი ვიქნები, მაშინ მე მომიხდება მკაცრის გლოვით და ცხარის ცრემლით ჩემი დედა ჭაზრების დატირვა, ეს იქნება ჩემი უმთავრესი ნაღველი და ეს გახდება ჩემის სახმილის ალათ. ასეთს ჭაზროვნების უფსკრულში მყოფმა პრუდონმა თავის თხუზულების ერთი ტომის დათავებას ვერა მოასწრო. საქმე გათავებაზე მივიდა, ახლა ამ დროს ამას მოემატა ერთი კიდევ სხვა საფიქრელი, ეს იყო «საკუთრების გამოცემის საქმე, სხვისაგან მას გამოცემის იმედი არ ჰქონდა, რადგანაც ასეთი წიგნის გამოსაცემად ბევრს ვერავის ნახავდა, მეტი გზა არ ჰქონდა, ისევ თითონ უნდა ეზრუნა გამოცემისათვის, მაგრამ საიდამ. ბოლოს პრუდონმა გამართა ხელის მოწერა, ხელის მოწერაში მოიხსენა, რომ ამ თხუზულებაში «საკუთრების» შესახებ თავის უფლად იქმნება მსჯელობაო. ერთ დღეს 50 ხელის მომწერი იშოვნა. ამ წიგნის გამო-

პრუდონი სწერს ერთ წერილში, რომ «მე უნდა უსიკვდილოთ მოვკვლა უთანასწორობა და საკუთრება. ან მე უნდა ვიყვე დაცემული და ან იგი ველარ გაიმართება მოხვედრისაგანო» ამის შესახებ დარღვევა და დალეწვა პრუდონს თავის აღსარებათ აქვს.

ფიქრობდა, რომ საკუთრების დაჩემებითი ხდება თვით თანასწორებრივი საკუთრების დარღვევაო. პრუდონს სწამებდენ ამის გამო ბევრ ნაირს რამეს და კომუნისტობას. ზოგნი ამბობდენ, საკუთრება თუ ასე განაწილდაო, რომ შემდეგ პატრონთ სრულ უფლება ქონებათ, რომ მათ საკუთრებას არავინ შეეხოვო, თუნდ იმ დროს, თუ მათ ოჯახის წევრნი დახოცნენ და მხოლოდ ერთი ვინმე დარჩაო; ეს კომუნის წინააღმდეგიაო. ესე იგი პრუდონს სულაც არა სწამს და აქვს თვის თხზულებაში მიღებული კომუნისტიურის ჭაზროვნების თანახმად თანასწორებრივ დიდა აზრები და მხარეებიო. ეს პრუდონის პირდაპირს ავაზაკურს მოძღვრებას შეადგენსო. მაგრამ განა შესაწყნარისია ეს, რომ პრუდონს თავის აზრები, რომელიც მას «საკუთრებაში» აქვს გატარებული, რომ ესენი ავაზაკურს რამეს ეხლოვებოდენ და ეთანხმებოდენ, ეს ყოვლად უპატიოსნოა და შეუწყნარებელი. შეიძლება ამას რამე შეცდომითი მხარეები აქვს აქ მიღებული, რომელთა გარკვევა და გარჩევა ამ უდიდეს მჭევრ მეტყველს ხეირიანად ვერ მოუხდა, ვინ იცის. ეს თუმცა «საკუთრებას» უარ ჰყოფს, მაგრამ მის «საკუთრების» უარ ყოფა როდი წარმოადგენს ისე, რომ ვითომც ეს სრულიად უარს ჰყოფდეს საკუთრების მნიშვნელობას. ამას მხოლოდ ის სწამს, რომ ერის რიცხვის კვალობაზე ხეირიანს მატემატიკურის ცოდნით განაწილებულ იქმნეს მიწათ მფლობელობის საქმეო და ყველას ერთნაირად და თანასწორად მგავოთ იგიო. ეს — თუ იქნებოდა, მაშინ ამის შემდეგ პრუდონი არც ერთ პირის საკუთრებას არ ეწინააღმდეგებოდა, აქედამ

ცხადათ სჩანს, რომ პრუდონს სულაც არ სდომნია ისე «საკუთრების» მოსპობა, როგორც ზოგნი სწამებენ მას. პრუდონი თავის წიგნში ასე ფიქრობს, რომ—«ჩემი საკუთრების დაჩემება იმას ნიშნავს, რომ მე სხვას რაღაცა უნდა წავართოვო, ან მოვსტაცოვო, თუ ამ დროს ერის რიცხვისთვის საკუთრება იმდენია, რომ ეს ყველას ჰყოფნის იმ დროსაო და არავინ რჩება ცარიელი, ღარიბათაო, მაინცა და მაინც არც ეს არის დიდი რამეო, რადგანაც მომავალში, ზოგი ერთ ოჯახთაგანში გამრავლდებიან მის წევრნი, რომელთაც არაფერი ექნებათო და მე კი მათზე მეტი უნდა მქონდესო. ერთის სიტყვით, პრუდონის აზრით აქ ამ საკუთრების შეცვლა და დაჩემება სულ სხვა მხრით და სხვა მიზნით უნდა მოხდეს, და არა ისე, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ და მის გამო პრუდონის მომღვრებასაც ავაზაკურს მოგონებას უწოდებენ. ისიც კი უნდა ითქვას, რომ კარლ მარკსი, ეს ძლიერი კრიტიკოსი ეკონომიურის მწერლობის, პრუდონის ისე არც ერთ თხუზულებას არ აფასებს და მოიხსენებს პატივით, როგორც «საკუთრების» შესახებ. ამის აზრით და ზოგიერთი სხვების პრუდონის თხზულებაებში ყველაზე უმთავრეს საყურადღებო შრომად მხოლოდ ეს შრომა ჩაითვლებაო, სადაც მართლაცა და ბევრი რამ ჭეშმარიტი კითხვებია დაცული და ფეხზე წამოყენებულიო.

რაც ხანი გადიოდა და პრუდონიც ხანში შედიოდა, მით მას უფრო უმდიდრდებოდა ქონება და «საკუთრების» შესახებ კითხვა კითხვაზედ ებადებოდა; მას სწამდა, რომ თავის მეცადინეობით და მეცნიერულის მოღვაწეობით კაცობრიობის წინაშე მას შემოქონდა ერთი მეტად კეთილ საბედნიერო განვითარება, რომელიც ერთხელაც არის ეს განვითარება სასწაულ განვითარებად გახდება და მთელ დედა-მიწაზედ მოიფინება ისე, როგორც უკვდავად იქნება მიღებული ფიზი-

კური, მატემატიკური, პოლიტიკური და სრულ თავისუფალ სოციალური. ეს დიდს მნიშვნელობას აძლევდა პოლიტიკურს ეკონომიას და ამასვე უკავშირებდა ზნეობითი მეცნიერებასაც. ამის მეოხებით, ის ფიქრობდა, რომ ამ მეცნიერობის სწორის მატემატიკით ჩვენ შეგვეძლება გამოვიძიოთ ის, თუ ყოველს პირს დედა-მიწაზედ რა ზომის საკუთრება შეხვდება თავის წილათაო. რა კი პრუდონს სწამდა, რომ პოლიტიკური ეკონომია არის მასთანვე ზნეობითი მეცნიერებაცაო, ამიტომ იგი ზომიერებით და კეთილ მიდრეკილებით მოღვაწეობდა, რომ გამოერკვია უფლება ყოველი პირის, მასთანვე ზნეობითი კანონი, მართალი და უსაჭიროესი, რომელსაც ეს ხედავდა თანასწორობაში. ამას სწამდა, რომ ყველასი-ფერს ეს თავის ანალიზით გაარკვევდა და დაამტკიცებდა სამუდამოდ. ეს მეტის მეტი გულს მოდგინედ ადგა ამ შრომას, ამას დიდათ უნდოდა, რომ ეს შრომა დიდის ძალოვნებით აეღორძინებინა. ეს მას მაინც ისე მოუხდა. მან მისწვდა თავის საწადელს და მან ფეხზედ წამოაყენა ესრედ წოდებული კითხვა «საკუთრებისა» შესახებ, რომელიც იმავ დროს მთელს ევროპაში გახდა ერთს საკამათო და სადავო გადასაწყვეტ კითხვად; მას მიაპყრეს დიდი ყურადღება იურისტებმა, რადგანაც ეს კითხვა იურის პრუდენციასაც ეკავშირება, პოლიტიკურ მეცნიერების მიმდევართა, სოციალისტებმა, კომუნისტებმა, მონარხისტებმა, მდიდრებმა, ღარიბებმა, მუშებმა და სხვებმა. ამის თხუზულება იურისტების და ფილოსოფოსებისთვის ამ ადგილების გამო გახდა საყურადღებო, სადაც პრუდონი იმ პირთა მოაზრეობას არჩევს იმის შესახებ, თუ ეს პირნი როგორ სჯიდნენ ხოლმე საკუთრების და თანასწორობის შესახებ. ზოგიერთი მწერლები ამბობენ, რომ პრუდონმა ეს სიტყვა «საკუთრება» სხვას მოჰპარაო. მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრებდა ერთი კომუნისტი ბაბეფი, რომელიც წინა-

აღმდეგი იყო კერძო «საკუთრებისა» ამას სწერდა, რომ საკუთრების მაგიერ საერთო მფლობელობა დაეწესებინა. ამის გამო ბაზეფი თურმე ხშირათ ხმარობდა «საკუთრებას» და განა შესაძლებელია, რომ ამ ხშირი ხმარების შეოხებით მის-ცემიყოს პრუდონს ჯავრი თავის «საკუთრების» დაწერის!? ეს მეტის მეტია. ტყუილად იმტვრევენ ამის შესახებ თავებს. პრუდონმა გაათავა თავის შრომა და მის შემდეგ გამოსცა ცალკე წიგნად 1840 წელს.

ეს წიგნი პრუდონმა სხვა და სხვა პირებს, მეგაზეთე-ებს, მეჟურნალეებს და მწერლებს გაუგზავნა, მაგრამ არც ერთს გაზეთში მალე არც განცხადება დაბეჭდეს, არც გამო-სვლის ანბავი და არც რამე რეკლამა, თუმცა მწერლობა ასე მოიქცა და ასე მიეგება პრუდონის წიგნს, მაგრამ მაინც ჯმის წიგნის ორასი ეგზემპლიარი ორ კვირაში გაიყიდა. მწერ-ლობის ასეთი საქციელი პრუდონს ძლიერ ეწყინა. ნუ თუ ასეთ კითხვებს კიდევ ეჭირება დაფიქრებაო? ნუ თუ ფარდა ახდილი ჭეშმარიტებად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩემი შეხედულება და ფეხზედ წამოყენებული კითხვები არის ჭეშმა-რიტებით გარემოცულიო? ნუ თუ პატიოსანთ და ხეირიანთ პირებს კიდევ შეეფერებათ ის, რომ ისინი ამ კითხვებს გულ გრილად უცქერიანო? თანაგრძნობის აღმოუჩენლობის შემდეგ პრუდონი ცოტა არ იყოს უნდა შემკრთალიყო, თავის კით-ხვების ხალისიც უნდა გაცივებოდა და ბევრ-ნაირის დამაყუ-ძლურებულის ხასიათებით უნდა აღვსილიყო, მაგრამ არა, თქვენც არ მომიკვდეთ, ამაებმა მის გვამში სულ ვერ იჩინეს ადგილი, ბინა ვერ მოიგიდეს. საფრანგეთის მწერლობის ასეთი გახუმება იყო დროებით, შემდეგ კი ეს კითხვა არამც თუ საფრანგეთში გახდა საყურადღებო საკამათო კითხვათ, არამედ მთელს ევროპის განათლებულს ხალხებშიაც-კი ჩასტეხეს ამის შესახებ ბაასი და საუბარი. ეს იქამდის წავიდა, რომ მის

შესახებ რუსულს მწერლობაშიაც კი აღძრეს baasi და ჯერედ-
ას რუსულს ენაზედ არც-კი იყო ნათარგმნი, რომ ეს გაარჩიეს
რუსულს ჟურნალებში. რუსულს ენაზედ ეს წიგნი ითარგმნა
და გამოიცა 1866 წელსა. პირველი გამოცემა მოხერხდა თუ-
არა, მის შემდეგ მეორე და მესამე გამოცემაც მალე იქმნა.
უნდა ვთქვათ, რომ ამ წიგნის ბედი, რომელშიაც პრუდონი
მეცნიერულის მსჯელობით და ხეირიანის მოსაზრებით ქონებას
ნაპარავს ეძახის და შემენას,—ქურდობას, რომ თითქოს ასეთი
წიგნის ბედი და უბედურობის საქმე კარგად სცოდნია მას,
სცოდნია ის, რომ ამ წიგნის შესახებ ერთი-ხნობით ხმის
ამოუღებლობა იქნებოდა დროებითი, შემდეგ-კი ეს გახდებოდა
თავის მოსაბეზრებლად. ამას ფიქრი არ უნდოდა, რადგანაც
კითხვები, რომელნიც მუსრავდენ ბევრს რამე კითხვებს და ცხოვ-
რების უთანასწორო მხარეებს, რომ ასეთი კითხვების წარმო-
მადგენი წიგნი უყურადღებოდ დარჩენილი იყო. რაკი ერთი
სიტყვა დაიძრა, მაშინ იგრიალა და სიტყვა სიტყვას მისდევდა,
პასუხი პასუხს, წიგნი წიგნს, ტომი ტომს და მოწინა-
აღმდეგე მოწინააღმდეგეს. ბეზანსონის აკადემიის მართველობამ
თავის პანსიონერის წიგნს ერთობ ცუდად შეხედა. რად-
განაც პრუდონმა წიგნის წინასიტყვაობაში აკადემიას მი-
მართა, სადაც ეს ესაუბრება ხსენებულს აკადემიას მის
საქციელზედ. შესახებ პრუდონის ზოგიერთ აზრების უარყო-
ფობაზე. აკადემიკოსებში საშინელი ალიაქოთი ასტყდა, ფი-
ლოსოფოს დროზემ ცრემლით სავსე ქადაგება შეადგინა, სა-
დაც პრუდონს მგელს და გველს უწოდებს. ამის გამო აკადე-
მიაში ორი საჩქარო კრება იქმნა, ბოლოს პრუდონი მიიხმეს,
ამის პენსიის მოსპობა უნდოდათ. მას გამოუცხადეს საქვეყნო
საყვედური, აქ პრუდონს მკაცრად არცხვენდნენ, რომ ჩვენის
წმინდის ფულით გამოიზარდე და დღეს კი რაებს შვრები და
რითი იხდი მის სამაგიეროსო, თუ შენი თავი არ გენანება,

შეიბრალე შენი ღვთის მოყვარე მშობლები და ან ჩვენაო. აკადემიის ბევრი მეგობრები მოსცილდნენ ამას, დაუახლოვდნენ მას ისეთნი პირნი, რომლებთანაც პრუდონს არაფერი კავშირი ჰქონდა. პრუდონმა მხოლოდ პირობა მისცა, რომ აკადემიაში გათავებამდის აღარას დავწერო, 1840 წელს ოკტომბრის თვეში ის გადასახლდა პარიჟში. აქ კი მან თავისუფლად განაგრძო თავის მოღვაწეობა, დაიწყო წერა თავის თხზულების მეორე ტომის «საკუთრებისა». ვიდრე ამას გაათავებდა, მან ხელმეორედ მიიღო აკადემიის სეკრეტრისაგან წერილი, რომლითაც მას მეორეთ იბარებდნენ სენატის წინაშე. კრება სთხოვდა მას, რომ თავის წიგნის დედა ჭაზრები უარეყვა და სხვა გზას დასდგომოდა. ამ მიხმობის გამო პრუდონი მეტის მეტი ჩინებულად ემზადებოდა თავის წიგნის შინაარსის შესახებ პასუხების მომზადებაში. იურიდიულის მხრითაც ძალიან უნდოდა რომ არავისზე მდაბლად არ გამოჩენილიყო. აკადემიის მართველობისგან, როგორი მწუხარე მრისხანებაც ისმოდა, რომ პრუდონს ცუდს დღეს დავაყენებთო, ეს ისე არ გათავდა, საქმე პრუდონს კარგად წაუვიდა. «აქ რომ წამეგოვო—ამბობს პრუდონი—მაშინ მე საფრანგეთში აღარ მედგომებოდაო,» რუსეთსა ან ამერიკაში უნდა წავსულიყავო. პრუდონმა სიტყვაში ერთობ სასტიკად გაჰკიცხა აკადემიის წევრნი. ესენი თუ ჩხუბს და ჭინჭყლს ემებენ, მე გაუწევ მათავეო. ამის შემდეგ მოსამართლეთ დასი ორათ გაიყო: ერთი მეორეს დასცინოდნენ, რომ პრუდონმა როგორ გაგაშაგათ თქვენაცო, ან რათ გაამართლეთო! ამ შემთხვევის გამო პრუდონზე ხშირათ საუბრობდნენ აქეთ იქით და მის ძლიერებას საქვეყნოთ აცხადებდნენ. პრუდონი თავის მეცადინეობით ასე ადვილათ გადარჩა «საკუთრების» გამო თავის მტრებს. ჭაზრის მტრებს და არა პირადათ პრუდონის. ამ შემთხვევის შემდეგ პრუდონი მიიწვიეს ერთ საზოგადო სამმართველოში, აქ პრუდონს უნდა

ემუშავნა ამ სამართველოს უფროსისთვის, ამას სტატიები უნდა ეწერა უფროსის სახელით. ამის გამო მას დაუნიშნეს 2000 ფრანკამდე. პრუდონი ამბობს, რომ «ეკონომისტი კრიმინალისტათ გავხვდიო.» თავს მჯდომარეს იმედი მიეცა, რომ პრუდონის წერილების საშვალებით შეიძლება სახელი აგიმაღლოთ და ბოლოს სამართველოს პრეზიდენტობაც ვიშოვნოვო. პრუდონმა დაიწყო თავის უფროსისთვის წერილების წერა «სამოსამართლო სისტემის და ორგანიზაციის მაგისტრატურა». ამ შრომას პრუდონი თავისებურის კილოთი ასრულებდა, უფროსს რცხვენოდა ეს, მაგრამ თავის სიმუნწით ექამდის შერცხვენილიყო, რომ ბოლოს ამ შრომის იდეას და პლანს თავის თავს აკუთვნებდა და პრუდონსაც ეუბნებოდა, რომ «სწორეთ რომ ჩინებული პლანი და იდეა მოგეცითო» უნდა ვსთქვათ, რომ პრუდონმა თავის «საკუთრების» აზრებს ამ წერილშიაც კი მოახრევინა თავი. ამის მიხვედრა უფროსს სულ არ ჰქონდა, რადგანაც მსჯელობა ფილოსოფიურ ეკონომიურს მსჯელობას შეადგენდა. ამით ერთის მხრით პრუდონს ისიც უნდოდა, რომ ასეთის სტატიებით მას თვის უფრის მყოფელი ყურნალ გაზეთები ეთამაშებინა, როცა ესენი დაიწყებდნენ წერას და ქებას, რომ ამა და ამ პირმა ეს და ეს გაუთავებელი სამეცნიერო შრომა შემოიტანა ჩვენს მეცნიერებაშიო, მაშინ პრუდონი თავისებურის ძალით დატრიალდებოდა და გაზეთების საშვალებით მოწონებულ შრომის პატრონს თხზულების დაბეჭდვის დაწყებას მოსთხოვდა. რასაკვირველია ტყუილი მწერალი ვერას იზამდა და ამით პრუდონი ცხადათ დაამტკიცებდა საფრანგეთის მწერლობის უსვინდისობას.

ამ დროს პრუდონის «საკუთრებას» მართველობამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, ესენი შეაჩერდნენ ამ წიგნს, როგორც მჭიერს თხზულებას და მის გამო პრუდონსაც დაუწყეს დევნა და კიცხვა, ამის საფუძვლათ მართველობას იმას

ასმენდნენ, რომ პრუდონი მეტის მეტ კომუნისტიურს და სო-
ციალისტიკურს ჰაზროვნებას ადგაო. ასეთი ბრალების გამო
მართველობას წინ აღუდგა, ამას იცავდა ეკონომისტი ბლანკი.
ეს პრუდონს მართალია პოლიტიკურს და ზნეობითი მეცნიერე-
ბაში ზოგიერთ ნაკლულევანებათა მხარეებს ამჩნევდა, მაგრამ
მის მაგიერ ბევრს სხვა მადლოვნებასაცა. ეს დიდის თანაგრძნო-
ბით და სიამოვნებით ლაპარაკობდა პრუდონის ეკონომიურს
შორს გამჭვრეტელობას და ბევრს ნაირ ფილოსოფიურს მსჯე-
ლობათ მნიშვნელობაზე. ბლანკის ასეთმა მსჯელობამ დაიცვა პრუ-
დონი. იმ გამართლების შემდეგ პრუდონმა ხელ ახლა განაგრძო
თავის «საკუთრების» გაგრძელების წერა, ამ გაგრძელებას მან
უწოდა:—»წერილები ბლანკთან საკუთრების შესახებ»...

იმის ნაცვლად, რომ მე წავსულიყავ ჩემ წინა თანამოაზრეთ
ჰაზრთ თანხმად,—სწერს პრუდონი «საკუთრებას» გამო,—მე
წინააღმდეგ წაველი ჩემ წინა მოაზრებისა, მე ვეწინააღმდეგები
გუვერმენტალიზმს, კომუნიზმს, ფეოდალიზმს, მე ვსდგევარ
ინდუსტრიის თავის უფლებისაკენ, კონკურენციის, ოჯახის და
მის მემკვიდრეობის, ვიმეორებ გაორკეცებულის ენერგიით,
იმავე ხმით, იმავე კალმით, რომ მე მტერი ვარ მონოპოლიის.
ღალის დამყარებანი თხოულობენ მეცნიერულს ახსნას და სხვანი
და სხვანი. ეს ნაწარმოები პრუდონმა გამოსცა 1844 წლის
დამლევს. ამ წერილმა დიდი ბრძოლა ასტეხა საფრანგეთის
ოფიციალურს და სადემოკრატო სოციალისტ ეკონომისტებში. ამ
წიგნის მეოხებით პრუდონს ბევრს პირთან მოუხდა შეტაკება
და კორიანტელი. ამით პრუდონმა გადაკიდა თითქმის ყველა
ეკონომისტები, აქ მართველობამაც წამოყო თავი: პრუდონი
შეკრეს ამაზე, ბლანკი არწმუნებდა, რომ—«ფიქრი ნუ
გაქვს, სულ ყველა მინისტრები ჩემსკენ არიანო, მე ნებას არა-
ვის მივსცემ, რომ შენ რამე გიყონო» ბლანკმა პარიჟის პოლი-
ციის უფროსსაც კი უჩივლა, რადგანაც ეს პრუდონს ცუდად

მოგზურო. პრუდონს კი ამ წიგნის გამოცემით სხვა იმედი ქონდა, რომ ახლა კი ჩემს წიგს საზოგადოება და მართველობა კარგათ შეხედავსო, რადგანაც მე ბევრი შეცდომები გავისწორეო. მეორე, ამ წიგნში, პრუდონი ერთ ალაგს ამბობს, რომ «თუმცა მე ჭეშმარიტათ მწამს ჩემი ტენდენცია და დედა აზრები, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვა, რომ ჯერ მეტი გზა არ არის, დროის მორჩილი უნდა ვიყვენით, რადგანაც გარემოებათა პირობები ასე გვაყენებენ». ამ ხნით რაკი პრუდონი მოიმედე იყო მართველობის, რომ მართველობა ჩემს მოძღვრებას კარგათ შეხედავსო, მიტომაც პრუდონი დროებით არც ერთ დასთა მსარეებს არ ემხრობოდა და ამას ისიც სურდა, რომ საფრანგეთში იმ დროს რევოლუციონურს ძალას დასაწყისი არ მიეღო. ამას სწამდა, რომ ჩემი მოძღვრების უთანასწორობა შეიძლება, რომ თვით მონარხიულმა მართველობამაც კი მოსპოსო. იმ ბურჟუაზულ მონარხიამ, რომლის წინააღმდეგ პირველ წიგნში პრუდონი მკაცრად იღვწის და ეს რადიკალურათ უარს ყოფს ბურჟუაზულ მართველობისაგან სიკეთის და თანასწორობის დათესვას. როგორც ეს ფიქრობდა, საქმე ისე არ აღმოჩნდა, მის გამო პრუდონს სხვა გზა უნდა მიეღო, სხვა მიმართულებას და სხვა დედა ჰაზრებას. ეს ასეც იქნა. სიღარიბეს და გაჭირვერებაში განვლილს და ნაცადს კაცს რომ იტყვიან სწორეთ პრუდონზედ ითქმის ეს. ამ სიღატაკის შვილს შეუძლიან სთქვას: თუ რა არის სიღარიბე, ამ კაცმა სწვნია ამის წვენი, გამოსცადა მისი უსასტიკესი ბრჭყალები. ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ აქ ერთ მაგალითს, 1840 წ. ბეზანსონიდან პარიჟამდის ფეხით წავიდა, რადგანაც აქედამ ერთი მისი მეგობარი სტრასბურგში მიდიოდა და პრუდონს კი უნდოდა ამ კაცის ნახვა, შვიდის დღის მგზავრობის შემდეგ პრუდონი მივიდა იქ, მაგრამ მისი მეგობარი ერთის დღით წინ წასულიყო უკვე სტრასბურგს. ამ ამბავმა პრუდონი ერთობ დაალონა, ასე ფუჭათ ჩაუარა

პრუდონს იმ მსხვერპლმა, რომელიც მან შესწირა თავის სურვილს. ამ შემთხვევიდან პრუდონი ერთობ დანაღვლიანდა და გაკვირვებული იყო ბევრის რამ უწესო საქმეებისაგან. რით მომივიდა ეს, რატომ მე არ მქონდა იმდენი ძალა, რომ აქ ამხანაგს მოვსწრებიყავო. ამ დროს მან დასწერა ერთი ახალი თხზულება, სახელდობ «მდიდრების გაფრთხილება, ან წერილი ბ. კონსრადესიან», თხზულება მრავალთათვის მეხათ შეიქმნა.

ნამეტურ ბურჟუაზულ ეკონომისტ ფურიერისტები ხომ პრუდონის შეჭმას ლამობდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. სამართალში მისცეს, ფურიერისტებმა პრუდონს კალამი ააღებინეს ხელში, ეს მეხივით დაეცა მათ. ამ კამათობის მეოხებით დიდათ განეთქვა სახელი პრუდონს. ამის პატივის ცემულთ რიცხვი მილიონამდის ხდებოდა. ამას პატივს ცემდნენ პროფესორები, სტუდენტები, ექიმები და მრავალი სხვანიც. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ძველი აკადემია, ბეზანსონის აკადემია ძლიერ ღელდებოდა პრუდონის ამ წიგნის გამო. სამოქალაქო მთავრობის საშვალებით პრუდონს საჩივარი აუტეხეს, რისა გამო იგი უნდა წამდგარიყო დეპარტამენტის ასიზში. ამ საქმეთა გარჩევის დროს პრუდონს ცხრა დანაშაული ბრალდებოდა. ოთხი ისეთი დანაშაული იყო, რომელიც მეორე დანაშაულობაში შედიოდნენ, ამიტომ პრუდონს ბრალდებოდა ხუთი დანაშაული:

1) საკუთრების დაცემის და მოსპობის შესახებ.

2) მართველობის წინააღმდეგ დაბალ და მუშა ხალხში მტერობის და სიძულვილის დათესვა.

3) სარწმუნო საქმეების დამცირება და შეურაცხობის მიყენება სამღვდელოების და ზიზღი ეკლესიისა.

4) სხვა და სხვა საზოგადოებათა წინააღმდეგ ბრძოლა და 5 საზოგადოდ უკიდურეს მიმართულების მოძღვრების მორჩილება, რომელიც პრუდონს დიდს ჭეშმარიტებათ სწამდა და

ამას ყველგან ავრცელებდა კიდეც. საქმის გარჩევისთვის პრუდონმა ადვოკატი ამოირჩია. ვიდრე წიგნის გაარჩევდნენ პრუდონს გამოუცხადეს, რომ შენი წიგნი საქვეყნოდ იკრძალებაო. საქმის გარჩევის დღეს პრუდონი წარსდგა დეპარტამენტში, მთელი დარბაზი ხალხით სავსე იყო, პრუდონი ამბობს:— «აქ მე რობესპიერ ანტექრისტედ ვიყავიო». პრუდონის სამართველოში შესვლის დროს ზოგიერთ ღვთის მოყვარე ქალებს ვერ გაუძლიათ და კარში გასულან, პრუდონს შეუტყვია, რომ შენ გელის ხუთი წლის განმავლობაში სატუსაღოს ტანსაცმელში ყოფნაო. საქმის გარჩევის დროს მას ადარებდნენ ავაზაკს, კაცის მკვლელს და სხვა. მრავალნი თხოულობდენ, რომ პრუდონი ათის წლით იქმნეს გაგზავნილიო, ჯარიმათ დაადვეს 50 ფრანკი, რადგანაც მთელი პრუდონის შეძლება, ლოგინი, ტანთსაცმელი და სხვანი ამაზე მეტათ არ დაფასდებოდა, ე. იგი **12—50.** დაიწყეს საქმის გარჩევა, ბევრს ეგონა, რომ პრუდონს ლაპარაკის ნებას არ მისცემენო, ამას კითხეს:— შენ საკუთრების მქონე პირებს რისთვის ემტერებიო, რათ ემუქრებიო, რათ გინდა მათი დასჯა, და ანიავება? პრუდონმა მიუგო: «უნდა, ვსთქვა, რომ მათ არც ანიავება მოელისთ, არც აკლება, არც ცეცხლით გადაწვა და სხვანი. მათ მოელით ამაებზე უფრო უარესი, უფრო სასტიკი, ვინემც სუყველა ესენი.» ამ სიტყვების შემდეგ პრუდონი თავის თავის დამღუპველად იცნეს. ვნახოთ, ასეთი ჩვენება ძალიან დაეხმარება იმ პირთ, ვისაც სურდათ, რომ პრუდონი ჯოჯოხეთის მავნე სულათ გაეხადათ. შემდეგ დაიწყო პრუდონმა საუბარი და ორის საათის განმავლობაში ისუბრა მეტის მეტის მკაცრის კილოთ და საფუძვლიანის განმარტვით და ახსნით. ამით დიდათ გაკვირდნენ იქ მდგომნი მღვდლები, ქალები, არისტოკრატები და სხვანი. პრუდონმა თავისუფლათ დაიწყო იმის მტკიცება, რომ იმას ასამართლებდნენ სხვა და სხვა გაურკვეველ დამნაშავობათა

საქმეებისაგან სამართველოს შეცდომების მოხსენებით, ეს ამბობს ჩემი დედა ჭაზრები არამც თუ საწინააღმდეგოა მთავრობის. არამედ კეთილ მყოფელი და სასარგებლოცო. მე არამც თუ გასაკიცხი ვარ, არამედ საქებიო. ადვოკატმა განაცხადა: რადგანაც მოსამართლენი პრუდონის მეცნიერულ შრომას ხეირიანათ ვერ იცნობენ, ამიტომ მე მისი დაცვა არ შემიძლიანო, არც გამართლება და არც გამტყუნებაო. ასეთი შენიშვნის გამო პროკურორი შეკრთა, ბოლოს საქმე ისე წავიდა, რომ თავს მჯდომარემ სხვას მიმართა, რომ ამათ ეთქვა პრუდონის შესახებ, თუ პრუდონის თხზულება მეცნიერული რამ არისო. ამაზე მიუგეს, რომ დიახ სწორეთ ამ თხზულებას მეცნიერული მიმართულება აქვს და ეს მეცნიერული მსჯელობაც ისეთი ფილოსოფიური კილოთი არის განმარტებული, რომელსაც დაბალი უსწავლელი ხალხი ვერ გაიგებსო. პრუდონსაც ეს უნდოდა. ამაზე პრუდონმა სთქვა, მე მწამებენ, რომ ჩემის მოძღვრებით დაბალი წოდება მაღალს უნდა აუსიო და რაც ამათ აქვსთ ქონებათ ყველა ამაებს წაართონო, თუ კი ეს თხზულება დაბალი ერისთვის გაუგებარია, მაშ დაბალი ერი როგორ გაიგებს მას და ან როგორ აჯანყდებაო». დამტკიცდა, რომ პრუდონის თხზულებას «საკუთრებას» წმინდა მეცნიერული მსჯელობა და მიმართულება ჰქონია, მეცნიერულსავე სარბიელზე, თუმცა საქმემ ასეთი მსვლელობა მიიღო, მაგრამ ამის წინააღმდეგ სამღვდელოება მაინც ადგა, აკადემიკები, ჟურნალისტები, ფილოსოფები და სხვანი; პრუდონმა მაინც ისეთ ოსტატურ სიტყვის თქმას დაადგა, რამაც იგი გაამართლა, ამის გამო მოსამართლეები ერთმანეთში აირივნენ, ერთმანეთს წყრობა დაუწყეს და ბრალის დება, რომ პრუდონის გამართლება შენი ბრალიაო, ზოგმა ამის გამო სამართველოში დათხოვნის თხოვნა შეიტანა, ამ სიტყვის თქმის დროს პრუდონს გაჰყვანდა ის აზრიც, რომ როგორც მზე არის საზოგადო, მთვარე, ჰაერი და სინათლეო, ისევე დედა მიწის

მფლობელობა უნდა შეადგენდეს საერთო და საზოგადო კუთვნილებასო; აქ ვის შეუძლია ამას წინ აღუდგეს; ეს ბევრს მოეწონათ. ამით პრუდონი დადიბჯდა. ამის შემდეგ აიღო კიდევ ერთი სტამბა იჯარით, სადაც დაჰყო რამდენსამე წელს და ამ ხნის განმავლობაში კიდევ ზარალის მეტი სხვა ვერა ნახა რა. ეს ზარალიც იმდენი იყო, რომ იგი მის გადახდას თითქმის სიკვდილამდის მოუნდა და მაინც ვერ ამოვიდა მისგან. ამ მეიჯარადრობის დროს მან დაიწყო წერა თხზულების «წესების დაარსება კაცობრიობაში.» ამ წიგნში პრუდონი ერთობ უკიდურეს მეცნიერულს კილოს ადგა, ამას ეფიქრებოდა, რომ ვაი თუ მართველობა კიდევ ვერ მიხვდეს ჩემს მეცნიერულს შრომასაო, რადგანაც ბრძანებელთა და მფლობელთა ყოველთვის აშინებს მართლის თქმაო. პრუდონს ძრიელ უნდოდა, რომ ეს წიგნი მრავალთათვის ყოფილიყო გასაგები, მაგრამ ეს ასე არ იყო, რადგანაც წიგნი აღმოჩნდა მეტაფისიკურის ხასიათის მქონე და საკმარისად ბნელის მიმართულებისა. შემდეგ კი ამ წიგნზე პრუდონმა აზრი შეცვალა, ეს სჩანს მისის რევოლუციონურის აღსარების ერთის თავიდგან, სადაც ის ამბობს: — ვინა ვარ მე? ეს წიგნი პრუდონმა ერთს თავის ეკონომისტ მეგობარს უძღვნა; ამ დროის შემდეგ, როდესაც პრუდონი მღელვარებაში იყო ჩავარდნილი, ბეზანსონში მივიდა ერთი ეპისკოპოსი, რომელსაც მარხვის შესახებ ქადაგება უნდა დაეწყო, იმ დროის ბეზანსონის აკადემიის მაგისტრატურა დიდის გულს მოდგინებით უგდებდა ყურს ამ იეზუიტის ქადაგებას. ამავე დროს აქავე უნდა გაჩენილიყო მეორე მაქადაგებელიც, ამათ წინააღმდეგ საუბარი გადაწყვიტა პრუდონმა, ამას იმედი ჰქონდა, რომ ამ მქადაგებლებს დასცემდა, პრუდონს ის კი არ ჰქონდა ჰაზრათ, რომ მას ან სარწმუნოება გაეკიცხა, ან ეკკლესია, ან ღმერთი, ან და ქრისტე, ამას უნდოდა, რომ მხოლოდ ქადაგების დედა ჰაზრებს შეჰხებოდა და თვით ქრისტიანობის სწავლის

თანა-მომხრე კრიტიკით დაემტკიცებინა ეს. ამ დროს მას ვალი შვიდი ათასი ფრანკი ჰქონდა რომლის მოვალეებიც ძლიერ აწუხებდნენ მას. ამ დროს, ამ ძრიელმა კაცმა და თანასწორების კრიტიკოსმა გადასწყვიტა, რომ სტამბის მუშათ დავდგებიო. ეს მალე დადგა ასოს ამომწყობლათ, მაგრამ ამ დროს მუშაობის საქმე ერთობ დაცემული იყო, ასე რომ სამუშაოს ანაღები პურის ფულსათაც არ ჰყოფნიდა, ამიტომ ვერც აქ გახდება რამეს პრუდონი, აქ გადასწყვიტა მან სიკვდილამდის კალმით ბრძოლა. ეს ასეც ქმნა. ეს მალე გავიდა სტამბიდამ და სულ ახალ გზას დაადგა. ეს ახალი გზა არის პრუდონის პროლეტარიის ასპარეზი, რომელზედაც იგი გამოვიდა და სადაც იგი სულ ახალ მებრძოლათ აღმოჩნდა. ამისთანა მუშათ საქმეების აღსრულების მუშათ დგომა უხდებოდა ხოლმე იმ ძლიერ კაცს, რომელიც თავის თავს ვოლტერის მოწაფედ სთვლიდა, რუსოსი, ჰეგელის და ოგუსტ კონტის ახლო მდგომ პირათ. სტამბიდამ გამოსვლის შემდეგ იგი მიიხმო ერთმა მისმა ნაცნობმა ვაჭარმა, პრიკაშიკათ, ეს დადგა მასთან, გაიცნო იქ მაღალი და დაბალი სოვდაგრები, ვაჭრები, დიდებისაგან პატარების დახთქმა, თავისუფალი კონკურენცია, მათი ხრიკები და მრავალიც სხვანი, ასეთი საქმეების მცოდნე პირმა დაიწყო ერთი ახალი თხზულების წერა, სახელდობ, «ადმინისტრატიული საქმეები» ამით იგი ბევრს რამ საყურადღებო ცნობებს აცნობებდა მთავრობას, რომ მის საშვალებით მათ ყურადღება მიეპყროთ და მრავალი შეუძლო პირები მდიდარ პირთ დახთქმისაგან დაეფარათ. ამ დროს პრუდონი დაუახლოვდა კომერციული სკოლის დირექტორს ეკონომისტ იოსებ გარნიეს. ამ დროს მოახლოვდა **1844** წელიწადი და მას აუტყდა სასტიკი ბრძოლა საფრანგეთის ყველა ეკონომისტებთან, თვით ლუი ბლანთანაც, გარნიემკი დროებით პირი აარიდა, ამის შემდეგ კი ეს გამოვიდა სულ ახალ მებრძოლათ სახელმწიფო წე-

სების გადაბრუნებაში, სოციალისტ კომუნისტობაში და ბევრს ისეთ რამეში, რასაც ის წინეთ უნდოს თვალით უმზერდა, ასეთ არა სახუმრო მებრძოლათ გამოსვლის შემდეგ ეს ყველას წინაშე დიდად საგულისხმო კაცათ გადაიქცა და დაუძინებელ მტრათ. იმ დროის ერის საზოგადო უსწორო ცხოვრების წესების. ასეთ მებრძოლათ აღიარა პრუდონმა თავის თავი. დამიტომ მან ამ დროს ერთი ფრიად თვალსათ საჩინო წიგნის წერასაც მოჰკიდა ხელი, ეს დრო არის 1846 წელ. ეს თვალთ საჩინო შრომა არს «Экномическое противорвычіе или философія нищеты» ამ წიგნში პრუდონი ძალიან ბევრს ეკონომისტებს ჩასტიკათ ეხება და ბევრის მოღვაწეობასაც უარს ჰყოფს თავიანთის პოლიტიკურის და ეკონომიურის თეორიებით. ამ წიგნის გამოსვლის დროს პრუდონისთვის დგება სულ სხვა ახალი დრო, რადგანაც ეხლა იწყება სოციალიზმის სიკვდილი პოლიტიკურს ეკანომიაში და დემოკრატიისა მონარხიაში, ამ სიკვდილისთვის თოფი და ზარბაზანი კი არ იყო საჭირო, არამედ მწერლის კალამი, ასეთი მოვლენის ძალის დასაწყისი თითქმის გამომცემლის მაგაზიიდამ უნდა დაწყობილიყო. აქ ზოგიერთი მეცნიერული მსჯელობის გამო პრუდონი ნამდვილ რევოლიციონერათ ჩათვალეს. როგორი სათაურიც ჰქონდათ, ეს წიგნი ამ სათაურის თანხმა შინაარსის მქონი არ აღმოჩნდა. სხვათა შორის აქ არის საუბარი ღმერთზე, საკუთრების შესახებ ეს აქაც საუბრობს. ერთ ალაგას ამბობს, რომ კაენი პირველი მსაკუთრებელი იყოვო და აბელი კი პროლეტარიაო. პრუდონმა ამ თხზულებას ბნელი მეტაფისიკური მიმართვა მისცა, აქ ეს უარს ჰყოფს კრიტიკას ეკონომიურს მოვლინებაში.—«მე დავარღვევ მასო» მაგრამ ეს ვერ იქმნა, წიგნმა თავის რთულის დიალექტიურის განმარტვით საზოგადოთ ფრანცუზების თვალში ვერ დაიმსახურა საკმარისი ყურადღება. ამ წიგნის გამოცემამდის პრუდონი სწერ:—«მე უნდა ვსცადო ის, რაც კონტმა

შეუძლებლათ სცნა, მე ვმეცადინეობ მეტაფიზიკის მდაბიურ ადვილ განმარტვას. ამისთვის მე ვხმარობ უღრმეს დიალექტს, ჰეგელის დიალექტს, როცა მე კანტის ანტინომიას წავიკითხე, მასში კაცის გონების უძლურების დამტკიცება კი ვერ ვნახე, არამედ ნიმუში დიალექტიურის მოხერხებისა, მაინც არ არის საჭირო, რომ გავყვე ჰეგელს და მის უჭკუო გამოცდილებაში ავაშენო ახალი რიალური ქვეყანა. პრუდონს უნდოდა რომ ჰეგელის ფისიკისათვის პოპულიზაცია გაეწია, მაგრამ მან ის კი არ იცოდა, რომ ჰეგელის დიალექტიურის განმარტვით ვერ მიიზიდავდა მკითხველის ყურადღებას, ამით იგი თავის კრიტიკოსებს მასალას აძლევდა კიცხვა გმობისთვის, პრუდონის ასეთი მორჩილების გამო მრავალი მწერლები და იმათ შორის ყუგკოვსკიც პრუდონს თითქმის მეტაფისიკის მორჩილათაც აღიარებს. პრუდონის ასეთ ოცნებებში და ამ წიგნის შეცდომების უმთავრეს მიზეზათ გამოჩენილს ბაკუნინს აღიარებენ, ბაკუნინი დაახლოვებითი მეგობარი პირი იყო პრუდონის, ბაკუნინმა ნემეცური ენა იცოდა კარგათ, ეს ნემეცების ყველა მწერლებს იცნობდა თავიანთს მწერლობით. პრუდონმა კი ნემეცური ენა ვერ იცოდა რიგიანათ, ბაკუნინი მას აცნობებდა ჰეგელის მეტაფისიკას, პრუდონი ამით გატაცებულა, ასე რომ ყველა მის ბოძმიკნი პირ-და-პირ მის ასეთ მორჩილებას და თავის მოხრას მიეწერებაო. სხვათა მრავალთა შორის, პრუდონის სიკვდილის შემდეგ ეს წიგნი გაარჩია გამოჩენილმა ეკონომიურის მწერლობის კრიტიკოსმა კარლ მარკსმა, ამ გარჩევას მან უწოდა **«Нищета философіи.»** ამ გარჩევაში მარკსი პრუდონს ერთობ სასტიკათ ეხება, მარკსი აქ პრუდონის ბევრს შეცდომებს არჩევს, ეს აქ მთლათ და სრულიათ არღვევს იმ ძედა ჭაზრებს, რომ ვითომც პრუდონი კომუნისტობის ჭაზროვნების ძედა ჭაზრებს ეკუთვნოდესო. ამ წიგნის კითხვების განმარტვაში პრუდონი ერთობ დიდათ სცდებაო. ამ შეცდომების მეოხებით იგი

არამც თუ კომუნისტია, არამედ ჩვენ შეგვიძლიან, რომ მას პაქტარა ბურჟუა უწოდოთ. ეს გარჩევა მარკსმა ცალკე წიგნათ დაბეჭდა. ამ თხზულების გამო პრუდონს ერთობ ბევრს მწერლებთან მოუხდა პოლემიკა და კამათობა. ასეთი ბრძოლა და კამათობა მას არც ერთი წიგნის გამო არ მოსვლია. სხვათა მრავალთა შორის ეს თხუზულება გაარჩია მოლინარმა და გაარჩია ისე, რომ არსად ერთი ცნობაც არ დასტოვა, მაგრამ ამან გაარჩია მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც მას უნდოდა, რომელნიც კი პრუდონის ეღრმეს ცოდნას და ნიჭს აჩენდნენ, ესენი კი მან უყურადღებოთ დასტოვა. ამ ეკნომისტ მოწინააღმდეგეთ დასსში მხოლოდ ბლანკი და გარნიე არ ერივნენ, ამის შემდეგ პრუდონსა და მთელ საფრანგეთის მწერლობას შორის გასწყდა სამუდამოთ კავშირი, თუ რა არის ეს წიგნი, რას შეიცავს ეს ისეთსას, რომ მის გამო პრუდონს საფრანგეთის ყველა ეკნომისტები გადაეკიდენ, ამის შესახებ ჩვენ აქ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას, ძრიელ მოკლეთ და უბრალოთ.

პრუდონმა ეს თხზულება თითქმის კრიტიკათ დასწერა ადამ სმიტიდამ მოყოლებული თვისს ეკონომისტებამდე; ადამ სმიტზე ის ამბობს, რომ ეს ყველაფერს ღვთის განგებულებით საზღვრავდაო; ეს ამბობს, რომ ყველა ჩვენ ძველთა და ახალთა ეკონომისტთა მოძღვრებანი მხოლოდ შესაბამ შედეგს მიაღწევენ და მათგან შეცდომის მეტი არა დაიბადება—რაო. ერთი სიტყვით ამ მოძღვრის სწავლა ისეთ ნაირათ არის გახმარტული, რომ იგი მხოლოდ შეცთომებით სავსე შედეგს მიიღებენო. აქ ბევრი რამ არის ამის შესახებ გამოთქმული. ეკონომიურის მოწინააღმდეგებითი მხარეების შესახებ ეს არის ერთათ ერთი გასაღები თეორეტიკულის მოძღვრების აზროვნების ეკონომიურს წესწყობილებაზეო. აქ პრუდონს სწამს, რო ეკონომიური განვითარება ისეთი რამ არის, რომლის წინ წაწევით და გავრცელებით კაცობრიობას შეეძლება სრულს თავის ბედნიერებამდის

მიღწევაო. ეს მეცნიერება მას მიაჩნია ერთ უწმინდეს მეცნიერებათ; მას მხოლოდ ის კი არ სწამს, რომ ამ მეცნიერებაში მართველობის ეკონომისტებისაგან რამე ცნობები შემოდიოდეს და ადგილს იჭერდენ. ესევე ხსნის იმას, თუ რა არის ეკონომიური განვითარება: ეს არის კრებული ცნობებისა შესახებ მწარმოებულთ და სიმდიდრის გაყოფისა. ამ თხზულებით პრუდონს სურდა, რომ იმ დროის ბევრს ეკონომისტებს, იდიალისტებსა და რეალისტებს შუა ჩამდგარიყო და თავის საკუთარის გამოცდილების მეოხებით ახალი, მაგრამ ხეირიანი და სხვა ძალოვნების ეკონომიური ასპარეზი დაეარსებინა. ეს აქ ნათლად არჩევს ეკონომიური მწერლობის მიმდევარ მწერლებთ და იმასაც ხმა მაღლივ ამცნევს მათ, თუ მათ თავიანთ ნაწერებში როგორი შეცდომები აქვთ მიღებული, ესენი როგორ სხვადებიან ზოგიერთ კითხვების განვითარებასა და ახსნაში და როგორ უსწორმასწოროთ მოუთხრობენ ბევრს რასმე. თუმცა პრუდონი წინააღმდეგია ბევრის ეკონომიურის მწერლების აზროვნების; თუმცა ეს დიდათ წინააღმდეგია მათის შეხედულობის, მაგრამ რაიცა შეეხება თვისს თანამედროვე ეკონომიურის ასპარესზე და საკუთრებითი მხარეებზე, ამის შესახებ კი რჩება ისე, როგორც სხვები. ეს თუმცა წინააღმდეგია ისეთის წესების, რაც არსებობდნენ, მაგრამ მას რას უზამს კაციო, მტაცებლობით არა მოხდება რაო. ამიტომ იგი ისევ და ისევ წყნარის და მშვიდობიანის მხრით სავსე საშვალებას უჩვენებს იმის საფუძვლათ თუ რა გვარი საზოგადო ეკონომიური დაწესებულებაები უნდა დაარსდნენ და ამ საზოგადო არსებაებით რა გვარი ეკონომიური ძირითადი ცვლილებაზ შეიძლება რომ მოვახდინოთო და შემოვიტანოთ ერში, სასარგებლოთ და ხელის გასამართავათ მრავალთაო. აქ რასაკვირველია, ეს ვრცლათ საუბრობს და ყველა ამის საშვალებასაც უჩვენებს. მას სწამს, რომ ამაების შესახებ მისი სჯა და ზოგიერთა მხარეების შესახებ საუბა-

რი და ახსნა სწორს და პატიოსნურ ეკონომიურს განსაზღვრას შეადგენსო. უმთავრესად კი ეს აქ ლაპარაკობს სარგებლის წინააღმდეგ და ზოგიერთა საგვარტომო ბანკების დაარსებისთვის; ამას გარდა აქვე მეტად ვრცელი ადგილი უჭირავს ფასის თეორიას და მის განსაზღვრას. ფასი, სარგებელი და სხვანი, ეს არის თითქმის უმთავრესი საგანი. ამ წიგნში აღძრულს კითხვების გამო პრუდონი ერთობ აღელვებული იყო. ამისთანა დიდი პოლემიკა მოუხდათ იმ დროის ეკონომიურს უკუღმართ მწერლებს, მწერლათ ხმობილს ბასტიას. ბასტიასა და ამას დიდი ბჭობა ჰქონდათ, რაის მიზეზსათაც გახდა ეს წიგნი და პრუდონის მწერლობა. პრუდონმა ამ პოლემიკას თავის გაზეთში მისცა ალაგი. პოლემიკამ შვიდ თვეს გასტანა, ამ ხნის განმავლობაში პრუდონმა ბევრი რამ ახსნა შესახებ ეკონომიურის განვითარებისა. ბასტიასთან კამათობა პრუდონისათვის საკმარის თვალსაჩინო საგანს შეადგენდა, რადგანაც იმ დროს ბასტიას ერთობ დიდი ხმა ჰქონდა მართველობის წინაშე, რადგანაც ეს იყო წევრი საფრანგეთის აკადემიის, წევრი ეკონომიურის სჯულის და ამავე საგნის მასწავლებელი ერთ უმაღლეს სასწავლებელში. პრუდონის მსჯელობამ დასძლია ბასტიასას და ეს პრუდონს რომ ველარაფერს აკლებდა, დასწამა მას სხვადა-სხვა შეთქმულობათა საზოგადოების მომხრეობა და წმინდა მეცნიერული ნიადაგის დატოვება. უნდა ითქვას, რომ ყველა თავიანთ კითხვებში ესენი უფრო სარგებლის შესახებ სჯიდნენ. პრუდონი სასტიკად მუსრავდა უწესო და უკანონო სარგებლის აღებას. ბასტია ამის შესახებ ამბობს, პრუდონს უნდა რაკი მე შეძლებულს ფული მაქვს, მე მას ვერსად ვხმარობ და ისე მიწყვია, ამიტომ მე მოვალე ვარ ის ფული უსარგებლოთ გავასესხო. აქ გამოდის ის, რომ პრუდონი ჩვენს შეძენას და დაცვას ეწინააღმდეგებაო. ბასტიას ბევრი რამ არ ესმოდა პრუდონის, ამიტომ ეს შეურყევლათ ადგა იმ აზრს, რომ მე შენ

გასესხო-რამე, შენ იმდენი სარგებელი უნდა გამოგართო, რამდენიც ჩემს სიამოვნებით სავსე გულს უნდოდესო.

უკანონო სარგებლის გამო პრუდონს მოყავს შემდეგი მაგალითი: კაპიტალისტი წყალში ჩავარდნილა და იხრჩობოდა. იქ გაიარა ღარიბმა მუშამ; კაპიტალისტი შველას თხოვს.

კაპიტალისტი. მიშველე, თორემ ვიღუპები; უძახის მუშას.

მუშა. ინებეთ, მხოლოდ მის მაგიერ მე ვთხოულობ მილიონს.

კაპიტალისტი. მილიონი! მისთვის, რომ ხელი მაწვდინო გაჭირვებაში ჩავარდნილს შენ ძმას! განა რა გიღირს შენ ერთი საათის დრო? მე გადაგიხდი მის სამაგიეროს.

მუშა. პასუხი მომე, მე დახმარებას აღმოგიჩენ თუ არა? თუ ამოგიყვან და დაგიხსნი მანდედამ, მაშ ყველა შრომას არ უნდა იქნეს დაჯილდოებული? ნუ თუ მე თავისუფალი არა ვარ, რომ ეს გითხრა თქვენ?

კაპიტალისტი. დიახ.

მუშა. მაშ მე ვთხოულობ მილიონს; ეს არის ჩემი უკანასკნელი ფასი. მე არავის ძალას არ ვატან.

კაპიტალისტი. შენ ბოროტებას ჩადიხარ ჩემის მდგომარეობით, მე გიწოდებ და გიხმობ წინაშე სარწმუნოების, ზნეობის და კაცობრიობის.

მუშა. გავათაოდ საუბარი როგორმე, მე არა მცალიან; ორში ერთი ამოირჩიე: ან დარჩი პროლეტარიათ და ან მოკვდი კაპიტალისტათ.

მეორე მაგალითიც. ზღვის ღელვის დროს ერთი კაცი გადარჩა და ერთ კუნძულზე გავიდა, აქ მან ნახა რობინზონი. რობინზონს მან დახმარებას სთხოვა, რობინზონმა უთხრა დახმარებას მოგცემ, ნიჩაბსაც გათხოვებ, მხოლოდ ამისათვის მე შენ გთხოვ 99 პურსო, რომელსაც შენ მოიყვან და შეაგრო-

კებო. რობინზონის მხრით აქაც საუბარი ისევ დაბოლოვდა— «მე შენ ხომ ძალას არ გატან, ნუ თუ ჩვენ ერთნაირათ არა ვართ თავისუფალნიო.» ასე და ამ გვარათ ახალი მოსული პირი რობინზონს უვარდება ხელში მსხვერპლათ. ასეთი მაგალითები მოყავს პრუდონს და ასეთის შეხედულობისა არის ის სარგებელზედ. პრუდონს ერთობ ეთანხმება ეკონომისტ პუბლიცისტი ბლანკი—«მუშა ხალხის შეერთების დამცველი, მომხრე პროლეტარიის, ლიბერალი:—«ჩვენი საუკუნე—ალმართა მან—ნახავს ქვეყანაზე მუშების შეერთების ძალასო.» პრუდონი ამბობს: ნივთზე ნივთის გაცვლის ხანა ერთობ მალე დადგებაო, რომ კაპიტალისტები არ არსებობდენ და არ ეჩხირებოდენ შუაშიო. ასე, რომ ამ წიგნში და პოლემიკაში პრუდონმა ხელმეორეთ და მეათედ გაარჩია მუშა ხალხის მდგომარეობა, გაჭირებული მათი ცხოვრება, მათი მუშაობის ფასი, ფასის კანონიერათ დადგენა, საქმის კანონიერათ დაფასება და სხვანი. აქვე მოიყვანა მან ის, თუ როგორ უნდა დაარსონ საგვარტომო ბანკები, მისი ბილეთები, მუშების ნდობა, მათი ბილეთები, ხელის გამართვა იმ მუშების, ვისაც შეეძლებათ მხოლოდ ჯანი მიაჩნია; იმან უნდა ისარგებლოს. გილდენბრანტი პრუდონს ამაში უარყოფს. ეს ამბობს რომ აქაც კიდევ შეძლებული მუშა ისარგებლებსო. სჩანს ამასაც არ ნდომნია პრუდონის კარგათ გაგება, ყოველ ხელოსან ხალხს თავის ნდომის ბილეთი აქვს, ბილეთებზე აღნიშნულია ის, თუ მე შენ რა გამოგართვი და რის მოვალე ვარ შენი, როცა შენ რამე მოგინდება, მაშინ ჩემ ბილეთს სხვას აძლევ, ის კიდევ სხვას და ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ მე საგვარტომო ბანკის საშუალებით იმ ჩემ ბილეთს ვიხდი და ვაუქმებ. ბანკიდგან გაცემულს ბილეთს ერთობ მცირე სარგებელი აქვს, ისე რომ რამდენი ფულიც მხოლოდ ბანკის მოსამსახურეების ჯამაგირისთვის არის საჭირო. მოგებით აქ ის არის მოგებული, რომ გაჭირვებულმა ერმა ისარ-

გებლოს და სხვანი და სხვანი. ამავე გაცხარებულის პოლემიკის დროს ესწრებოდა მუშების კრებებზე, ამზადებდა ამათ სახელმწიფო გამგეობაში და საქმეებში, ამზადებდა სოციალურის სულით და თავისუფლების გულისათვის რესპუბლიკის აღორძინებისათვის. მთელი მისი შრომა მიმართულია სოციალურ რესპუბლიკის წესების აღორძინებისათვის. თუმცა რევოლიუციის წინა დროებში კრთხნობით ეს არც ერთ საამბოხო საქმეში და ყრილობაში მონაწილეობას არ იღებდა. შემდეგ კი რაკი მან ნახა თავისს ქვეყნის უბედურება, ეს მან ვეღარ მოითმინა და მის შემდეგ ეს გახდა აშკარა სოციალისტ რევოლიუციონერათ. ამ დრომდის კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს სოციალისტებს და კომუნისტებს სულაც არ უახლოვდებოდა, მათ მოძღვრების პროგრამასაც თითქო არ ეთანხმებოდა. ამას პრუდონი აშკარათ აღიარებს: «მე სოციალესტების განძრახვას და მოღვაწეობას ჯერ ვერ დავემორჩილებიო.» ზოგიერთ მწერლებს სწორეთ ეს ცნობები და პრუდონის ეს ხანა აქვსთ სახეში, როცა ესენი პრუდონის სოციალისტობას უარყოფენ. ამ ხანებში საფრანგეთის სხვა-და-სხვა დასთა პირებისაგან მომხდარ ამბოხებათა გამო პრუდონი თითქმის სტიროდა და სტიროდა არამც თუ მარტო მუშა ხალხს, არამედ ცუდს და მრავალ ცოდვილს თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიასაც, რომელნიც ანიავებულ იქმნენ თავიანთის სასჯელის გამო თავის საცხოვრებლით და შეძლებისაგან. ერთის მხრით პრუდონს ძრიელ სწყინდა ვისიმე ქონების აკლება და წართმევა მუშებისაგან. არც ერთ მუშას არ უწონებდა ასეთს საქციელს, მაგრამ ამათ გასამართლებელ საბუთებსაც არ ფარავდა და ეს ხმა მაღლა საუბრობდა თავისს გაზეთში და მუშა ხალხს იცავდა და ამართლებდა. ამ დროს მისი გაზეთის ხელის მომწერთა რიცხვმა ოთხმოც-ათასამდე მიაღწია. ამ ხელის მომწერთა შესავლიდამ იგი თავისთვის იტოვებდა 25 ფრანკს და დანარჩენს ურიგებდა საწყალ-

ხალხს, წოდების განურჩევლად, პრუდონის ესეთი საქციელი სწორეთ უმაგალითო მაგალითს წარმოგვიდგენს კაცობრიობის ისტორიაში. ამ დროს პრუდონს ოთხი სხვა და სხვა დროგამოშვებითი გამოცემები ქონდა, რომლებშიაც ის თავისის თანამოძმეებით ხმა მაღლა ქადაგებდნენ თავისს მოძღვრების დედა აზრებს. ამ დროგამოშვებითი გამოცემებიდამ ცალკე წიგნებათ გადაბეჭდვის და ზოგიერთი სტატიების გამო პრუდონს მართველობამ ჯარიმათ 3000 ფრანკი დაადო და სამის წლით ციხეში ჩასმა. ეს ჩასვეს ციხეში, მაგრამ საქმემ ისეთი მიმართვა მიიღო, რომ იგი მალე განთავისუფლეს. ამავე წლის 31 ივლისს ნაციონალურთ დასთა კრებაზე ამან წარმოსთქვა სიტყვა, სადაც იცავდა თავისს თავს. ამას გარდა ამან აქ მუშა ხალხის პირად თავისუფლების მხარეებსაც მისწვდა. აქავე ამან დიდი წინაამდეგი აზრები განუცხადა იმის შესახებ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ბევრს რასმე სტოვებს უყურადღებოთ. 1848 წ. რევოლიუცია წარმოსდგა პირ-და-პირ სოციალიზმის მოძრაობის დასაწყისიდამო. ჩვენ ან გზა უნდა აუქციოთ რევოლიუციას და სხვა ცხოვრების გზაზე უნდა წავიდეთ, სხვა წესები უნდა მივიღოთ და ან სოციალიზმის გზაზე უნდა წავიდეთ. ეს მართველობას თხოვდა ლოღიკას და მის მიმდევრობას, მაგრამ მისი მოთხოვნილი ლოღიკა ბურჟუაზიულის რესპუბლიკელებისაგან უარყოფილ იქმნა და არად მიღებული. პრუდონი არად იცნეს, მისი მსჯელობა უყურადღებოდ დასტოვეს, რადგანაც ეს სიტყვა იყო სურათი მთელის ევროპის უსამართლო გამგეობის გარყვნილებისა. აქ ესენი თავიანთ თავებს დაინახავდნენ და იცნობდენ თავიანთ შერცხვენილ და საგმობელ თავებს; მერე განა ასეთი გადაღებული სურათის ცნობა ადვილი საქმეაო, სადაც გარყვნილი ერი შიგ თავის სნეულს თავს დაინახავდაო, იმ დროს მართველობას ეს სოციალიზმს ყოველთვის შიშის მსგავსის ზარით ასმენდა. ეს ამ დროს დიდის

გულს მოდგინეობით დაობდა ყოველი პირის პირად ღირსება-ზე და მის საშვალებით ბევრს ძველის აზრების განრიგებას, რომელნიც აღორძინებულან ძველის-ძველი სხვა-და-სხვა უწესო ძალოვნებათა მეოხებითო. ამგვარს მსჯელობითი მხარეებას დროს ეს სწერდა ერთ წიგნს რომელსაც რუსულად: «Очерки теорiи личности» ჰქვია. ამ წიგნის სჯა და საგანი, თვით სათაურის თანახმათ შეიცავს განმარტვას, რასაკვირველია ყო-ველნაირის მეცნიერულის მიმოხილვით და განმარტვ-განსაზღვრე-ბით. ამ დროს საფრანგეთში დიდი ჭმბოხება იყო სხვა-და-სხვა ეკონომისტებში ზოგიერთ საკრედიტო კითხვების გამო. სხვა-და-სხვა პირს დავალებით პრუდონმა მოკიდა ხელი ფინანსიური და საკრედიტო რეფორმების პროექტის შედგენას. ეს პროექტი წინააღმდეგი იყო იმ საშვალების და მხარეების, რასაც ლუი-ბლანი მოუთხრობს თავის პროექტით; აქ ერთი თანამომხრე «ლესეფფე ლესე პასე»თ და მეორე წინააღმდეგი ამისა. ამის შემ-დეგ პრუდონს, ლუიბლანს და სხვებსაც მრავალთ დიდი კამა-თობა მოუვიდათ მუშა ხალხისთვის ქარხნების და ბანკების დაარ-სების გამო, ყველა ესენი ამაების წესებს ადგენდენ; ლუიბლან-მა და პრუდონმაც შეადგინა წესდებაები, მაგრამ ამათში ლუი-ბლანის იქმნა მოწონებული და პრუდონის კი უარყოფილი. მცი-რე ხნის შემდეგ ლუიბლანის წესდებაც მიაგდეს და ამის გამო ლუიბლანიც შეუერთდა სხვებს და მუშების მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღება დაიწყო; ამათ შემდეგ მათ აღმართეს მუშა ხალხის დროშა, რომელზედაც ეწერა: «Министерство работы.» ამის გამო ლუი ბლანი მართველობამ სამართალში მისცა; ამის დასჯას ყველაზედ უფრო ჟულ-ფაბრი თხოულობ-და. ბევრის ალიაქოთის შემდეგ აქ მალე დაარსდა სავარტომო ქარხნები. აქ შეკრიბეს მუშა ხალხი და დააბინავეს დროებით, ლუი ბლანიც დანიშნეს ამ სავარტომო ქარხნების გამგეთ. ქარხნების საქმე ცუდათ წავიდა, ზარალი დიდი იყო, მართვე-

ლობამ გარდასწყვიტა ქარხნების დაკეტა. თუ არ დავკეტთ, მაშინ სხვა წესდებით უნდა გავხსნათ, ე. ი. ლუიკსენბურგის კამისიისაგან შედგენილის წესებითო. მალე ქარხნები დაიკეტა. აქ უცბათ პარიჟი ბარიკატებით მოეფინილიყო, ამ დროს პრუდონი წამოდგა წინ, აღიმაღლა ხმა და მუშა ხალხს მოაგონა თავის წესდების პირობები. ამის საქმე ისე წავიდა, რომ მუშა ხალხი ქუჩებში ყვიროდა, რომ «პური ან ტყვიაო!.. პრუდონმა დაიწყო წერა და ამბობდა: «ოცდა-ათი ფრანკი საუკუნო სიღატაკისთვის, ეს ჩვენ მოგვაგონებს ოცდა-ათს ვერცხლს, რომლისათვისაც იუდამ გაყიდა იესო ქრისტე» ე. ი. მსგავსად ამისა მოიქეცით თქვენცა და ოცდა-ათ ფრანკათ გაყიდეთ თქვენი სასარგებლო საქმეო. ამის შემდეგ მან ხელ ახლავ მოჰკიდა თავის წესდების გადაკეთებას და შემუშავებას. 1849 წ. მან ეს წარადგინა ერთ ნატარიუსთან, განსახილველად და დასამტკიცებლად. ამას ეგონა, რომ ასეთი შემთხვევის შემდეგ შეიძლება, რომ მუშა ხალხში ჩემი წესდების თანხმად სახალხო ბანკებიც დავაარსოთო. თუ რა მოსდა, რა გავლენა, როგორ შეხედეს ამას ხალხმა ეს კი არ ვიცით და ის კი სჩანს, რომ მათ ბანკების ბილეთების საბეჭდი ქვებიც მოამზადეს, ის იყო ბეჭვდა უნდა დაეწყოთ, რომ მათ პოლიცია დაეცა, ყველა ესენი დაიჭირეს, ამათში 48 კაცი იყო და 9 ქალი. ყველა ესენი სამართალში იქმნენ მიცემული, როგორც სახელმწიფო წესების მოღალატენი. პრუდონი დააპატიმრეს, ამ დროს ეს დაუახლოვდა ნაპალეონს, ამას სწამებდა, რომ ნაპალეონი ნამდვილი ლიბერალიაო, ამათ ერთმანეთში წერილების წერაც გამართეს, საქმე იქამდის მივიდა, რომ მონარხიულის ჯაზროვხების მსხვერპლი ნაპალეონი კინაღამ გასოციალისტდა, ეს ორჯერ პრუდონსაც კი ეწვია ციხეში, პრუდონი ამას ემუსაიფებოდა იმ დროის პოლიტიკურ სისტემაზე, აღმოსავლეთის კითხვების შესახებ და დიდათ ეწინააღმდეგებოდა ყირიმის

ომის საქმეს, ჰკიცხავდა კიდევ ასეთ კითხვებთა მომწონ საგვარტომო დემოკრატებს, ეს ამბობდა: დღევანდელი სისტემა დასაღუპია თვით ნაპოლეონის დინასტიისათვის, რადგანაც მფარველობას უწევენ კლერიკალებსო, ესენი აუცილებლად მოაბრუნებენ გენრის მეხუთესო, რომელსაც სამღვდელოებაც ემხრობაო. ამათ დიდათ სძული ნაპოლეონ მესამეო. ნაპოლეონი განგებ გახდა სოციალისტ-დემოკრატათ. ეს ნაციონალურის დასთა კრების საშვალებით დიდათ მეცადინეობდა, რომ თვისი ავტორიტეტი აემაღლებინა მუშა ხალხში. ეს აქ მეტის-მეტ ოსტატურათ დატრიალდა და ერთობ ოსტატურათაც თამაშობდა. ამ ტყვეობის დროს პრუდონს ისე გაუჭირდა საქმე, რომ მისთვის საშვალებათ ერთი გაქცევა რჩებოდა, რადგანაც მას სამინისტროც ემტერებოდა, მცირე ხნის შემდეგ ამან მოახერხა ბელგიაში გაქცევა, სადაც მან დაჰყო რამდენიმე ხანი და მერე კი პარიჟში დაბრუნდა საიდუმლოთ სახელგვარით და სახის ცვლილებით. ერთს რკინის გზის სადგურზე იცნეს ის, მაშინვე დაიჭირეს და სამის წლით დააპატიმრეს, რადგანაც სხვა-და-სხვა დანაშაულობას გარდა პრეზიდენტის შეურაცხობასაც წამებდნენ. ბევრის მეცადინეობის შემდეგ საპატიმროდგან პრუდონი განათავისუფლეს და მისი ნაწერები კი აღკრძალეს სულ ერთიანათ. ამ დროს მას ერთმა საზოგადოებამ მიანდო ერთის პროექტის შედგენა, რკინის გზის გაყვანისთვის; ამის პლანი საზოგადოების მართველობამ მოიწონა და რკინის გზის გაყვანა ამ საზოგადოებას მიანდეს. ამის გამო იმ საზოგადოებამ პრუდონს აძლია **40,000** ფრანკი, მაგრამ პრუდონმა არ აიღო: მე ფულისთვის როდი შევადგინე ეს პროექტი, არამედ ჩემის დემოკრატიულის იდეის მეოხებით, რომ მე განმხორციელებიყო ზოგიერთა ჩემი აზრები სასარგებლოთ სხვათაო, ე. ი. მთელი მხრის ერის ინტერესი მქონდა სახეშიო და რაკი მე მას მივაღწიე, მის შემდეგ ჩემგან ფასის აღება არ შეიძლებაო, უნდა

ვსთქვათ, რომ პრუდონი ამაებით მეტის მეტი გაუტეხარი და შეუდრეკელი კაცი იყო. ამას სურდა, რომ რასაც ის სიტყვით იძახდა საქმით განხორციელებულიყო. ასეთის მაგალითებით სავსეა მისი ცხოვრება. 1851 წ. რევოლიუციის შემდეგ პრუდონი თითქმის ფეხს იკვეთავს საფრანგეთში. იგი აქედგან მირბის ბელგიაში ფეხით და იქიდგან უცქერის თავის ქვეყნის მდგომარეობას. თუ რა ძლიერებითი პირია ეს, ამას ცხადათ აჩენენ მისგან გამართული წერილების მიწერ-მოწერა, 1852 წ. შემდეგ, როცა მას დამნაშაობაში ჩამოართვეს ერთი თავის წიგნის შინაარსში ეკკლესიის და სარწმუნოების ცუდათ მოხსენება. 1852 წლების შემდეგიდამ, ვიდრე 1857 წლებამდის ეს თითქმის სულ თავისს დაწყებულ თხზულებების დათავებას უნდება და გოდესთან, დარიმონთან, ბერგმანთან და სხვ. მიწერ-მოწერას ეს დიდათ თანამგრძნობელია იმ პირთ, ვინც განიზრახეს და სცადეს კიდეც ნაპოლეონის სიკვდილი. დაე დაილუპოს ჩემი მამულიო. მით ერს მაინც ეშველება რამეო, ამბობდა პრუდონი. 1855 წ. მას კითხა ერთმა აბატმა შემდეგი კითხვები ეკლესიის განსაკუთრებით კათოლიკის და სარწმუნოების შესახებ. ამაზე პრუდონმა ასეთი პასუხი გასცა მას: «მე ატეისტი ვარ, როგორც მალბრანში, სპინოზა, კანტი, ლეიბნიცი, ჰეგელი; არც მეტი არც ნაკლები, აქედამ არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ვითომ მე მათებურის ფილოსოფიის აღმასრულებელი ვიყო. მე მაქვს ღმერთზე, რჯულზე და სულზე საკუთარი რწმუნება და შეხედულება. «შემდეგ ამბობს სოციალიზმს კათოლიკის ეკკლესიის წინააღმდეგ არაფერი აქვსო. ეს წერილი სულ ექვს ახსნას შეიცავს, აქ ლაპარაკობს კაცის გონობაზე და მის სარწმუნოებაზე, თუ რა არის სარწმუნოება, გონება და ან ამათ როგორი ხასიათების მქონი კავშირი უნდა ქონდეთ ერთმანეთში და პირველობა ვის უნდა მიეცესო. იგი საზღვრავს, თუ კაცს წმინდა გონება არა აქვს,

უამისოთ მისთვის სარწმუნოება ბნელი რამ უნდა იყოსო; მაშასადამე სარწმუნოება გონების სიფაქიზისაგან წარმოდგება და არა ისე, როგორც ჩვენ თეოლოღებს სწამთ, რომ გონება სარწმუნოებისაგან წარმოიშობაო. ამის ახსნა მჭიდროდ ექვემდებარება ფსიხოლოგიურის ნათელის მქონე ჭეშმარიტებითი ახსნას. თუმცა აქ იქ მეტაფიზიკურს ოცნებასაც ეძლევა, მაგრამ ისიც არ არის დასავიწყიო, რომ იგი პოზიტიურს განვითარებაშიაც გამოჩენილი პირია. ამას ცხადათ ამტკიცებენ მის მიერ დაწყობილი შრომანი, რომელნიც მან შემდეგ გამოსცა. ამის შემდეგ პრუდონი ევროპამ იწამა პოლიტიკაში სრულს ანარხიის მოხოვნელათ. ამ კაცის სახელით თვით ყმაწვილებსაც კი აშინებდენ. ამის შემდეგ მან გამოსცა «O биржевой спекуляціи.» ეს შრომა შინაარსით მეტი რთული რამ არის. ამიტომ ეს მას ერთობ აუმღვრებდა, მაგრამ ამის გათავებას იგი მაინც არ ანებებდა თავს. ამ დროის შემდეგ იმან გამოსცა თავის შესანიშნავი თხზულება, რომელზედაც იგი ერთობ კარგა ხანსაც შრომობდა. ეს მეტათ შესანიშნავი თხზულება არის: «O справедливости въ революціи и церкви.» ეს თხზულება მას ერთობ წინეთ ჰქონდა დაწყობილი და სწერდა, მაგრამ ამის გათავება მას მალე ვერ ეღირსა და ამას იგი ვერც მალე გაათავებდა. ეს თხზულება მას უნდა გამოეცა ნაწილ-ნაწილ და ისეც დაიწყო გამოცემა. გამოსცა პირველი ნაწილი, ამის მსჯელობა აქ თავისუფალ მოაზრეობით იყო გარემოცული და იგი ბევრს რასმე დიდს კამათობასაც უწევდა. მართველობამ ეს წიგნი მავნებლათ ჩათვალა, ამიტომ პრუდონი სამართალში მისცეს და სამართლის გარდაწყვეტილების ძალით 4000 ფრანკი ჯარიმათ დაადვეს და ერთს წელიწადს ციხეში დაჯდომა. ამ წიგნში სხვათა შორის ეს ერთობ გატაცებულია დაბალი წოდების სიყვარულისაგანა და ამიტომ იგი ერთ ალაგას მედიდურებით ამბობს იმას, რომ მისი მამა მუშა კაცი

იყო და დედა საჭმელების მოსამსახურე დედაკაცი. ამ დროს პრუდონი საფრანგეთში სხვა-და-სხვა პირების თავდებობით სცხოვრებდა, მაგრამ მაინც ამან 4000 ფრანკის გადახდის უქონლობის გამო და ერთი წლით ციხეში ჩაჯდომის, საფრან-გეთიდამ ბელგიაში გაიქცა და იქ დიდს გაჭირებას ითმენდა. 1860 წ. ამინსტიის შემდეგ იგი დაბრუნდა პარიჟში. აქედამ ისევ მალე მოუხდა წასვლა. ამ დროს ამას მზათ ჰქონდა ერ-თი ახალი გამოსაცემი წიგნი «О теоріи налога.» ამ თხზუ-ლების გამო ეს ახალ კიცხვას ელოდა მართველობის ეკონომისტ პირებისაგან. ამავე თხზულებას მან მიაყოლა ხარჯის გადახდა-ზედ «О податяхъ» ორივე ესენი პატარა წიგნებია. ამ წიგნე-ბის თავისუფალ მსჯელობის გამო ეს ამბობს: «მე არაფერი შეძლება მაქვს, არც არაფრის შეძენას ვნატრობ და ამიტომ არც არავის მეშინიან» ამ პატარა ნაწარმოებთ შემდეგ მან დაიწყო გამოცემა «Опыть популярной философіи.» ეს თხზულება პრუდონის არც ერთ თხზულებას არ ჩამოუვარდება, ნაცვლათ მის ბევრზედაც მაღლა სდგას. ეს თხზულება მეტათ დიდს მოვლენათ ჩათვალა ერმა და მართველობამ კი ცუდათ შეხედა. პრუდონს სურდა, რომ ამ სათაურით მას მთელი რი-გი წიგნების წერა და ბეჭდვა დაეწყო. ამაში მას უნდოდა განემარტა მწერლების და მწერლობის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია. მორალი, გეოგრაფია, ბუნების მეცნიერებაც კი და სხვანიც მრავალნი, რომელნიც სათაურს არ ეთანხმებოდენ. აქვე იქმნებოდა აწერილი ვოლტერი, დიდრო, რუსო და მრავალიც სხვანი, მთელი მეთვრამეტე საუკუნის ენციკლოპედისტები თა-ვიანთის მოღვაწეობით. პრუდონი ამ წიგნში ბევრს საზოგადო-დაწესებულებებს ერთობ სასტიკათ ეხება, რაც გახდა მიზეზი მართველობის ადევნებისა მის წინააღმდეგ. ამას გარდა ეს აქვე ეხება სარწმუნოებას და მორალს. ამაზე სამღვდელოება ერთობ აეწინააღმდეგა. იმის სჯაში კი არავინ შედიოდა, თუ რაში

იყო პრუდონი დამნაშავე და მტყუანი. ასეთი გადაკიდების შემდეგ ეს სამუდამოთ დამკვიდრდა ბელგიაში და იქიდამ მკაცრად აღუდგა წინ ნაპოლეონ მესამის დესპოტიზმს. ამ დროს მან გაიცნა ერთი ემიგრანტი, რომელიც მის «о справедливости»ს უზომო თაყვანის მცემელი ყოფილა. ამას მოუმზადებია მთელი რიგი ლექციებისა, რომელიც მას საჯაროთ უნდა წაეკითხა და წიგნის თედა ჭაზრები უნდა დაეცვა. აქედამ ცხადათ სჩანს, თუ პრუდონი რა სიძლიერის კაცი უნდა ყოფილიყოს, რომ ყველა ასეთი მოვლენანი დაეძლია და თვისი გრძნობები არ განელებიყო. კაცი, რომელიც თავის ცოდნით და ნიჭით ერთ ბეწოსაც არ იხევს უკან, ეს სამარცხვინოდ და საკვირლად ვერაფერს აწყობს თვით განათლებულს ევროპაში და მას ამის გამო თავის სიკვდილამდის უხდება მწარე და შეურიგებელი ბრძოლა, ბრძოლა ჭაზროვნების და ნამდვილის ჭეშმარიტების. იმასაც ვიტყვით, რომ ამან ბევრს მწერალს კი შეურცხვინა გრძნობა, ამას შეეძლო რომ კარგათ ეცხოვრა და დიდი სიტკბოებაც ეგემნა, მაგრამ არა, ეს სამუდამოდ სდგას მძიერ მებრძოლათ, თავის უკანასკნელს დღემდის იბრძვის გაუტეხელათ, თავისუფლებით საკსე თანასწორობისთვის კვდება. როგორც სწერენ: უბრალო მუშა—უბრალო მუშად. ასეთ პირს კი ხშირად ვინ იცის როგორ იხსენებენ და რა შეცდომებს და ცოდვებს აწერენ, ამ გამოჩენილს და მარად მოსაგონარს ძველს ხეირიან ეკონომისტ პირს.

ამის შემდეგ ბრუსელში იყო ლიტერატურული კონგრესი. აქ უნდა გაერჩიათ ლიტერატურულს საკუთრებაზე და მემკვიდრეობით მფლობელობაზე. სხვათა შორის აქ სჯიდა გამოჩენილი ჟულ სიმონი. ამ პირის წინააღმდეგ გამოვიდა პრუდონი. კონგრესის შემდეგ მან დასწერა ერთი წიგნი სადაც ეხება და იცავს ლიტერატურულის შრომის დედა ჭაზრებს. ამ თხზულებას ჰქვიან:—«литературные майораты» ამ წიგნის გა-

მო პრუდონს საფრანგეთში ძრიელ აეწინააღმდეგნენ და წიგნიც სასტიკის ცენზორის მხედველობის ქვეშ აღიარეს. ამის გამო პრუდონმა სთხოვა ერთს თავის მეგობარს, დარიმონს, საფრანგეთის კანონ მდებელთა კორპუსში დეპუტატათ ყოფილს, რომ ეს მას მართველობის წინაშე დასხმარებოდა. ეს თხზულება პრუდონმა დაბეჭდა 1862 წ. წიგნი შეიცავს I ეკონომიურს განვითარებას. II ზნეობითი და ესტეტიკურ შეხედულებას და III სოციალურს შედეგს. ამ წიგნის უმთავრეს მიზეზათ კი ის გახდა უფრო, რომ ნაპოლეონ მესამის ბრძანებით პარიჟში კრება იყო. სადაც სჯიდნენ და აღგენდნენ ახალს კანონს ლიტერატურულის საკუთრებისა, კრებამ დაადგინა მწერლებისათვის უკადო თავისუფლება. ასეთი უფლების შემოღება პრუდონს ერთობ სწყინდა. ასეთი უფლების შემოღება მას ერთობ უზრდელათ მიაჩნდა. ეს მონოპოლიას წარმოადგენსო. საფრანგეთის მწერლების წინაშე ნაპოლეონს ამით სურს, რომ თავის ცოდვები მოირეცხოს და მოიბანოსო და თავისი თავი ზოგიერთ პირთ წინაშე ნამდვილ პირათ გამოსატოსო. პრუდონი აქაც ისევე ეწინააღმდეგება საკუთრებას, როგორათაც თავის თხზულება «საკუთრების» შესახებ. აქ პრუდონი ამბობს: რაკი მწერალმა რამე დასწერა და გამოაქვეყნა, მის შემდეგ ის ერისთვის ისეთსავე კუთვნილებათ ხდება, როგორც სინათლე; მზის სხივი, ჰაერი და სხვანი. იგი რაკი გამოქვეყნდა, ამიტომ გამოქვეყნდა, რომ მის მეოხებით იგი საზოგადოდ გახდეს და თავის პატრონი და პატრონობა კი დაჰკარგოს. პირველ გამოქვეყნების შემდეგ მას პატრონი აღარ უნდა ჰყავდეს, ამიტომ რომ პატრონმა ეს თავისთვის კი არ დასწერა, არამედ ერისთვისო. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალს ეს დუქან ბაზრობაში უნდა ჩამოერთოსო. მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ დუქან ბაზრულის მიმართვით და შეკვეთით ვისმეს რამე დაეწეროსო. მაჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ ვინმე ხეირიან მწერალს, ფო-

ლოსოფს, ან სხვა ვინმეს თავის გამოჩენილი თხზულებას მას თუ არ თავის სურვილით სხვის ბრძანებით დაეწეროს, ანუ სხვის ფულის მიცემით. თუ კი ჩვენი წმიდა მამებისაგან დატოვებული ლოცვები გახდენ ისე, რომ დღეს მასზე უფლების და პატრონობის განცხადება არავის შეუძლიანო. მის შემდეგ ჩვენ რაღა დაგვემართება, რომ მას აუქციოთ გზა და კვალიო. თუ კი ამ წმიდა მამების ლოცვებმა დაჰკარგეს თავიანთი საკუთრება და იგინი მთელ ერის კუთვნილებათ გახდენ, მის შემდეგ ვანაღა შეიძლება, რომ რამე ვსთქვათო! ასეთი საკუთრების მხოლოდ ის პირნი იქმნებიანო, რომელნიც ლიტერატურას არშინით ზომავენო. რომელი პატიოსანი მცოდნე პირი იკადრებს იმას, რომ იმან თავისი ნიჭი ფულზე ათამაშოს და ჰყიდოს. ეს რომ ასე იქმნეს, მაშინ ყოველი ნიჭის და მღიერების მოპოვებაც ფულით შესაძენელ ძალათ გახდებაო. ამაზე რომ წავიდეს, მაშინ სულ უკუღმა უნდა იტრიალოს კაცობრიობამაო და ფულის პატრონთ მეოხებით თავიანთი ჰაზრი და მიმართულება ისე უნდა აწარმოვონ და ათამაშონო, როგორც ამ პირთ მოეწონებათო. ასე რომ ამის შესახებ სჯა სულ უბრალო რამეთ მიმაჩნიაო. მაგალითად: ერთის ისტორიულის წიგნიდამ, რომ მეორე პირმა დასწეროს მეორე თხზულება, თავის სიტყვებით, ცნობები კი სულ პირველიდამ იქმნეს აღებული, როგორც ამაზე არ შეიძლება ქურდობის დაწამება, ისევე ლიტერატურულს საკუთრებაზე მეტია საუბარიო. ამ წიგნში მართლაცა და ბევრი ისეთი საინტერესო და კაცისაგან მოუფიქრებელი ცნობებია მოყვანილი, რის წაკითხვის შემდეგ ყოველი პირი უტყუვრათ დაადგება და დარწმუნდება პრუდონის დედა ჰაზრებზე, რომ ჭეშმარიტათ ეს ასეც უნდა იყოსო და არც ერთ უდიდეს პირს არ შეეფერება ის, რომ თავის ჰაზრებს კრუხივით აჯდეს ზევიდამ და ხალხს უფულოთ არას აძლევდეს. ეს მწერლათ კი აღარ ჩაითვლება, არამედ თავის სინიდისის ვაჭრათაო. მაშა-

სადამე საითაც კი ფულს მისცემენ, ესეც იქითკენ წავა. ამიტომ რომ ეს თავის ჰაზრით ფულის მსხვერპლია, ფულის მონა არის და არა ჰაზროვნების და მის განმარტების. ამისთანა მწერლები შორს ჩვენგან, იქით ესენი, ესენი რის მწერლები არიან, ამათ რა დავალება უნდა წაუძღვეთ კაცობრიობის წინაშე. ამათ განა ოდესმე ხმა ამოუღებიათ თავიანთი ღვაწლის და კაცობრიობის დავალების გამო. ასეთ მწერლებს განა ერი კი უნდა აფასებდეს და პატივს სცემდეს, არა ჭეშმარიტად, რომ ესენი ღირსნი არ არიანო. ასეთის შეხედულობის იყო პრუდონი იმ დროის მწერლებზე და ამ ჰაზრს ადგა შეურყევლად. ერთის სიტყვით, ეს დიდი მოკამათეა საკუთრებისა და ეს ამ «საკუთრებას» არსად სტოვებს ხელ შეუხებლად, საკუთრების უარ ყოფა არამც თუ მარტოთ ქონებრივ ძალოვნებაებზე აქვს მიმართული, არამედ თვით ჰაზროვნებაზედაც, რომ რაკი მწერალმა თავისი ჰაზრი გამოაქვეყნა, დაბეჭდა, მის შემდეგ მას საკუთრების ძალა ეკარგებაო.

ასეთი მოსაზრების და ჭეშმარიტი განსჯვრეტის შემდეგ ნეტა რას ბრძანებენ ზოგიერთი ჩვენი ქართველი მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწერებს კრუხებივით გადაასხდენ დღესა და არავის არაფრის დაბეჭდვის ნებას არ აძლევენ. განა სათაკილო არ უნდა იყოს და მასთანვე სამწუხარო, რომ ჩვენი მწერლები ასე ადლითა და არშინით ზომავენ თავიანთ ნაწერებსა!

«საფრანგეთის დემოკრატია»-ში პრუდონი მკაცრი წინაამღდეგი იყო ყველა იმ პირებისა, რომელნიც მას აზრებში არ ეთანხმებოდენ, ეს ამის გამო წინაამღდეგი იყო თვით ლუი ბლანისა. ამას გარდა გარიბალდის, ლინ-კოლნის და სხვების. ცხადი საქმეა, რომ პრუდონისაგან ეს უარ-ყოფილნი პირნიც დემოკრატებათ ითვლიდენ თავიანთ თავსა და თავიანთის დემოკრატიულის დედა აზრების მეოხებით კი ისეთ მოძღვრე-

ბას და ბრძოლას ადგენენ, რაც ხელს უშლიდა და ეწინააღმდეგებოდა იმ დროის მათ ერის ეკონომიურის განვითარების უპირველესობას პოლიტიკურ მხარეებთან. ყველა ასეთს პირებს პრუდონი მკაცრად ეხება და ამათ თითქმის წყევლა-გმობით მოიხსენებს. ამათ გარდა თვით ბევრს უდიდეს აზროვნებებსაც მიწასთან ათანასწორებს, მაგალითად: ეს ასე იხსენიებს პოლიტიკურის აზროვნების მექონე დემოკრატებს; დემოკრატია ელტვის მუშების ასოციაციებს, პრუდონი კი ამის წინააღმდეგია, ეს ამბობს: «რომ უჩემ წესდებოდ ეს ეკონომიური განვითარება და მისი წარმომადგენელნი იქმნებიან პატარ-პატარა შაიკები, რომელნიც დავუმხებულ იქმნებიან, რომ მრავალი უდიდესი მწარმოებელნი დასცენ და მათ იძულესასწაულონ უკანასკნელის დაცემითაო, ამას ელტვის დემოკრატიაო! დემოკრატია საფრანგეთის მწერლობას სიღატაკით მოიხსენებენ, პრუდონი კი ამბობს, რომ ბეჭდვა უნამუსოაო, იგი გაყიდულაა, იგი მილიონის ჯარიმებით ვერ გამოიხსნის თავს 2 დეკემბრის შეცდომებიდამო. დემოკრატია ელტვის თავისუფალ მრეწველობას, პრუდონი კი წინააღმდეგია ამისი, რადგანაც ეს შეთქმა არის მუშა ხალხის წინააღმდეგო. ასეთის შეხედულებით პრუდონმა დიდი აღიაქოთი ასტეხა მწერლობაში. არ დარჩა არც ერთი დემოკრატიული ჟაზრი, რომ ამას ეს არ ეგმო და არ ეძხილებინა. 1857 წელს პრუდონმა თავის თავი დაუძინებელ მტრათ აღიარა დემოკრატების, რადგანაც ამან ეს დემოკრატები დაინახა მართალ პროგრესსის წინააღმდეგ. ეს ეუბნება დემოკრატებს: «მე თქვენ გიცნობთ, თქვენ ორ-გულო დემოკრატებო! თქვენ ისე იქცევით, როგორც თქვენ გინდათ, რომ სხვებიც თქვენებურათ იქცეოდნენ, ეს ვერ იქმნებაო. ამის აზრით საფრანგეთის დემოკრატია წინ-სვლის მაგიერ უკან იცქირება, იმიტომაც არის, რომ მან არ იცის პროგრესსის მნიშვნელობა და ამის გამო იგი ხელის შემშლელად უხდება ხალხს, რომ ის გამოვიდეს პოლიტი-

ურის და სოციალურის მოძრაობისაგან და პირ-და-პირ ეკონომიურს განვითარებას დაადგეს. პრუდონს ამას ბევრნი ურჩევდნენ და უმტკიცებდნენ, რომ ეკონომიურის მხარეებისთვის და საზოგადო რეფორმისათვის დიდად საჭიროა თავისუფალი პოლიტიკური მხარეო. მაგრამ პრუდონი მაინც წინააღმდეგი იყო ამის. ეს ამბობს: «არა, მე ვრჩები იმ ჰაზრზე, რომ ეკონომიური განვითარება უნდა დადგეს პირველ ხარისხზედ. საკრედიტო რეფორმა ერთი უძლიერესი ძალაა მეცხრამეტე საუკუნის პროგრესისათვის». ამ თხზულების მხრით პრუდონი ჩათვალეს ერთ უდიდეს კრიტიკოსად. ეს მეტის მეტი მძებნელია ამის. ხშირად ეს ბევრს რამეს ივიწყებდა კიდეც, მაგრამ იგი ყოველთვის კი არ ივიწყებდა იმას, რომ ყოველი პირისთვის დიდს საჭიროებას შეადგენდა იდეალური სისუფთავე. ამის ქადაგება პირ-და-პირ იმას შეიცავდა, რომ რასაც იდეალისტები ქადაგებდნენ სიტყვით, ის იმას (სიტყვით) საქმით შეეცვალა. მას უნდოდა ეს და ამის გამო ის ითვლებოდა ერთ უსუფთავეს იდეალისტათ. სხვა-და-სხვა კითხვებთა გარდა ეს ეხება ხშირად თვით საოჯახო ეკონომიურს მხარეებსაც, მთელი ამის შრომა პირ-და-პირ ამას შეიცავს. რაც კი მის ძლიერს გლეხ-კაცურს ხელში ვარდებოდა, ყველა ამას იგი მძლავრად ამტვრევდა და ანაჭუჭებდა, ყველაფერს აქრობდა და ანადგურებდა. ზოგიერთი მწერლები პრუდონის მეცნიერულს მოღვაწეობას და ძალოვნებას სულ უარს ჰყოფენ, მან თავის უარის მყოფელ მიმართულებით მეცნიერებაში სულ ვერ დაიჭირა ადგილიო, ძირი ვერ მოიკიდაო. ეს ბევრს მეცადინეობდა ამ უარის ყოფით რომ უდიდესი დაცემა და ცვლილება მოეხდინაო, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა და თვის სიკვდილის შემდეგ მან მეცნიერებაში ვერაფერი კვალი დასტოვა, გარდა მჭევრ-მეტყველურის კილოთ უარის ყოფის და დაქცევისაო. მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტი. ამისი ჰაზრები არამც თუ მის შემდეგ დაეცნენ, არამედ იგინი ყოველს მეცნიე-

რების ნაწილში და პოლიტიკურს ვითხვებში ადგილს იჭერდენ და ძირს იმაგრებდენ. ასეთის სიძლიერებით სავსე ბრძოლის უმთავრეს საფუძვლად მას თვალ წინ ედგა დაუვიწყარ დროშათ იმ უდიდეს პირების სახელების მოგონება, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე, სიამოვნება, ჭირის გემო, სიხარული და სხვანი მხოლოდ ხალხის თანასწორებრივი უფლების ძებნაში გაატარეს, სრულიად მას მიეცნენ სამსახურად და ბოლოს როცა საჭიროება დაინახეს, მაშინ მათ ამისთვის სიცოცხლეც არად დააფასეს. ესენი ხალხის დაცემული უფლების აღდგენის გამო მთელი რაზმები მიდიოდნენ მტრის წინ საბრძოლათ, ზოგი სახრჩობელაზე ასასვლელათ თეთრს სუდარში ეხვეოდა, ზოგნი ოცდა ათ ტყვიით გატენილ თოფიან სალდათებს გულამაყად წინ უდგებოდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ. ასეთ დახოცილ პირებში რამდენი ნიჭიერი კაცია მოყოლებული, რამდენი მეცნიერი, რამდენი ფილოსოფოსი, რამდენი ახალ ჭაზროვნების მათაყვანებელი მამულის შვილი, რამდენი დიდად პატივ საცემნი და მარად სახსოვარნი პირნი დაღუპულან. ამას კაცი ვერ მოსთვლის. ნათქვამია: «სიცოცხლე ტკბილიაო, ადვილი საქმე არ არის კაცმა თავი გაიმეტოს და ისიც თავის ნებით! მას ამისთვის ძალას არავინ ატანდეს! სჩანს ეს პირები კაცთა თანასწორობის დიდად მეცნიერი კეთილ მსწავლულ პირები ყოფილან, სჩანს მათ პატივის ცემას, თავისუფალ კაცათ ცნობას და აღიარებას ამათს გულში დიდი ადგილი მოუპოვებიათ, სჩანს ესენი გამსჭვალული ყოფილან ერის მონების და სიმდაბლისაგან და ამიტომ გამოსულან ამ ახალ ქვეყანაში ახალ საქმის ასაღორძინებელ მებრძოლ მოციქულებათ. პატივი და დიდება ასეთ სასიქადულო თავისუფლების მძებნელთ შვილთ სახელებს»., მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჩვენი საუკუნეც კიდევ ასევე სთიბავს ერის თანასწორებრივი თავისუფლების მხსნელთ მამულის შვილებს! დღესაც კიდევ მრა-

ვალი გამოჩენილი მსწავლული შვილები მიდიან მტრის წინ
საბრძოლველათ და ესენი არას იშურებენ ამის მოპოებისა და აღ-
დგენისათვის. ხოლო რამდენი დაიღუპა ჩვენთაგანი უკანონოთ,
რამდენი გმობა და ძაგება მიიღეს ამათ და ამ დიდათ სათა-
ყვანებელ მეცნიერ-მებრძოლთ პირთ სათვალავიც სხვების ფეხ-ქვეშ
ილახება; რა ვქნათ, თოფისა და ზარბაზნებისაგან ასეა დღეს
საქმე დაყენებული; და ასე წავიდეს დროებით ჩვენი საქმე. ჩვენ
ვისპობით უკანონოს მძლავრის ხელით. მაგრამ წინ! წინ! ჩვენ
არ შევკრთდებით და შევდრკებით მათ წინაშე. მეცნიერება უფ-
ლოს დასცემს და შემუსრავს. აი ეს არის ჩვენი იმედი და
ფანტიზმი. მართალია, მძლავრის მტრის დიდის რიცხვის მეო-
ხებით ჩვენ ვეცემით და ერთი მეორეს ვეხლებით, მაგრამ ჩვენი
ჭეშმარიტების ძმობა, ერთობის, თანასწორების და თავისუფლე-
ბის მეცადინეობა კი მაინც არ დაეცემა. ოდესმე მეცნიერება
შეკრებს ჩვენ შრომის და ტანჯვა მსხვერპლის სულ ყველა-
ცნობებს, ამით მომავალში ისარგებლებენ სხვები, რადგანაც
ჩვენ ვერ ვისარგებლეთ.—უარის-ყოფა, უარის-ყოფა სამუდა-
მოდ ყოველგან. აი ეს არის თანა-მედროვე ფილოსოფიის
მეტოდი. ჩემი დაწყებითი დედა-აზრები უარის-ყოფა არის, ამ
უარის-ყოფის მიზანი კი იმას შეიცავს. რომ მან აღამაღლოს
დაცემული და ილაჯ გაწყვეტილი კაცის თავისუფლება და ხმა.
მხოლოდ ამას შეუძლიან კაცობრიობის წინ წაწევა. ბევრს გა-
ეწყინება კიდეც ეს ასეც იყო და პრუდონს ერთობ აეწინააღ-
მდეგა გლეხ-კაცური დემოკრატია. ამ დროს პრუდონი ამბობს:
«უდიდესო პოლიტიკოსებო, თქვენ-თქვენი მოქმედებით ძლიერს
მუშტს უჩვენებთ კაპიტალს და ამავე დროს კი თქვენ მათ წინ
მუხლზედ დაჩოქილი სდგეხართ. თქვენი უმთავრესი საქმე რეაქ-
ცია არის, იმიტომ რომ თქვენ არ იცით ხალხის საქმის სა-
ჭიროება, თქვენ არ გესმით. ხალხი განუყოფელია, ის არავერს
დასსებს არ ეკუთვნის, თქვენ კი დასსებთ ხართ შედგენილი და

ამასვე იცავთ თითქმის. თქვენ ხალხს ატყუებთ და ამიტომ იგი უარსაც გყოფთ.

გლეხ-კაცობის დემოკრატიამ დაამტკიცა თავის თავის უცოდინარობა, მან დაიწყო თავის სოციალურის ძალის დაკარგვა და ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ თავის ძალა იმპერიის შექმნის დახმარებას მოანდომა. ეს ერთობ სწყინდა პრუდონს. ამის გამო კაი იქმნება, რომ მოკვდეს ძველი საფრანგეთი. პრუდონს ერთობ სძაგდა დემოკრატია და ამის მიზეზით მას ის ქონდა, რომ იგი კარგათ იცნობდა მათ. იცნობდა ამათ ისე, რომ ხალხთან სულ არაფერი საქმე აქვთო. ესეთი შეხედულობა და ძაგება მან 1848 წ. შეიმჩნა და გამოუცხადა, ამის უფლებაც ჰქონდა პრუდონს, რადგანაც მრავალი დემოკრატები (თავის სიკვდილის დღემდი) ბოლოს ნაპალეონის პარტიის წევრებათაც გახდნენ. ამიტომაც იყო, რომ პრუდონი ჭმით თავის სიკვდილის დღემდის არ სტოვებდა გაუკიცხავს. დემოკრატიამ საფრანგეთის დაბალი ერის წინაშე თავ-აგდება დაიწყო, იმის მხრივ, რადგანაც ამათ ნება ჰქონდათ ხალხის მხრივ საზოგადო არჩევანზედ. პრუდონი კი ამაში ერთობ ბევრს მტრობას ხედავდა დემოკრატებთა შორის და ამათ ორ დასად და ორ წრედ ყოფდა, ამიტომ პრუდონმა 1863 წ. მათ გამოუცხადა სამუდამოთ კავშირის გაწყვეტა და მოკამათობა. ეს ბევრს თავის წერილებში პირ-და-პირ და მოურიდებლივ ამტკიცებს დემოკრატების პარლამენტობას პოლიტიკაში. ამის გამო თუმცა ამას არ ყვანდნენ დიდი მომხრეები გამაძღარ ბურჟუაზთა და დემოკრატთაგან, ამიტომ მის დიდი პატივის ცემა ქონდა მუშა ხალხს. პრუდონი დაიბადა პროლეტარიათ და მოკვდა პროლეტარიათვე, დიდს სიღატაკეში. ეს ისეთი სულით მაღალი პირი იყო, რომ სხვა დემოკრატებივით არ ეძებდა მუშა ხალხში პოპულიარობის სახელსა და მომხრეობას, ამას ის-კი არ უნდოდა, რომ მუშა ხალხს გაეგო მათი ხელმძღვანელის

ნიჭი და მნიშვნელობა; არამედ ამას ის სურდა, რომ მუშებისთვის ემცნია მათ უძლური მხარეები, რაისა გამო იგინი სასტიკად იჩაგრებოდნენ. ეს მუშებს ერთობ მძურად ექცეოდა და ამათ ყოველს საქმეს დიდის შორს-განჭვრეტით უხსნიდა. მათ უხსნიდა იმასაც, თუ ამ საწყლებს ზოგიერთი დემოკრატები როგორც ატყუებდნენ. ხალხის ხმის მოპოებაში დემოკრატებს ორ ნაწილად ჰყოფს, სოფლის, რომელიც იმპერატორის მხრისკენ იღებდნენ ხმას და ქალაქის დემოკრატები, რომლებიც სამოქალაქო ბურჟუაზიის მხარეს იჭერდნენ. ყველა ესენი კი მტრები არიან შავის მუშა ხალხისა. პარიჟის მუშებმა პრუდონი გაგზავნეს ნაციონალურს კრებაზე. აქ პრუდონმა გაიცნო გლეხკაცური დემოკრატია, რომელთაც მან დაუმტკიცა, რომ თქვენ რულებით არაფერი გესმით თქვენის მმართველობის, სოციალურის, ეკონომიურის და მუშა ხალხის მდგომარეობისა. თქვენ სრულიადაც არა ხართ მუშა ხალხის მომხრე. თქვენ თქვენის მოხდომით ბურჟუაზიის ვექილნი და დამცველნი ხართ, ეს მე დაგიმტკიცეთ თქვენ, პროლეტარიას და თქვენ შუა სულ არაფერი კავშირი არ არსებობსო, მე მუშებისკენ ვარ და თქვენ თქვენის მოქმედებით ბურჟუაზიისკენ. მე ვიღწვი შრომის და უფლებისათვის, თქვენ კი კაპიტალის პატივის მცემელნიო. პრუდონი რაკი ასე უცქეროდა დემოკრატიასა და სოციალისტთა დასთა და თითქმის ამათ პოლიტიკურს მოღვაწეობას სთვლიდა ნაპოლეონ მესამის ტახტის გასამაგრებელ საშვალებათ, ამიტომ **1863** წ. მან დაბეჭდა თავის ერი თხზულება: «**Присяжные демократы**» პრუდონის ასეთი საქციელის გამო ხშირად სასტიკათაც ჰკიცხავდნენ ხოლმე ზოგიერთი დემოკრატიული გაზეთები. საზოგადოთ უმთავრესი მიზანი კი ამ თხზულებისა და ამ უკანასკნელის არის ის, რომ აჩვენოს მეცნიერულად, თუ მუშა ხალხს პოლიტიკურის და ეკონომიურის ცნების შესახებ ლტოლვილება შეუძლიან თუ არა, მას შეუძლიან, რომ

თავის-თავის კითხვები დაიცვას თუ არა? თუ კი შეუძლიათ, მაშასადამე, მათ ჯმის საშვალებაც უნდა ჰქონდესთ, მაგრამ ეს მათ არ აქვთ, თუმცა ესენი თავიანთ უფლების მოპოვებისთვის კარგა ხანია რაც იღვაწოდნენ. ამათ კანონიერს მოღვაწეობას მრავალნი უზრდელნი პირნი აღუდგნენ წინ და მათ დაუწყეს დამნაშაობაში მიღება. ასეთ მოწინააღმდეგე პირებში ჰყვებოდენ მრავალნი და ამ მრავალთ შორის ზოგნი დემოკრატებიცო, რავი საფრანგეთის მუშა ხალხი გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე და თავის ემანსიპაციისთვის დაიწყო ბრძოლა, ამ დროს მთელი ერის ნახევარი ლიბერალთა დასი რესპუბლიკანელთა და მრავალნიც სხვანიც დიდს ჭოჭმანობაში ჩავარდნენ და დაიწყეს 89 წ. მოძღვრებიდამ ზურგის აქცევაო. დამტკიცება თავის-უფლების და განთავისუფლება თავის შრომის,— მუშათ დემოკრატია აუცილებლად ამისკენ უნდა ილტოდეს, ესენი უნდა მეცადინეობდნენ რომ, არამც თუ გამოთქვან თავიანთი იდეა, არამედ განსაკუთრებით გამოარკვიონ კოდესკი თავიანთის მოძღვრების ასე და ამ გვარად. იგი აჩვენებს მთელს ქვეყანას, რომ იგი წოდება, რომელსაც ეკუთვნოდა თავისუფლება და გამგეობა, მანვე შეიძინა თავის შრომით ცოდნა ხეირიანის პროგრესსის პრაქტიკით. აი ეს არის უმთავრესი მიზანი ამ ჩემი თხზულებისაო, ამბობს პრუდონი, რომელსაც მე კადგევარო. აქვე განმარტულია ხეირიან დემოკრატთა სავალდებულოდ, რომ სახელმწიფოს ყოველნაირს საკუთრებითი კუთვნილებას დემოკრატები მთელის ერისთვის უნდა ნატრობდნენ და არა ერთის რომელიმე კერძო პირთათვის, რომელნიც თავიანთის შეძლებით მრავალთ სხვა-და-სხვა წვრილმანთ მოხელეებს შთანთქმენო. აქვე ირჩევა მუშა ხალხის დღიური ფასის განაწილება შრომის კვალად. მათი პირადი თავისუფლების დაცვა, მათი გაჭირვებული მდგომარეობა. სახლი პატრონები და მდგმურები, სახლთ-პატრონების უკანონო საქციელი მდგმურების წინაშე,

მდგმურების დაჩაგრვა, ამათი შეწუხებული მდგომარეობა სახლის პატრონისაგან, სახლების სტრახში შეტანა და მდგმურების ზარალი, იმის მხრით, რომ სახლი იწვის, სახლის პატრონი სტრახის მეოხებით ფულს იღებს და მდგმური კი ისეც ღარიბი უარეს სიღარიბეში ვარდება, რადგანაც მას ეწვის უკანასკნელი სახლის ავეჯი, რომელიც მას თავის სიღატაკის გამო სტრახში არ ჰქონდა შეტანილი. აქვე ირჩევა ფული და მისი მნიშვნელობა, საზოგადო ბანკები და კრედიტები. ყველა ამათ გარჩევით მჭიდრო კავშირი აქვთ მუშა ხალხის მდგომარეობასთან, რომ მუშებსაც ჰქონდეს ყველა ესენი, აქ ხშირად პოლემიკასაც უწევს ისეთ პირებს, ვისაც კი ამის წინააღმდეგი რამე უწერიათ.

საზოგადოთ კი ამ წიგნის უმთავრეს ჰაზრს შეიცავს ის, რომ ყველგან და ყოველს საქმეში, მოქმედებაში, განვითარებაში და ერის ზნეობით, გონებით და სხვა მხრივ წინ წასვლაში, პოლიტიკურ განვითარებაზედ ბევრად მაღლა დააყენებს ეკონომიური განვითარებას. უამისოთ ყოველ დემოკრატთა მოღვაწეობა შეცდომათ დაშთებაო. ამის დასამტკიცებლად პრუდონი ერთობ დაღაგებით და დაბეჯითებით განმარტავს თავის ჰაზროვნების თანახმად ცნობებს.

აქვე ეწინააღმდეგება იმ ძველ ეკონომიურთა მოაზრებას, რომელნიც თავიანთი უსამართლო მოძღვრებით ლესე ფე ლესე პასეო იგულისხმებიან: ამათ სასტიკათ არცხვენს პრუდონი და ყოველ მუშა კაცის ბედნიერებისთვის აუცილებელ ვალდებულებად სთვლის, რომ მართველობა მონაწილეობას უნდა იღებდესო. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს გამხმარი საწყალი ხალხი თავის საკუთარის თანხით წინ წავიდეს და კერძო მდიდარ ფაბრიკანტების რიგში ჩაუდგნენო; ესენი მათ მიწასთან გაასწორებენო, აღგვიან და გააწვალებენო. ამიტომ ყოველ დემოკრატის ვალდებულებას შეადგენს, რომ ის

ამ ჰაზროვნებისთვის იღვწოდეს და მით იცავდეს ამ უბედური ხალხის ინტერესებსო. აქვე სასტიკათ ჰკიცხავს ბევრს სამოქალაქო მართველობათა წარმომადგენთ, რომელნიც თავ-თავიანთ მოქმედებით ნამდვილს დემოკრატიულს მიმართულებისაგან შორს არიან გამდგარნიო და ესენი პირ-და-პირ წინააღმდეგნი არიან თვით ჭეშმარიტ დემოკრატიულის მოძღვრებისო.

წინააღმდეგია აგრეთვე თავისუფალ ვაჭრობისა. ამის მომხრე ეკონომისტებს სასტიკათ ეხება; ეს ამტკიცებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა არის ეკონომიური სიმტყუნეო.—ბევრ დემოკრატთა საგულისხმოდ ეს წარმოადგენს საფრანგეთის სახნავ-სათეს მიწების ზომას, ბაღების და სხვების და საზღვრავს ამათ საკუთრებას, აქ ეს უჩვენებს, რომ აქ მეტის-მეტი უთანასწორობა არსებობსო. უმეტესი ნაწილი კი ცარიელად არის დარჩენილიო. ამიტომ ამას სულ მეტად მიაჩნია ის, რომ დემოკრატები დიდის თავის მტკრევით მიივლტოდენ კანდიდატურის დაცვისკენაო. ამათგან ეს მეორე ხარისხზედ უნდა მდგარიყო და პირველი სხვას უნდა მისცემოდეს, რადგანაც ყოველ ჩვენს უბედურების უმთავრესს და უდიდესს მიზეზს შეადგენს კაპიტალური კონკურენცია, კაპიტალური მრეწველობა, კაპიტალური სპეკულიაცია, კაპიტალურ-ფეოდალური საკუთრება და სხვანი. აქ მთელი ერის უმეტესი ნაწილი დამდაბლებულია სასტიკად, ყოველნაირად მოტყუებული, დამდაბლებული არა მონარხისტების და იმპერიალისტებისაგან, არამედ თვით სოციალისტების და კომუნისტების მოუფიქრებლობისაგან და საქმის ხეირიანათ გარკვევისაგან. ამიტომ მოვალეა საფრანგეთის დემოკრატია, რომ ის თავის მეცადინეობას ძირიდამ კი არ იწყებდეს, არამედ თავიდამ, ეს მოვალეა, რომ თავის ქვეყნის ერის უმეტესის პირად ღირსებას და სიღატაკეს მიაპყრას ყურადღება და მის განვითარებას და ფეხზე წამოყენებასაც მისდევდეს და სხვა და სხვანი.

ნაპოლეონ მესამის დროს 1863 წ. საფრანგეთში დანიშნული იყო არჩევანი საფრანგეთის პარტიის, არჩევანის მომზადება, მის შემდგები ზოგიერთი პირების გამოცვლა და დაცვა ზოგიერთის წესების, მომზადება ახლის სესის კანონ მდებლობითი არჩევანში. ამ კრებაზედ უნდა გაერჩიათ ერში განურჩევლად უფლების და ხმის მოპოების შესახებ, ამ დროს, უკვე გათავებული იყო ბჭობა და ბაასი, იმის შესახებ, რომ არჩევანში უპირატესი ხმა სწავლა განათლების და გვარიშვილობის მეოხებით არ უნდა იყოსო. ეს ჰაზრი იმ დროს საკამათო ჰაზრათ გადაიქცა. ზოგნი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და ზოგნი კი მომხრენი, ამ დროს გამოჩნდა პრუდონი, დაბალ და ტანჯულ მუშათ სასარგებლოდ აღიმაღლა ხმა და გამოსცა ერთი თხზულება, ამ წიგნში დიდათ ჰკიცხავს ყველა იმ პირებს, რომლებიც გუშინ წინ თავიანთ თავებს რადიკალებათ სთვლიდენ და დღეს კი ეს პირნი თითქმის გასყიდულნი აღმოჩნდნენო. ამის შემდეგ ეს ამბობს, თუმცა დღეს საფრანგეთში საერთო ხმა არსებობს, მაგრამ ეს შევიწროებული და გალახულიაო. საფრანგეთის პატრიოტები ამ ხმის ამაღლებისთვის ძლიერ უნდა მეცადინეობდნენო, ეს დამდაბლებულია სახელმწიფოს მართველობისაგანო. ერი ვერ ირჩევს ისეთს დეპუტატებს, რომელნიც მცოდნენი და ხალხის საქმის მომხრენი იყვნენო, ესენი ერთობ მალე ემორჩილებიან მართველობის ბრძანებასო, ამიტომ სანატრია, რომ თვით ერი ირჩევდეს ხეირიან პირთ არჩევას და წარმოდგენასო. გარდა ამისა აქ საუბრობს, რომ ხმის არჩევის დროს მართველობა არ უნდა ერეოდეს რამე საქმეშიო. ამავე დროს გამოქვეყნდა და წავიდა წინ მისი ერთი უშესანიშნავესი თხზულება, სახელდობრ—«**Экономическіе доводы, нравственныя и эстетическія соображенія и соціальныя послѣдствія**» ეს წიგნი რუსულს ენაზედ ნათარგმნი ვერ ვნახეთ, მხოლოდ წიგნის სათაური და შინაარ-

სია ერთ ჟურნალში მოყვანილი და მის შესახებ საუბარს ჩვენ აქ ვერ ვბედავთ. ამ დროებაში ევროპის ერში მეტის მეტი ამბოხება იყო ატეხილი შესახებ ზოგიერთ და სხვა-და-სხვა ძლიერ სახელმწიფოთა მიერ პატარ-პატარა დამონებულ და თავის უფლება წართმეულთ ერთა გამო. ერთ ასეთ ხალხათ მაშინ პოლიაკები მიაჩნდათ. ამათ შესახებ ევროპაში დიდი ბჭობა და კაი-ვაგლახები იყო, მთელი ევროპა და ნამეტურ პარიჟი გაივსო პოლიაკებით, მთელი პოლშის საუკეთესო ნაწილი გავიდა პოლშიდამ ევროპაში. ამ საქმეების და პოლშელთ მდგომარეობას პრუდონი დიდს ყურადღებას აქცევდა და ბოლოს ეს იქამდის მივიდა, რომ პოლშის ერის მდგომარეობამ ეს ისე გაიტაცეს. რომ ამან დაიწყო პოლშის ერის ისტორიის შესწავლა და მან ეს შეისწავლა მეხუთე საუკუნოდამ ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდის. ამ დროს მან გაიცნო ერთი რუსის სამზღვარ მყოფი მწერალი ბ. ფირკსი, რომელიც რუსეთში და სამზღვარ გარეთ ფედო შეროტის ფსევდონიმით არის ცნობილი, ეს ის ფედო შეროტია, რომელმაც მთელი რიგი წერილები დასწერა გერცენის წინააღმდეგ და ნიგლიზის. პრუდონი ერთ ხნობით ამას სთხოვდა პოლშის ისტორიის შესახებ ცნობებს. ამ შესწავლის შემდეგ მან დასწერა ერთი წერილი პოლშის შესახებ, რომელსაც «ПОЛЬскіе вопросы» ჰქვიან. ეს წერილები დაიბეჭდენ 1863 წ. დაიბეჭდენ თითქმის ყველა ენებზე; რუსულადაც არის დაბეჭდილი, რომელსაც ეწოდება «პრუდონის ჰაზრი პოლშაზე.» აი როგორ ლაპარაკობს პრუდონი პოლშის შესახებ:—«მე პოლშის ისტორია საკმარისად შევისწავლე, მე ამ შესწავლის მეოხებით ისეთ ჰაზრსა და დასკვნას დავადექი შესახებ პოლშის სახელმწიფოის, რომ პოლშა თავის შინაგან მკვდარის სახელმწიფოს წესებით უნდა დაცემულიყო. ეს მის აუცილებელს მომავალს შეადგენდა, უამისოთ მისთვის ეს ყოვლად შეუძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რადგანაც მთელს პოლშაში დაბალი ხალხი პოლშის

თავად-აზნაურებისაგან ფეხ-ქვეშ იყო გათელილი და გაწყალებული. აქ დაბალი ერი სრულიად დამცირებული იყო თავის მნიშვნელობით, აქ კეთილ-შობილი წოდება არც ერთ საკეთილო საქმეში არ იჩენდა თავს, არც ერთ თანასწორებრივ საქმეს არ ეპყრობოდენ ერთგულათ. ესენი ყოველთვის შთებოდენ ცრუ როიალისტებათ, ცრუ არისტოკრატებათ, ცრუ დემოკრატებათ, ცრუ რევოლიუციონერებათ, ესენი იყვნენ მხოლოდ ერთგული და თანამგრძნობელი იეზუიტიზმის. შემდეგ სჯის პოლშის ეკკლესიაზე. აქ ხელმწიფის ტახტი და გვირგვინიც კი ეკკლესიის ფეხ-ქვეშ იყო დათრგუნილიო. თავად-აზნაურობაც მეტის-მეტი სამწუხარო მოვლენას შეადგენდაო. ეკკლესიის წინაშე ესენიც მონათ ყოფილან, მაგრამ ხმა და ძალა ამათაც კი დიდი ქონიათ, რაისაგანაც იბადებოდა პოლშის დაბალი ერის დაუძინებელი მტრობაო. ამ პირებს ესე მოიხსენებს ეს: — «ეს მუხთალი თავად-აზნაურობა, გარყვნილი და გაფუჭებული თვით თავის დაარსების დროდგანვე, მოკლებული თავის საკუთარ ენერგიას, გაკიცხულნი მათზე უფრო მდიდრებისაგანა, არსებობდენ მხოლოდ თავის სახელმწიფოს დასაღუპათ და მთელის გვარის შესარცხვენად.» ერთ ალაგას სწერს კიდევ: «პოლშის სახელმწიფოს დაცემა მე მიმაჩნია პოლშის გლეხ-კაცობის განთავისუფლებათ. არ იფიქროთ, რომ ამ სიტყვების მთქმელი კაცი ამ შენიშვნებს უბრალოთ იძახდეს, არა, ამას შესწავლილი ქონდა პოლშის ისტორია კარგათ, გარჩეული მთელი მათი წარსული, მთელი რუსეთის სახელმწიფოს კავშირის ისტორია პოლშასთან და მხოლოდ ამის შემდეგ ბრძანებს ასეთ განჩინებითი შენიშვნას. მთელი პოლშის ეროვნება მხოლოდ ამ მკვდარის უნამუსო არისტოკრატულის თავად-აზნაურებისაგან შესდგებოდაო და განა შესაძლებელი იქმნებოდა, რომ პოლშა თავის სნეულის სახელმწიფოს აგებულობით, გარყვნილის ბურჟუაზიის არისტოკრატიით და თავად-აზნაურების უდიდესა რიცხვით დარ-

ჩენილიურ და უცოცხლა. არა მგონია, ასეთი შენიშვნების შემდეგ შეიძლება რომ ზოგიერთებმა მე რუსოფილობა დამწამონ, მე ამის არ მერიდება, რადგანაც ჩემი ნათქვამი არის თვით პოლშის ისტორიისაგან გამონაცადის გამოცდილებითი დასკვნაო. ეს ამბობს, ნუ თუ საქმეი არ არის ის, რომ პოლშის 23 მილიონი გლეხკაცობა პოლშის დაცემით განთავისუფლდაო. მე, როგორც ფრანგის მოქალაქე, პოლშის მაღალი საზოგადოების დიდი წინააღმდეგი ვარ და მათ წინ პროტესტს ვაცხადებ. თქვენი მიზანი, ცდა და მეცადინეობა პოლშის წარსულ დროთა წესების ფეხზე წამოყენებაზე კი არ უნდა იყოს მიპყრობილი, არამედ სხვებზე; ამის შესახებ თქვენ გაგკიცხავთ თვით წარსული, თანამედროვე და მომავალი, თავისუფლება, პროგრესი, ნება, ცვლილებანი და ტრაკტატები. თქვენ მიზანი არ გაქვსთ თქვენის შრომის და მეცადინეობის. თქვენ არ იცით რას ელტვით და თქვენის ლტოლვილებით რა კეთილ-დღეობა და სიკეთე შეგიძლიანთ მიანიჭოთ პოლშას.

პრუდონის ამ წერილმა ხაკმარისი კამათობა ასტეხა, ნამეტურ სარწმუნოების ფანატიკ პოლიაკებზე. ესენი მას სასტიკათ ჰკიცხავდნენ, ნამეტურ საეკლესიო გაზეთებში მას მთელი დუნიის ერის გონების გამრყვნელად სთვლიდენ. ასე მოიხსენეს ეს ძალიან ბევრს პოლშურს საეკლესიო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილს წერილებში, მოთხრობებში, ლექსებში და საღმრთო ფილოსოფიურს სტატიებში! ვისაც რა უნდა ეთქვა და ექმნა, პრუდონმა მაინც თავისი გაიტანა, ამოთქვა ის, რის თქმაც უნდოდა და მისი ნათქვამი უმეტეს ნაწილთათვის დიდ ჭეშმარიტ შენიშვნებათ დაშთა. როცა მე ამ წერილს ვკითხულობდი, ვინ იცის მაშინ მე რამდენმა ჰაზრმა არ გამიელვეს თავში, შესახებ ჩვენის წარსულის, მაღალი წოდების, გლეხკაცობის და სამეფოს დაცემის მიზეზების. ბელგიაში ყოფნის დროსვე შეისწავლა პრუდონმა ჩინებულად მუშა ხალხის ცხოვ-

რებანი, ამიტომ აქ დაბეჭდა ერთი წიგნი, რომლითაც წინააღმდეგ წავიდა ლუი ბლანის წესდების, შესახებ მუშების ასოციაციების და ნამეტურ შულცე-დელიჩის. ლუი ბლანი და ეს ხშირად ეკამათებოდნენ ერთმანეთს და ეწინააღმდეგებოდენ, თუმცა ერთმანეთის დიდი მეგობრებიც იყვნენ... იმ დროს, როცა ჯონ-სტუარტ მილს და ოგუსტ კონტს ქალების შესახებ მიწერ-მოწერა ჰქონდათ, მაშინ ეს კითხვა არც პრუდონმა დასტოვა უყურადღებოთ; ამან დასწერა ერთი თხზულება, რომელიც რუსულადაც არსებობს და ეწოდება «**О женщинахъ**». პრუდონს ქალების შესახებ არ აქვს ისეთი შეხედულება, როგორც სხვა მოაზრე მწერლებს. პრუდონის ჰაზრით ქალებისთვის უმაღლესი სწავლა-განათლების მიღება მაინც და მაინც არ შეადგენს დიდს საჭიროებასო. ეს ამბობს, ქალის უმთავრეს სამსახურს და მოვალეობას მის ოჯახის სამსახური შეადგენსო, მისი შეხედვით, ქალის სხეულიც თითქოს განგებ მარტოთ ამისთვის არის შედგენილიო, ის ამ შრომას გარდა სხვას ვერას იტანს, გინდ რომ აიტანოს, მაინც ვერ შესძლებს მუშაობასო. მის სხეულს ისეთი ფიზიოლოგიური მხარეები ახვევია გარს, რაის გამოის შორს უნდა იდგეს თავის სამსახურით და მოქმედებით: პოლიტიკური და ადმინისტრატიულის მოქმედებისაგან, სამეცნიერო მოღვაწეობისა და მრეწველობისაგან; ქალისთვის ისიც დიდი ტვირთი და სამსახურია, რომ ის ოჯახის წარმომადგენათ ითვლება, ოჯახის საქმეების მკეთებლათ და შვილების აღმზრდელათ. ნუ თუ ასეთი დიდი მოვალეობა არ კმარა ქალისათვისო, ნუ თუ ეს სამსახური საკმარი არ არისო, ვისაც სურს რომ ის ქალათ დარჩეს, ამისთვის ეს საკმარისია, ვისაც არა და ის ქალობისაგან შორს დადგეს და შემდეგ რაც სურდეს ის ქმნასო. პრუდონს ასეთი შეხედულობისა გამო მრავალნი ჰკიცხავდნენ და ამის შეცდომას აწერენ კაბანისის ჰაზრებს, საიდამაც შეცდომით უხელმძღვანელია პრუდონს დედა-კა-

ცის ფიზიკური და გონებითი ნაკლულევანების შესახებ. ცხადი საქმეა, რომ შოპენგაურიც ექმნებოდა მიღებული. ამ მწერლებს ჰყვედრიან უფრო პრუდონის შეცდომების გამო.

მდედრობის გარყვნილებასაც პირ-და-პირ მათ დაუდევრობას აწერს, მათ რომ მოინდომონ და არავის დანებდენ, მაშინ მამა-კაცები ვერაფერს გააწყობენ, ქალმა პირობა იქონიოს: მე დაგნებდები მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენი დანებება გახდება ჩვენს სამუდამო კავშირის ძალათ. მაგრამ არა, ამას არ ახერხებენ, ამას თავიდამვე სცდებიან ესენი, თითქმის სულ თავისუფლათ ხსნიან «საროსკიპოებს» და აქ თავისუფლათ იხმობენ ყველას, ვინც-კი იქ შევა. ეს იმ ჰაზრის არის, რომ ქალს ისე შევიწროვებული მდგომარეობა ვერ გარყვნის, როგორც «საროსკიპოვო,» თუმცა შევიწროვებულს მდგომარეობასაც დიდი მნიშვნელობა და მიზეზები უნდა მიეწეროსო. ამასაც არ ივიწყებს, რომ ამაში როგორც ერთნი არიან დამნაშავენი, ისევე მეორენი. სხვების თქმით, პრუდონის შეხედულობით დედა-კაცი არსებობს მხოლოდ ბნელის სიყვარულისთვის და ამას გარეშე მას სხვა არა მოეთხოვება-რა. ერთი სიტყვით გამოდის, რომ ქალი მამაკაცის ტიკინათ ყოფილა გაჩენილი და დანიშნულიო. პრუდონის ასეთი შეხედულობის გამო მრავალნი გაკვირვებულნი იყვნენ, თუ ეს უდიდესი პირი ქალების შესახებ ასეთის ჰაზრის რათ იყოვო! ამის შესახებ 1860 წლებიდამ რუსეთშიაც ხშირათ საუბრობდენ. გაკვირვებულნი იყვნენ ამაზე და პრუდონის ასეთ შეცთომებს იმის მიზეზებად ხდიან, რომ მისი დედა იყო უბრალო ქალი, მაგრამ მასთანვე დიდად პატიოსანი და კადნიერი, ცოლი იყო მისი და ესეც უბრალო სოფლის ქალი ყოფილა, მაგრამ დიდათ მახვილ გონიერი და საქმის კარგათ წამყვანი, ასეთი ქალების სამსახური ყოველთვის სამაგალითოდ ჰქონია პრუდონს მიღებული, ეს ყოველთვის დიდს მნიშვნელობას აძლევდა ქალების ასეთ მოღვაწეობას და

ოჯახის სამსახურს. ამას სულაც არ სდომნია ის, რომ თავის მსჯელობით ქალთა უფლების პირობები შეევიწროებინა, არამედ ეს იცავდა ამათ, და ისეთ დედა ჭაზრებს ადგა, რომ ქალებისათვის თავიანთ საოჯახო სამსახურიც საკმარისი არისო, ესენი ნეტა ამას გაუძლებდენ და სხვა საქმე მათგან მეტი იქნება და უკანონოვო. მეორე, ესენი რომ სხვა-და-სხვა დაწესებულებაში სამსახურათ შევიდნენო, ეს ერთი მხრით იქმნება მამაკაცების წინააღმდეგ ჯიბრში ჩადგომა და საქმეებისგამო კონკურენციის გაჩენა. ეს მართლაც ასეა. რა მოსდევს ასეთ ქალების მდგომარეობას,—ბევრი რამ არაფერი, ნაცვლად იმისა, რომ ესენი დათხოვდენ, ესენი სხედან სხვა-და-სხვა კანტორებში; მრავალთ მამა-კაცის ალაგს ესენი იჭერენ, ფულს შოულობენ, ამ ფულის იმედით ესენი არ თხოვდებიან და თავიანთის ბუნების მოთხოვნილებას ასრულებენ იქ, საცა კი ვაჟი მოეწონებათ, დაორსულების ამათ არ ეშინიანთ, რადგანაც მაშინათვე ამის წინააღმდეგ წამლობენ და ასე ამ გვარათ ატარებენ მთელ თავიანთ სიცოცხლეს; ამათ არც ოჯახისკენ აქვთ გული, არც შვილების აღზრდა შეუძლიანთ და არც არა სხვა, ესენი მზათ არიან მხოლოდ აქეთ იქით თრევაში, ტიტინში და გარყვნილების ვრცელებაში. ნუ თუ ასეთი ქალები ღირსნი არიან მამაკაცებთან გათანასწორების და სხვა-და-სხვა სამსახურში შესვლის? არა ჭეშმარიტად, არა, რადგანაც ეს თვით მათთვის არის საზარალო და ჩვენ უფრო ესენი გვენანებიან და გვებრალებიან, რომ ხშირათ ესენი მთელ თავიანთ სიცოცხლეს ჩუმს გარყვნილებაში ატარებენ და კაცობრიობის შთამამავლობის სამსახურსაც აკლდებიან სამუდამოდო. აი ეს არის საყურადღებო და სამწუხარო, თორემ ქალებმა რაც უნდა ჰქმნან და საითაც უნდა წავიდნენ, საცა უნდათ იმსახურონ და რაც უნდათ გააკეთონ.

ბელგიაში ყოფნის დროსვე დაუწყია პრუდონს წერა ერთი ფრიად თვალ-საჩინო თხზულებისა «О КОНСТИТУЦІОННОМЪ

ДВИЖЕНІИ ВЪ XIX» საუკ. ამ წიგნის შესახებ პრუდონი წერილს სწერს ერთ თავის საყვარელს პირს, ბერგმანს, 1864 წ. რომ მე ჩემს წიგნს ვათავებო. ეს ბერგმენი მეტის მეტი საყვარელი პირი ყოფილა პრუდონის იმავ თავიდამვე. პრუდონის მიწერილი წერილები ბერგმანთან შემდეგ პრუდონის სიკვდილისა რამდენიმე ტომად გამოუციათ. სწერენ ზოგნი, რომ პრუდონის წერილები სულ თოთხმეტი ტომიაო. ბერგმონი ისეთი საყვარელი მეგობარი ყოფილა პრუდონისა, რომ ამას არც ერთი კითხვა არ აუღია გასარკვევად და გასარჩევად, რომ მის შესახებ ბერგმანისთვის წერილი არ მიეწერა და არ ეცნობებინა. ერთი სიტყვით ამას ყოველთვის და ყოველგან ბერგმანი აგონდებოდა და ყოველს თავის საიდუმლოებას თავისუფლად უმხელდა ამას. ახლა აქ ჩვენ რამდენიმე სიტყვით მოვიხსენებთ ზემო აღნიშნულის თხზულების შინაარსის შესახებ. აღნიშნული თხზულება საკმარისად ვრცელი ტომია, განიყოფა ორ ნაწილად. ამაში აწერილია საფრანგეთის კონსტიტუციის ისტორია და მოძრაობა. აქედამ სჩანს, რომ საფრანგეთში თოთხმეტჯერ ყოფილა კონსტიტუცია გამოქვეყნებული მათ მიერ ერისა და მეფეებისაგან. აი რა და რა დროს ყოფილან და როგორ მომხდარა. ამ კონსტიტუციების გამოცემის გადაშინჯვის და ზოგიერთი მუხლების შეცვლის და შევსების ხანა 1789 წლიდამ 1864 წლამდინ მისწვდება. აქ პრუდონი განიხილავს კონსტიტუციის მოვლენათა მიზეზებს, მის თანამედროვე ერის მოღვაწეობას და ბრძოლას ამის მიღებისთვის, რამ ჰყო მასში ეს გამოწვეული და რამ აღორძინა მათში ამის მოთხოვნა. მოწინავე პირთ მოღვაწეობა, მსწავლულთა, როგორც ამის წინააღმდეგ ისევე მის სასარგებლოთ. საზოგადოთ კრიტიკული მიმოხილვა და დასკვნები პრუდონისაგან ამ პირებზე და კონსტიტუციის მხარეებთა ბევრს ნაკლულევანებასა და ღირსებაზე. რა არის კონსტიტუცია, რა მნიშვნელობა აქვს ამას, როგორც

მთელის ერისათვის, ისევე სახელმწიფოსათვის, სახელმწიფოს ვალი, მნიშვნელობა, გამგეობა, რას უნდა ელტოდენ ესენი, რას უნდა ავრცელებდენ დედა მიწაზე, როგორ უნდა იცავდნენ თავიანთ თავისუფლებას, ინტერესებს, და მასთანავე საერთოდ სხვებს, ამის გამო ერთს ალაგას ამბობს პრუდონი:—«რომელი სახელმწიფოც თავის ფრთებს ერთობ შორს შლის და არ აკვირდება ამის ზომას, რომელიც ერთობ შორს იწევს და ბევრს სხვა-და-სხვა ერთაც იმორჩილებს,—ამას მომავალში დალეწვა მოელის, რადგანაც იგი თავის შინაგან ძალის გამაგრების მაგიერ, გარეთ ბრძოლას და სხვათა ერთა დამონებას უნდება, და ამის სამაგიეროთ იგი სხვა ერში სიძულვილის მეტსაც არას იძენს. მამრე რას შეიცავს ეს სიძულვილი და მტრობა. ამათ აკლებას, დაცემას და ანიავებას. უმთავრესად ამ თხზულებაში პრუდონი იმას თხოულობს, კონსტიტუციის თანახმად, რომ მეფესთან ერიც უნდა იღებდეს მონაწილეობას, ეს უნდა მართავდეს და პატრონობდეს ამ საქმეებსაო და თითქმის ესევე უნდა იყოს გამგე თავის ქვეყნის საქმეებისა. ეს არის უმთავრესი საჭიროება და ესევე უნდა იყოს უმთავრეს იდეალათ დემოკრატიისთვისო. ყოველმა სახელმწიფო მართველობამ უნდა იცოდეს რომ მას კისერზე აქვს დიდი ტვირთი და მოვალეობა. ერის გამო ის თავის კერძო სარგებლობას უნდა ივიწყებდეს და საზოგადოს უნდა მისდევდესო. ამ თხზულებაშივე არის ნაპოლეონ მესამის ბიოგრაფიული ცნობებიც. ბევრი სამხედრო მოღვაწეთა ცნობებიც, სასარგებლოთ კონსტიტუციის მოპოების სასარგებლოთ ტახტის და სხვების, აქვე ირჩევა ძალიან ბევრი ცნობები და აზრები მრავალთ ფილოსოფოსთაგან წამოთქმული შესახებ კონსტიტუციის, მის მნიშვნელობის, მეფეების და სხვების. ამ წიგნშივე იხსენებს ბევრს მოღვაწე პირებს, როგორც რესპუბლიკისათვის, ისევე ნაპოლეონის ტახტისათვის. იხსენებს აგრეთვე მრავალს სხვა-და-სხვა მწერლებს

და იმათ ცნობებს, აქ სხვათა შორის ლუი ბლანის ცნობებიც მოჰყავს. ბევრი სხვა რამ საინტერესო ცნობებია ამ წიგნში მოყვანილი, როგორც ნაპოლეონის შესახებ, აგრეთვე იმ დროებათა ერის ბრძოლისა, რომელიც ხშირად ხდებოდა ტახტის მფლობელთა პატრონს საწინააღმდეგოთ და დასამცირებლად.

სხვათა შორის ამ წიგნიდამ სჩანს, რომ 1848 წლის კონსტიტუციის მოსამზადებლათ, გასარკევათ და შესადგენათ 400 დღეს მონდომიან, ამაზე დაბანდებული ყოფილა ერთობ დიდი რიცხვი ყველა დასების ერისა, მასზე დახარჯულა 2.250.000 ფრანკი, სამართველობის ხარჯს გარდა, განათების, გათბობის და სხვა-და-სხვა მაზანდებისაგან ფასების დაწევის, რაისა გამომას მოუთმენლათ ელოდენ. აქ პრუდონს მოჰყავს რამდენიმე მუხლი კონსტიტუციის წესდებიდამ, რომელთაც საკმარისად დასცინის და ჰკიცხავს, რომ მიზანი და უმთავრესი საგანი კიდევ იმას შეიცავს, რომ ერთ რომელიმე პირს მიანიჭოს ისეთი უფლება და გამგეობა, რომ მის წინააღმდეგ რამის თქმა და გაბედვა აღარავის შეეძლოსო. ის კიდევ იმავე წესებს და სახელმწიფო მხარეების ძალოვნებათა წარმოადგენს, რომ ერთი პირი ბრძანდებოდეს იმპერატორივით გამგეო. ეს კონსტიტუციის დასაწყისშიც ლიტანიის მზგავსის ღაღადებით იწყება და თავდებაო:—«დიდება სამშობლოს!» მერმე კიდევ, ღვთის წინაშე, რომ საფრანგეთის წინაშე, საფრანგეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული, ერთი და გაუყოფელიო. ეს არაფერიოო, პრუდონი ამბობს—და დიდსაც არაფერს მოასწავებსო. შემდგომ ამისა მოჰყავს ოცი სხვა-და-სხვა პარაგრაფი რესპუბლიკის კონსტიტუციიდამ, რომლებითაც ბევრს რამ საფრთხილო და საყურადღებო რამეებს აშკარავებს და ამხელს, რომ ამაების მეოხებით შემდეგ ვინ იცის რა მოხდეს და რა ხიფათები განმეორდებაო. ეს წესდება უნდა ანიჭებდეს სრულს თავისუფლებას და ხმის ქონვას ყოველ ხალხს და ყოველ წოდე-

ბის საქმესო, ნამეტურ მუშას და დაბალ ერსო. ერთს ალაგს კონსტიტუციაში თამამად არის მოყვანილი, რომ რესპუბლიკა ერთია და განუყოფელიო. რა გვარი მიმართვაც უნდა მისცეს რესპუბლიკის ამ პირობებს და ეს რა შეერთებულის ერის ასოციაციას წამოადგენდეს, მაინც მას თან სდევს დიდი ნაკლულევანება, ეს ნაკლულევანება პირ-და-პირ იმას შეიცავს, რომ რესპუბლიკა ერთია და დაურღვეველიო. ამით გახარებული დემოკრატები დიდს მეცადინეობაში ვარდებიან, რადგანაც ესენი იურადულათ ერთ პირს აწიჭებენ უფლებას, რომ ის თავის გემოვნებით დაურღვეველი და განუყოფელი იყოსო. აქ უმთავრეს საჭიროებას ის შეადგენს, რომ აქ ყოველი პირი ერთგვარ თავისუფლებით ხელმძღვანელობდესო. აქ არც თემი უნდა იყოს თემზე ხმით მეტიო, თორემ აქ საქმეების უცოდინრობის მეოხებით დამკვიდრდება დედა ჭაზრები რესპუბლიკისა, ანუ უკანონო მალადობა დემოკრატისა. დემოკრატების იდეალს უნდა შეადგენდეს ის, რომ საერო საქმის გამგეთ უნდა იყოს მთელი ერი, მთელი საზოგადოება, რომ ხალხი იყოს აქ მმართველათ და ყოველი საქმის გარდაწყვეტის უფლება და მითარება ხალხს უნდა ეკუთნოდეს. როდესაც ერის გამგეობა ეკუთნის მთელს ერს, მაშინ მასში აღვიძებს საზოგადო საქმის ინტერესებიც. თორემ რაც უნდა შეერთებული იყოს რესპუბლიკა და მის წარმომადგენთ წესები, რაც უნდა ერთს ძალოვან ძალას წარმოადგენდეს ეს განუყოფელი, მაინც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ამ მხარეში არსებობენ მრავალი ქალაქები და დაბები, რომელნიც მანძილით ერთმანეთზე ერთობ მოშორებით სდგანან და მათი შეერთების ძალა და ამათ ალიარებაც რთულს რასმე შეადგენს. ჩვენი კონსტიტუციის შემდგენი კი 1789 წლიდამ მოყოლებული სულ ამაზე ზრუნავდნენ და სულ ამას ეშინოდათ, რომ თუ არ ერთობის მქონი რესპუბლიკა უამისოთ მის მორთვა საფრთხილოაო. ერთობა რასაკვირველია ძლიერ

ჩინებული საქმეა, აქ ამ ერთობის გამო ისეთი წესებიც უნდა არსებობდეს, რომ ეს ერი არავისზე მეტით არაფრით უნდა იყოს და აქ არავის პირად უფლება არ იყოს დარღვეული. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ კონსტიტუციაც არსებობს, მის განუყოფელი წესებიც და ვითომც სასარგებლო მხარეებიცო, მაგრამ იმავე დროს დამდაბლებულია ერთი ნაწილი საზოგადოებისა, ამას ხმა აქვს წართმეული, ხელიდამ ძალა და დამონებულია იმ პირის წინაშე, რომელიც კონსტიტუციის ძალოვნების მეოხებით ხელმწიფესავით გამეფებულია და თავის მოქმედების დროის განმავლობაში როგორც უნდა და სურს, ისე განაგებს და მოქმედობსო. აქ ესენი არაა საჭიროო, ყოველი ერი, ყოველი კაცი, ყოველი თემი და მხარე უნდა სარგებლობდეს სრულის თავისუფლებითო, აქ ეს წინააღმდეგია კონსტიტუციის სარგებლობის გამო ფიცის მიცემაზე, წინააღმდეგია ბევრი კიდევ ისეთი რამეების, რომელთა მოთვლა აქ ერთობ შორს წავა. აქ სხვათა შორის ეს ეხება ემილ დე ჟირარდენის შენიშვნებს, შესახებ ორჩევანების და ხმის მიცემის გამო დაბეჭდილს წერილებსა გაზეთ «პრესში», ამ წიგნებში ბევრი სხვა დიდად საინტერესო რამეებია აწერილ-აღნუსხული, სამხედრო პირთ მოქმედება, ზოგიერთ მხარეების და ძალების გამაგრება და მის მეოხებით სახელმწიფო წესები, გამგეობა, მათი ხრიკები, თავისუფალი მსჯელობით ერის მოტყუილება, დამდაბლება, ზოგიერთი მხარეების და ძალების გამგეობა და მის მეოხებით, ათას ნაირი საქმეში, ერის აქეთ იქით ტრიალი და ტახტის სიმაგრე. სანატრელია, რომ ასეთი წიგნები ჩვენს ყმაწვილებში იკითხებოდეს, აქედამ ბევრ რამის შესახებ შეიძენენ ნათელს შეხედულებას, ვრცელს ცოდნას, სახელმწიფოთა საქმეების გამგეობის მნიშვნელობას და მრავალსაც კიდევ სხვებს. ამავე წიგნში მოთავსებულია ნაპოლეონ მესამის ბიოგრაფია, რომელიც მეტად საინტერესო და შესანიშნავს აღწერას წარმოადგენს,

ვისაც უნდა რომ საფრანგეთი გაიცნოს თავის ამ ახლის ბრძოლით, ვაებით და ვაგლახებით, იმან წაიკითხოს ესა და აქედამ დაწვრილებით სცნავს ყველაფერს. ამაში აწერილია ბევრი რამ ნაპოლეონის მოქმედების, ომების, ხრიკების, ქველმოქმედების და თხზულებაებისაც-კი. სხვა-და-სხვა მწერალთ მოქმედება, მოღვაწეობა, ნაპოლეონის გამარჯვების ოსტატობა და მის შედეგი საფრანგეთის ერისთვის და მის კეთილ დღეობისთვის.

ამ მეცხრამეტე საუკუნემ ბევრს საპატიო რამეს მოუღო ბოლო, რასაც ვერ შესწვდა მის განათლების მქონე ბრჭყალები და ვერ დალეწა, მის დალეწვას მაინც მოსდო თავის რიალური კრიტიკის ძლიერი კლანჭები. ერთ ასეთ დასალეწ კითხვა საგნათ ამ საუკუნის ხეირიან მოაზრე მწერალთ კრიტიკამ ჩაიყვალა ესრეთ წოდებული კითხვა, კითხვა ხელოვნების დაარსების და მის მნიშვნელობისა საზოგადოებაში. ხელოვნება და მშვენება ძველადგანვე აღორძინდა. ხელოვნება და მხატვრობა გახდა ერთ უშესანიშნავეს კითხვად მთელის კაცობრიობისათვის, ამ საუკუნემდის მის წინაშე იდრეკდა მუხლს მთელი დუნიის ერის საუკეთესო ნაწილი, მეფე, თავადი, აზნაური, გამოჩენილი მხედარი, პოეტი, ფილოსოფოსი, მწერალი და სხვანი. ამაზე უმაღლეს პატივსაცემი სხვა არაფერი არსებობდა დედა მიწაზე. ეს იყო რაც იყო და მის მეოხებით ხელოვნებაც მხოლოდ ხელოვნებისთის არსებობდა და მისთვის იყო დანიშნული, ამისაგან გატაცებული იყვნენ მთელი ძველი დროის პოეტები და ყველა საუკეთესო პირებიო. მხოლოდ მხატვრობას და ხელოვნებას სწირავდენ თავიანთ ნიჭს, ცოდნას და პოეტურ ძალოვნებას. ჩვენ ქართველობაც ისევე კიყავით ძველათ და მთელი ჩვენი ძველი პოეტებიც ისევ იყვნენ საღერღელ აშლილი და ალფრთოვანებულნი, ეს ჩვენში დღესაც ისევ ისეა და უმეტესი ნაწილი ისევე იდრეკს მუხლს ამის წინაშე. ჩვენებიც სხვებთან ერთად შეკავშირებულნი წმინდათ ქრუხულს მდგომარეობაში

არიან ჩავარდნილნი, ესენი წმინდათ ისეთ გონების და შეხედულების გამრყვნელ მხატვრებად გადაქცეულან, რომელნიც ხშირად ისეთ ხელოვნების სურათებსაც ხატვენ, რომელნიც თავიანთ გარეგან შეხედულებით მხოლოდ გარყვნილებას წარმოადგენენ. ასეთ ხელოვნებას ხომ თვით მართველობაც სდევნის, სადევნელია ეს და უნდა იდევნებოდეს კიდეც, ესე იდევნება არამც თუ მართველ პირებისაგან, არამედ გამოჩენილ მეცნიერ კაცებთაგან, ამას ძალიან ბევრმა გამოჩენილმა პირებმა შეხედეს მკაცრად და ერთი ამ გამოჩენილ პირთაგანი არის პრუდონი, რომელმაც დასწერა ამის შესახებ ვრცელი თხზულება, ეს თხზულება საკმარისად ვრცელი წიგნია, იგი რუსულს ენაზედაც არის დაბეჭდილი 1865 წ. და ამას ეწოდება:—«**Искусство его основанія и общественное назначеніе.**» როგორც მოვიხსენეთ, ხელოვნების და მხატვრობის ბრმათ თაყვანის მცემელი მწერლები სცხოვრებენ ძველათ და სცხოვრებენ თვით დღესაც, ამ პირებმა მხატვრობა და ხელოვნება გახადეს თითქმის მთელის კაცობრიობის მეცნიერების ძალათ და რიალურს პროგრესათ, ასეთ პირთ წინააღმდეგ ყუმბარის სროლა მეთვრამეტე საუკუნოდამ იწყება, ოღონდ, ძლიერ მცირედ, ჟანჟაკ რუსსოდამ. ამ მეცხრამეტე საუკუნეში კი ამ კითხვის წინააღმდეგმა ბრძოლამ ბრწყინვალე მიმდინარეობა მიიღო, რადგანაც ერთობ ძლიერი ძალოვნების პირნი აღმოჩნდენ ამის წინააღმდეგ და ამათ დაიწყეს ისეთი რამეების ძაგება, მხილება და გმობა, რაც საუკუნოების განმავლობაში სხვა-და-სხვა პირებთაგან პატივ-ცემული იყო და სალოცავად გამხდარი. ასეთ სათაყვანებელ რამეებთა მხილველთა და გამრჩევ მწერლებმა პირველ ხანებში კი ვერ მიიქციეს თვისკენ მრავალთ ყურადღება და დროებით ესენიც მრავალთაგან დაცინებულნიც იყვნენ, მასხარათ აგდებული, უარყოფილი და სხვანი, ამათ მრავალთ მკაცრი პოლემიკაც გაუწიეს და წინ აღუდგნენ, რამაც გააჩაღა ესრეთ წოდებულ კითხვის შესახებ პოლე-

მიკა, მაგრამ როგორც სხვა ყველა მამაკვდავს არსებას ეძლევათ ბუნებრივი ხრწნილება და კვდებიან, ისევე ხელოვნებისა და მხატვრობის წინააღმდეგ აღძრულს კრიტიკის წინააღმდეგ კრიტიკას და პოლემიკას დაემართა და იგი მალე იქმნა გაცივებული, გარდაცვლილი, ანდერძ აგებული, მკვდარი, დალეწილი, უარყოფილი. ასეთის ნამოქმედარის მალოკვნებას კრიტიკული მალოკვნებისთვის ცხადი საქმეა, რომ დიდებული და უღრმესათ შესწავლილი ახალი ფილოსოფოსის მწერლის კალამი იქნებოდა საჭირო და მათ მახვილ-გონიერებით აღჭურვილი ძალა, შორს გამჭვრეტელობა, რიალური შეხედულება და დემოკრატიული მიმართულება. ერთ ასეთ უძლიერეს თხზულებათ ჩვენ მიგვაჩნია მრავალ მწერალთაგან კომუნისტათ ხმობილი პრუდონის თხზულება. პრუდონს ეს თხზულება დიდის ხნის წინეთ ჰქონია დაწერილი, მაგრამ იგი თავისი სიკვდილის დრომდის არ გაუთავებია; სიკვდილის შემდეგ ათი თავი მას გაუსწორებელი დარჩენია, რომლის შესწორება მას მიუნდვია ხუთის თვისი მეგობრისთვის. ამ მეგობრებში ურევია პრუდონის ერთი წიგნის გამომცემელთაგანი, კომუნისტი შოდე, რომელიც პრუდონის სიკვდილის მცირე ხნის შემდეგ დახვრეტილ იქმნა საფრანგეთის იმპერიის მოწინააღმდეგობის და კომუნის გამო, პრუდონის დაკვალება მისმა მეგობრებმა აღასრულეს, მისი თხზულებას გადახედეს, შეასწორეს და ბოლოს გამოსცეს კიდეც, სულ მცირე ხნის განმავლობაში ეს წიგნი ოთხჯერ გამოიცა, ამ წიგნმა დიდი ყურადღება მიიპყრო თვისკენ და ერთობ მოკლე დროის განმავლობაში იგი გათარგმნილ იქმნა ბევრს სხვა-და-სხვა ენებზე. ამ წიგნის ერთს თავში პრუდონი ამბობს: «მე ვიცი, რომ ჩემს წიგნს ბევრი გამოჩენილი პროფესორები და აკადემიკები დაეჯახებიან და დაუწყებენ კიცხვასო, მაგრამ მე ამის ფიქრი არა მაქვს, რადგანაც თუ იგინი პატარა ფხიზელის თვალით დაუკვირდებიან, მასში ბევრს რასმე ნახვენ

ჭეშმარიტსაო. მეორე ალაგას ამბობს:—„აქამდის ფრანცუზებს გვქონდა რევოლიუციის ისტორიები, სამეფოსს, სამოქალაქოს და სხვების, რაიც შეეხება მხატვრობას ჩვენ ამის აფარერი გვაქვსო, დღეიდამ ამის შესახებაც გვექნება ჩვენ ჩვენი ისტორიული განხილვაო. ერთი მწერალი სწერს: ისიც კი უნდა ვსთქვათო, ამ თხზულებაში პრუდონი თავის სრულის მოსაზრებით, ნათელის, სადის და ცხარის მადრეკილებისაგან ზოგიერთ კითხვებში სცდებაო, რაისა გამო მის წიგნს პირველ ხანში საფრანგეთის ერმა საკმარისი სიმპატია ვერ აღმოუჩინაო, მაგრამ მაინც იგი იცნეს შესანიშნავს თხზულებათაო. ამ თხზულების დაწერა პრუდონში გამოუწვევია საფრანგეთის ერთის გამოჩენილს მხატვრისაგან შექმნილს ქმნილებას. ეს შექმნილი მხატვრობა მხატვარს უნდა წარედგინა პარიჟის საზოგადო გამოფენაზე, ეს სურათი თურმე თავის გარეგან შეხედულებით ისე სასიამოვნო რამეს არ წარმოადგენდა, როგორც გასაკიცხს და საგმობს, ამას ცოტა არ იყოს, ხალხში ზოგიერთმა ყურადღება მიაქციეს, ბოლოს მართველობამაც ცუდის თვალით შეხედა და ამის გამოფენაზე გამოტანაც აეკრძალა. მართველობას ასეთ განკარგულებაზე მხატვარმა ერთობ ცუდად შეხედა, მან დაიწყო კიცხვა-საყვედურები, რომ დღეს მხატვრობას ზოგი ერთნი აღარათ აფასებენო, იგინი ამას აღარაფერს მნიშვნელობას აძლევენო. ეს პირი მკაცრად აყვედრის ერს, რომ თქვენ მხატვრობას შესაფერს პატივს არ სცემთო, თქვენ ასეთ უდიდეს რამის მიმდევარ მსწავლულ პირებსაც არაფრათ აფასებთო, ასეთი საყვედურებით მხატვარი ისე მიმართავს მთელს ერს, რომ თითქოს უმხატვრობით კაცობრიობას დიდი დანაკლისი მოუვა და ეს ამით დიდათაც იზარალებსო, როგორც თავის გონებითი წინწაწევისათვის, ისევე ეკანომიურათ და სხვების მხრითაცაო, ეს გამხდარა უმთავრეს მიზეზათ პრუ-

დონის წიგნისათვის და ეს ამის გამო ძლიერ დალაგებითაც სჯის და არჩევს ამ კითხვებს.....

პრუდონი ამბობს ხელოვნები და მხატვრები თავიანთის მოსაზრებით ყველა მხრის ხალხს ეკუთვნიან, ყველა საუკუნოებს, ყველა სარწმუნოებას და სხვა. ესენი ხატვენ ყველაფერს სამა-გლობას, რომ მით სხვათა ყურადღება მიიპყრანო. ნუ თუ ბუ-ნების მშვენიერებათა გარეგან წმინდა გამომხატველობა მხატ-ვარმა თავის გარყვნილების საშვალებას უნდა ახმაროს. ასეთის გარყვნილის იდეალიზმის ჭაზროვნების ხელოვანნი მხატვარნი ხშირად ჰკიცხვენ და ესაყვედურებიან ქვეყანას, რომ თქვენ ჩვენს მხატვრობას არაფრათ აფასებთო, მხატვრობის საყვედური მარ-ტოთ ქვეყანასა და ერს არ შეეხება. ესენი ესაყვედურებიან თურმე თვით მუსიკასაც, რადგანაც მუსიკის ხმოვანებით ბევრს კაცს ეხშობა მხატვრობის დაფასების გრძნობაო. ამის მეოხებით მხატვრობის მაღალს ხელოვნების მნიშვნელობას ველარ არჩე-ვენ უბრალოს ხმოვანებისაგანო. ამ ყოყოჩ პირებმა რაც უნდა შესამკობელის გრძნობებით მორთონ თავიანთი ესტეტიკა და მხატვრობა და ისე აცნობონ კაცს გემო ბუნების მშვენებისა, ცხადია, უამათოთაც კარგა გაარჩევს კაცი იმას, თუ რა უფრო მშვენიერია, გემოიანი და უფრო უშნო და უგემურია. მხატვრო-ბა უიდეალოთ არაფერიაო, არათ ღირსო, თუ მხატვარი თა-ვის ხელოვნებით ბუნების ზოგიერთ რამეებს დახატავს და იმას წარმოგვიდგენს, მაშინ სჯობს რომ იმან არაფერი დახა-ტოსო, რადგანაც ასეთი მხატვრობა ხელოვნების როსკიპათ შეიძლება ჩათვალოთო. ხელოვნების მეცნიერების შესწავლით მე მხატვრობაზე და ხელოვნებაზე არა ვიცი რა, მაგრამ ეს მეც ისე მიყვარს როგორც ველურს კაცს, მე ამაებს ისე უმ-ზერ, როგორც ერთ ბრწყინვალე რამეს.

მხატვრები მედიდურებით ბრძანებენ იმას, რომ ჩვენ ჩვენის იდეალიზმით მოვკალით თვით იდეალიო. იდეალი წარმოდგება

იდეისაგან, თუ ეს არა აქვს კაცს, მაშინ იდეალი რისგან უნდა წარმოსდგეს. ხელოვნება და მხატვრობა არის რაღაცა განუსაზღვრებელი, რაღაც მისტიკური — პოეზია, ეს სომ ფანტაზია არის, ვინც რა უნდა ჰქმნას და რაც უნდა სთქვას, მე მაინც იმას ვიტყვი, რომ იგი არ ემორჩილება ანალიზს, არსებობს თავისთვის, მას საზღვრებითი კანონი არა აქვს. ხელოვანი თავის მეფეა. რაც უნდა იმას დახატავს, მას ანგარიშს ვერავინ მოსთხოვს, მაშასადამე რაში უნდა მდგომარეობდეს ხელოვნების დანიშნულება და სარგებლობა. ან რა ღვაწლსა და სამსახურს უწევენ მხატვრობის და ხელოვნების არტისტები საზოგადოებას, ამაზე ბევრნი იტყვიან, მხატვრობა და ხელოვნება დამოუკიდებელია ყოველს ნაირს ბრძანებლურის მხარეებისაგანო, მხატვარი იმას შეჰქმნის, რაც მას მოსწონს, რაც მას იამება და ენატრებაო, მაგრამ ხშირად ამ მოწონებით, რომ მან თავის მხატვრობა სხვათა საღალატოთ და სავნებრათ იხმაროს, ნუ თუ მაშინაც დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს ესა? ნუ თუ, ასეთი რამეების წინააღმდეგ არავის რამე ეთქმის. საკვირველია ეს, მეტის მეტი ახირება, გაჟიუტება და დიდი შეცდომა.

უეჭველია, რომ სწორედ ესეთივე მხატვრების უფლებაებითი მხარეები გახდებოდა იმის საფუძველად, რომ მეთვრამეტე საუკუნეში თვით რუსომაც კი უარი ჰყო ასეთი მხატვრობა და ხელოვნება, მან გარყვნილებათ ჩათვალა ეს, მეც ესევე უცმერიო, ამბობს პრუდონი, ხელოვნება სხვა არაფერია გარდა სიამაყის, ოცნების, სიზარმაცის და ხეირიანათ არაფრის წარმოდგენის. ხელოვნება ბნელს და საიდუმლო რასმეს წარმოადგენს. ხელოვნები, ხელოვანი მწერლები, პოეტები და სხვანი შეადგენენ განცალკევებულს წრეს, წრეს უხეირობისას და მონებისას, რომელიც მოქმედებს საიდუმლოთ და წუნარათ. ამათ ყოველთვის უფრო ვნება მოჰქონდა, ვინემც სიკეთე და სარგე-

ბლობა, ესენი იყვნენ სრული ბრმართ თაყვანის მცემლები. ხელოვნების და მხატვრობის მიმდევარნი ერთხელ ისევე დაისჯებიან, როგორათაც სხვა რამ დამნაშავენი, ამის დასწყისი საფრანგეთში უკვე სჩანსო, ეს მიტომა, რადგანაც ესენი არიან მტერნი სწორის ფორმისა და ამრევ დამრევნი მოქალაქების ერთმანერთზედ, რადგანაც ესენი რყვნიან კაცს ზნეს, ხასიათს, ჩვეულებას. აქ ეს ყველა ხელოვან მწერლებს ჰკიცხავს, ამათში რასაკვირველია გიოტე და შექსპირიც მოჰყვებიან, თუმცა ამათ არსად ცუდათ არ მოიხსენებს, მხოლოდ ერთ ალაგას ამათ დეკლამატორებს უწოდებს. რაში გამოაყვენებ იმათ მაღალ ხელოვნურს კილოსო? გამაგებინა ისე თუ, ნეტა ხელოვანი პოეტი თავიანთი ხელოვნურის მოღვაწეობის დროს რას ეგუთვნიან? ნეტა ამ დროს მათ ესმით თავიანთი დანიშნულება, ან მან იცის ის თუ მის გარშემო რა ხდება! ის მე მიცნობს იმ დროს თუ არა, იმან ჩემი იცის რამე ცხოვრების! ეს მხატვრები ისე არიან გატაცებულნი, რომ ერთსა და იმავე ნივთს ათას ნაირად ასწერენ, ხატვენ და წარმოადგენენ ხოლმე. ჩვენ ვიცანით დედა აზრი ხელოვნების, ვიცით ისიც თუ რა მიზეზების საშვალებით წარმოსდგება ესტეტიკური შემძლებლობაო, ამაში არც იდიალიზმია და არც რიალიზმიო. პრუდონი ასე ამტკიცებს, რომ როგორათაც ხელოვნურს მხატვრობას არა აქვს კაცობრიობის წარმატებისთვის მნიშვნელობაო, ისევე მეტის მეტ ხელოვნურს პოეზიასაცო. ამის გამო იგი ერთობ ფართოს პროგრამით ეკიდება თავის საგანს დაამტკიცებს. მას თვალთ წინ აქვს გადაშლილ გაცნობილ განხილული მთელის უძველესის დროების ხელოვნების ისტორია და მნიშვნელობა, თავთავის დროის ცხოვრებაში. პრუდონის რაციონალური მეხუდულობისაგან და მსჯელობისაგან ნათლად სჩანს ის, რომ ხელოვნებას და ხელოვნურს პოეზიას არსად და არას დროს მაინცა მაინც დიდი რამ მნიშვნელობა და სარგებლობა არა

ჰქონია და მას, როგორც ბნელს რასმე კაცობრიობის პროგრესის წინ წასვლის სახსრებისთვის არაფერი დახმარება მოუცია. უნდა სთქვას კაცმა, რომ აქ პრუდონი მეტის მეტი პატრიოსნურად სჯის და ასეთ მიმართვას ეწინააღმდეგება. ნეტა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთ უდიდეს ხელოვნურ ნაშთებს და ნაწერებს, რომლებსაც კაცი ერთი ჩალის ფასს ვერაფერს გამოსწურავს. აქ ეს ეხება ბევრს უდიდეს ხელოვნურს ნაშთებს, რომელთა ხილვაც ხალხის ყურადღებას იზიდავსო. სოლო რა გამოდის ამ ყურადღებიდამ, ეს კაცმა არ იცის. ერთ ალაგას ამბობს: «მე მივსცემდი ლუვერის მუზეუმს, ტუილერის სასახლეს, სობოროს ღვთის მშობლისას და მათთან ვანდომონის კოლონას, რომ მე მქონიყო მხოლოდ ერთი პატარა სადგური, გაკეთებული ჩემს გემოვნებაზედ». სხვათა შორის ერთ ალაგს ეს ფრანცუზების საყვარელ ლექს მარსელიოზასაც უარს ჰყოფს, თავის ხელოვნების გამო:— «ეს ლექსი რაღაცა რეტორიული ამპლიფიკაცია არისო, **въ родѣ словоизверженія Верно ими робеспьера.**» ამ ლექსს დიდათ ამჯობინებს 1848 წ. მუშა-ხალხის სიმღერას, თუმცა მარსელიოზას პრუდონი ასე ეხება აქ, მაგრამ მეორე თავის თხზულებაში ამის დამწერის რუჟე-დელილის ძეგლის დადგმის გამო ძლიერ ემადლიერება საფრანგეთის ერს. ერთ ალაგს ამბობს: ძეგლების და სურათების მნიშვნელობას არ უარს ვყოფ, მე თვით დავიწყობ ჩემს ოთახში ძეგლებს და სურათებს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს იყოს ან იუპიტერის, ან ნაპოლეონის, ანუ ისეთის ქვეყნების, რომელიც ჩემს თვალს არ უნახავს. ეს სურათები იქმნება ნახირის, ძროხების, პურის მკის, ლეწვის და სხვებისო. მე მათ მნიშვნელობას არ უარვყოფ, მაგრამ არც ცაში ავაფრენ მათსავებო. ერთ მხატვარსაც ვერ ვხედავ, რომ მათ ჩვენ საყურადღებოთ რამე დაეხატოთ და ან ხატავდნენო, დახატონ სარელიგიო გარდმოცემა, თქმულება, რწმუნება, მოთხრო-

ბა, დანტონი, მარტი და სხვანი თავიანთს გაყინულს სარდაფებში მდგარნი. ამათ ნაცვლათ ესენი ხატავენ ვინ იცის რას, ამით ესენი არიან კლასიკურის მიმართულების მონები, ფანტასტიკურის, კეპრულის, საშუალ საუკუნოების, მონურის წესების დამორჩილების. წიგნის დასკვნებში პრუდონი ეხება ხელოვნურს წერის წესს, ეს თითქმის პროგრამას აძლევს იმის შესახებ, თუ ხელოვნებმა როგორ უნდა ასრულონ თავიანთი მოვალეობა, როგორის იდეით და როგორის რაციონალურის მიმოხვრის მორჩილებით. უმატებს: დღეს განა ხეირიანს იდეას ემორჩილება ვინმე და ცდილობს მის განვითარებას? დღევანდელი ერის პროგრესიული და რაციონალური იდეია მუსიკის და მის მზგავს ხმების შესმენას შეიცავსო. ეს თითქმის დილეტანტებათ სთვლის სუ უველა უკიდურეს ხელოვან პოეტებს. ეს დიდათ აყვედრის იმათ. ერთს დროისთვის ამათი ლექსები მხოლოთ არხეოლოგიურ განძათ გადაკეთდებიან და სხვა სიკეთეს არას მოიტანენო. პრუდონის ასეთის შენიშვნების მიზეზებს ზოგიერთი მწერლები იმით ხსნიან, რომ მთელი საფრანგეთი სავსე იყოვო ასეთის მწერლებით და მათი ნაწერებიც ისე არაფერს ეხმარებოდა, როგორც გარყვნილებასო. პრუდონს ეს თავის ქვეყნის საძაგელი მწერლები ჰყვანდა სახეში აღებულიო, თორემ პირველ ხარისხის ხელოვან პოეტებს რას ემართლებაო, თუნდ ისეთებს, როგორიც შექსპირი და ნამეტურ გიოტეი, რომელმაც თავის ხელოვნურ მოღვაწეობას ყოველნაირი მეცნიერებაც კი შეუერთაო, რადგანაც ამ გენიოსმა და ბუნების ყოველი საიდუმლოს მცოდნემ ყველა მეცნიერება კარგათ იცოდაო. მეორე სწერს, რომ პრუდონს არ დასცალდა, თორემ ამ წიგნს შემდეგ შეასწორებდა და სხვა ნაირად გადააკეთებდაო.

ამ წიგნს რუსეთში დიდი პატივის მცემელნი აღმოუჩნდნენ, მთელი «რუსკი სლოვოს» თანამშრომლები ამ გზას ადგნენ. პისარევი, ზაიცევი, სოკოლოვი და მრავალნიც სხვანი, ამათზე

წინეთ ჩერნიშევსკი და ენით მოუთვლელნი. ამათ წინააღმდეგ იღვწოდნენ მთელი სლავიანოფილები და სხვა-და-სხვა დასის მიმდევარი მწერლები. ნამეტურ ესენი ააყაყანა პისარევის წერილებმა პუშკინის შესახებ. რაკი ამის შესახებ საუბარი აქ არ გვინდა, ამიტომ ასე მოკლეთ მოვიხსენეთ, ესეც კმარა იმის შესახებ, რომ ვიცოდეთ თუ რუსეთში როგორ უმზერდენ ამას, ამას როგორც პატივის მცემელნი აღმოუჩნდენ აქ, ისევე მგიცხველნი და მგმობელნი. მგმობელთ რიცხვი ერთობ დიდია.

როგორც სჩანს პრუდონის სხვა-და-სხვა წერილებიდგან, ეს თურმე საკმარისად მცოდნე ყოფილა ბუნების მეცნიერების; ეს დიდათ პატივს სცემდა დარვინს, ამის სახელს ყოველთვის დიდის დიდებით და პატივის ცემით იხსენიებდა, ასევე დიდის პატივით მოიხსენებს პრუდონი ერთს თავის წერილში, რომელიც ბელგიიდამ მას ერთის თავის მეგობრისთვის გამოუგზავნია..! ამის შემდეგ ჩვენ შევეხებით ერთს მის წიგნს. რომელი წიგნის დედა ჭაზრი და პლანი პრუდონს საფრანგეთში ჩანერგვია, მაგრამ მისი წერა მხოლოდ ბელგიაში მოასერხა, იქ დაიწყო, იქ მოათავა და იქ ყოფნის დროსვე დაიწყო ბეჭდვა. ეს წიგნი არის დიდის ალიაქოთის ამტეხი «ВОИНА И МИРЪ» პრუდონის წერილებიდამ სჩანს, რომ მას ამ წიგნის წერა დაუწყია 1859 წლის წინეთ, წინასიტყვაობას კი ბოლოზედ 1861 წელი უზის. ეს დიდს ნაღვლიანობაში ყოფილა ჩავარდნილი მის გამო, რომ იგი განდევნილი ყოფილა სამშობლოდამ. ეს წინა-სიტყვაობაში ბოდიშს იხდის თავის თანამემამულეთ წინაშე, ამ წიგნის მირთმევის გამო. ეს დიდის დავალებით ავალებს მათ, რომ ვიდრე წიგნს არ წაიკითხავთ და საგანს არ გაიცნობთ, მინამდის ჩემზე მსჯელობა და კიცხვა არ დაიწყოთო. ამ წიგნის გამოცემის გამო ამბობს იგი: «სამწუხაროა იმ კაცის მდგომარეობა, რომელმაც თავის სიცოცხლე და მოქმედება წაგებულ საქმეს შესწირაო.» აქ იგულისხმება 1848 წ. პრუდო-

ნის მოღვაწეობა, 1851 წ. დაბნელება, შემდეგ წლების მო-
ღვაწეობა და ბოლოს სამშობლოდამ გაქცევა. ასეთ საქმეთა
წაგებულს მოსამსახურე პირთ აღარსად აძლევენ ადგილს, შესა-
ფერს ღირსებას, ყველგან ეჭვით და მიუნდობლათ უცქერიან.
ასეთმა პირმა რაც უნდა უმანკო წიგნი დასწეროს, უვნებელის
შინაარსის ყველა თანამედროვე წეს წყობილებასთან, მას მაინც
მრუდეს თვალით უცქერიან და ვერ ენდობიან, წიგნიდამ სჩანს,
რომ პრუდონი მეტის მეტი გულ ამოსკვნილი ყოფილა თავის
ბედზე, მას მწარე მოგონებათ ჰქონია 1848 წ. წაგებული საქ-
მის მოგონება. ეს თითქმის ცრემლის დენით იგონებს ყველა
თავის წასულ დროთა ამბებს და თანამემამულეთ ქვეყნის თა-
ნაგრძნობას და უთანაგრძნობას. ამ წიგნის გამოცემას ყველა უნ-
დოს თვალით მიჰგებებია, ერთ გამომცემელს უკისრნია ეს,
მაგრამ ამასაც რაღაც ეჭვი აუღია და მის მეოხებით პრუდო-
ნისთვის პირობა ჩამოურთმევია, რომ მაგ წიგნს გამოვსცემ მე,
თუ წიგნში იურისპრუდენციის წინააღმდეგი არ იქმნებაო. ბო-
ლოს ამან და სხვა გამომცემლებმაც უარი ჰყვეს მის გამოცემა,
რადგანაც მას ხედავდენ სახელმწიფო წესების წინააღმდეგ და
ეკკლესიის, ის კი არ იცოდნენ თუ ამაში ამაების წინააღმდეგ
იყო რამე თუ არა, ამათ მარტოთ წიგნის სათაური აფიქ-
რებდათ.

პრუდონის აზრით ომი, ანუ ღონე, ყოველთვის დიდს
საჭიროებას შეადგენს ყველა კაცისთვის, უამისოთ ყოვლად
შეუძლებელია, რომ რომელიმე პირი წინ წავიდეს თავის შინა-
გან და გარეგან ყოველს ნაირის ცხოვრების და პროგრესითო.
თუ უძლიერესი ძალა არ იქნება და ამ უძლიერესის ძლიერების
მეოხებით ხალხთა შორის თავისუფალი მშვიდობიანობა არ არ-
სებობს და არ იქნება დაცული, მაშინ უამისოთ ყრი ერს შეს-
ჭამს და მიწაზე გააქრობსო, საზოგადოების ყოველ ნაირი ძა-
ლა და წინ მსვლელობა ამ ძლიერებაზედ არის განსვენებულიო.

ეს ომს არ უარ ჰყოფს, მხოლოდ მას მონარხიული ძალადობის და მიმართვის კი ნურაფერი იქმნებაო. საგანი და საქმე საზოგადოებისა და საზოგადოს შეადგენდესო. ვითომც ომიანობას კაცობრიობისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდეს, ვითომც ეს აძლევს კაცობრიობას საუბრის კრიტიკას მასალისას, ვითომც ომიანობის გავლენა ისეთია მთელს კაცობრიობაში, რომელსაც საკმარისი დიდი სარგებლობაც მოაქვს. ვითომც ომიანობის ასპარეზის სხივები ნერგავს კაცის გონებაში უძლიერეს მოსაზრებას და ვითომც ომის შემდეგივე ხდება მრავალი უმესანიშნავეს ნიჭიერის კაცების დაბადების მიზეზათ. ეს ამას საჭიროთ უცქერის და მას სწამს, რომ ეს საჭიროება კაცობრიობას ყოველთვის ექმნება თვის ცხოვრების მსვლელობაშიო. უნდა ვსთქვათ, რომ პრუდონის ასეთ მოსაზრებას ბევრს ალაგას მეტის მეტი მაღალი და კეთილი მხარეებიც ჰფარავს, ამ პირს, არამც თუ ომი, არამედ ერთი წვეთი სისხლიც არ ემეტება, რომ უბრალოთ დაიღვაროს, მაგრამ როცა იგი საზღვრავს სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთა გვარტომობას და ინტერესების დაცვას, სხვა-და-სხვა წოდებისაგან თავისუფლების და განსაკუთრებით დაბალი ერის, მაშინ კი იგი სულ სხვა კითხვებით ხვდება მკითხველს და სხვა ნაირათ მაჭრტავს საგნის საჭიროებას და ვითარებას. ომი, შეუძულებლათ და გაუგიცხველათ არის დიდსულოვან ხალხთა შორის, სახელმწიფო საქმეების გამო არის აუცილებელი კითხვა და უმისოთ ყოვლად შეუძლებელია მის გარდაწყვეტა. ომი, მოთხოვნილება არის, როგორც უფლების ძალის, როგორც მოთხოვნილება მფლობელის, რომელიც ეკუთვნის ძალას. აი მე რას არ ვფარავ, აი რა შეადგენს ჩემთვის კაცობრიობის იდიალს კეთილი მფლობელობისთვის და უმაღლეს სიხარულს. ვის შეუძლიან აქ რამე სთქვას დამღუპავ და მცარცველებზე. მეორე ალაგს ამბობს პრუდონი, ომი აახლებს საზოგადოებას, სულით, ჰაზრით, მან

გააღვიძა ყველა ჩვენი ძალოვნება, გაძლიერება ფილოსოფია და ხელოვნება სასარგებლო, რომ საზოგადოებას ისეთი სამსახური გაუწია, რაც არის იგი, მისი დანიშნულება ისე დიდია, რომ თუ იგი მოვაშორეთ მას, არ შეიძლება, მაშინ წარმოიდგინო რა იქმნებოდა განათლება და ან რა იქნებოდა მთელის კაცობრიობისთვის. წიგნის გამოსვლის შემდეგ მრავალნი შეეხნენ და სწერდნენ, რომ პრუდონმა ეს როგორ წარმოსთქვაო, ეს რომ სხვა ვინმეს ეთქვა, კიდევ კაიო, მაგრამ პრუდონს კი ეს არ ეპატიებაო. როგორის ცოდნითაც არ უნდა იყოს შედგენილი და წარმოთქმული მის შენიშვნები, ჩვენ მას მაინც უარს ვყოფთო. ამის უარ საყოფლად ერთი ისიც კმარა, რომ იგი ქვეყანას თავის განახლებას სისხლის ღვრით უქადის, თავის თავისუფლების დაცვას, ნაციონალურის გრძნობების და მიჯნების გამაგრებასო. ამ წინაამდეგ მწერლებში ბევრი ისეთი მწერლებიც ყოფილან, რომელნიც ბრწყინვალე კალამს ჰკუთნებიან, ამაებს პრუდონზე დიდი გავლენა მოუხდენია და ამიტომ ცოტა არ იყოს პრუდონიც დაფიქრებულა თავის შრომაზე, ეს მით უფრო, რადგანაც მას თავის წადილი ვერ აღსრულებია და საფრანგეთში წასვლის ნება არ ღირსებია. თუმცა ჟუკოვსკი კი სწერს, რომ პრუდონს პარიჟში მიეცა ნება წასვლის, წავიდა და იქ გარდაიცვალაო. ეს ბოლოს იქმნება კიდეც ნანობდა, მაგრამ რას იზამდა. ჯანს, ძალას და ომს პრუდონი დიდათ აქებს და ყოველი ერის მშვიდობიანი ცხოვრების დასაცველ იარაღათ ეს მიაჩნია, მაგრამ ეს ასე არ არის, ომი რაც უნდა კაის პირობიანი იყოს, იგი მაინც ხალხში ჰბადავს შფოთს, მტრობას და სიძულვილს. პრუდონის მოძღვრებიდამ არ გამოიჭვრიტება, რომ ვითომც ხალხთა შორის უფლება, საზოგადო თუ კერძო ანუ ეროვნული ბედნიერება მხოლოდ უდიდეს ძალოვნებათა ძალმომრეობის მეოხებით დაბადებულაო, ეს შეიძლება ასე იყოს, მაგრამ ეს რით არის საქებიო, ამბობს

ერთი იურისტი. ახირება არის ეს მეტის მეტიო. ერთის მხრიდამ ახალი ფილოსოფიური სწავლა, იურისპრუდენცია და სხვა მოძღვრებანი სრულიად უარს ჰყოფენ ჯარის შენახვას და ჯაზრის გამრყვნელათ ომიანობას ხადიანო და მეორის მხრით კი ასეთ მოძღვრებას გვასმენენ, რომ პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური კითხვების აღორძინების საქმე უ ამ ძალ მომრეობით შეუძლებელიაო. ასე გამოდის, რომ კაცობრიობა თავის კეთილ დღეობისთვის უნდა ისე იმოქმედოს, როგორც არავის შეეფერება. ეს მაინც ასე და ძველის ძველადგანვე კაცობრიობა ბრძოდა დაუცხრომელად, ბრძოდა დღე და ღამ და იგი მაინც ვერ გამოსულა თავის ველურის მდგომარეობიდან. იგი მოქმედობს მეტის მეტი უსამართლოდ და უკანონოდ, უსვინდისოთ და უნამუსოთ, პირუტყვზე უარესად მუსრავს თავის მზგავსვე კაცთა ტომებს, ძაღლებზე უარესად გლეჯვენ და ფლეთვენ თავისივე მზგავს პირებს. ამას ხომ ძაღლებიც არ ჩადიან და ერთმანეთს არ სჭამენ. საბრალო კაცობრიობას კი რა არ უქნია და რას არ ჩადის კიდევ. პრუდონი ამბობს კიდევ, რომ ომმა ბევრ ნაირი დავალება დასდო კაცობრიობას, პრუდონმა რაც უნდა ძლიერის კილოთ მორთოს თავის წერილიო და რაც უნდა მკაცრად ისაუბროს ამის შესახებ, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ ომი ომია და ჩვენ ასეც გვწამს და ასეც უცქერით მასო, ამბობს ერთი მწერალი. მეორე სწერს: კაცობრიობას დიდი იერემიასებრივი გოდების ნიჭი უნდა ჰქონდეს, რომ პრუდონის ასეთ მოძღვრებას დასტიროსო. პრუდონის თქმით, ყოველი სამართლიერი მხარეების გამგეობა მხოლოდ ომურს ძალაზეა დამოკიდებულიაო, თუ ეს ასეა და ყოველი სამართლიერი ძალა ომზეა დამოკიდებული, უსამართლობა რაღა არის, ნუ თუ უსამართლობას ეს ძალა არ აკავებს და არ ინახავს, თუ ამ შემთხვევების გამო ასეთი ძალა და წმინდა ძალა ველურ უარ ჰყოფი და საგმობი არ არის. მესამე ამბობს: ასე და ამ გვარად წარმოადგენს

პრუდონი ომის და ძალის მნიშვნელობას და სრული იმედი აქვს, რომ კაცობრიობა ოდესმე უეჭველად ამ ომის საშვალებით მიაღწევს თავის ბედნიერების უმაღლეს წერტილამდის და ეკონომიურის მხრისკენო. რომ ეს წმინდათ შეცდომა არისო. დღეს კაცობრიობა თავ გადადებით ბრძოლაშს, რომ მან თავის ბედნიერებამდისინ სისხლის დაუღვრელად და უომრათ მიაღწიოს. ეს არის აღსარება ახალის სწავლა მოძღვრების და ამასვე წარმოადგენს ჩვენი წმინდათ ხმობილი მამების სწავლა. ამის გამო პრუდონს საკმარისად ეჭვით შეხედეს—მასზე სთქვეს მხოლოდ ის, რომ იგი ეკუთვნის შესანიშნავ პუბლიცისტის დასსო, ეს სთქვეს იმ ძლიერს პირზედ, რომლის მწერლობითაც გუშინ წინ მთელი ევროპა ფეხზედ იდგა და ხმა მაღლა ღაღადებდა. პრუდონის ერთ საკიცხათ ისიც გაუხდათ ზოგიერთებს, რომ პრუდონი მოწინააღმდეგეა იურისპრუდენციურის მოძღვრების, რომელნიც ჯარსა და ომიანობას სრულებით უარს ყოფენო კაცობრიობისთვის. რუსის ერთი მწერალი ამბობს, ომს კაცობრიობისთვის არამც თუ სარგებლობა მოაქვს, არამედ ეს ველური მოქმედება ერს დიდათ ვნებს, ეს მას პროგრესის გზაზე აჩერებს, წინ ეღობება და მალე არ უშვებს იქითკენ, საითაც კაცობრიობამ ერთობ მალე უნდა მიაღწიოსო. ერთი სიტყვით, ომიანობა არამც თუ შველის, ამბობს სხვა, არამედ ეკონომიურად სცემს ერს, ზნეობითად, გარეგან, შინაგან და განათლებით. ერთი მოწინააღმდეგე ამბობს კიდევ. რომ ომი არამც თუ საჭიროა კაცობრიობისათვის, სასარგებლო და სანდომიო, არამედ ეს კაცობრიობას გონებით ამჩატებსო, ბოლოს ამხეცებს და უკანასკნელ მიწაზე განართხამს პირუტყვივითაო. რაც უნდა სარგებლობის მოტანა მოჰყვეს, მაინც ვნებაც დიდი მოჰყვებაო. უნდა ვსთქვათ, რომ პრუდონის წინააღმდეგ მალიან ბევრმა ამოიღეს ხმა. ასე უჭულმა გაიცნეს და გაიგეს პრუდონის შეხედულება ომზე. სწერენ, რომ პრუდონმა უკანასკნელი თავისი დედა ჯაზრები შეცვალა ამ წიგნის შესახე-

ბდა, მაგრამ სიკვდილის გამო ის შემცდარი და შეუსწორებელი დარჩა ისე, სადაც ის ამბობს, ვითომ ყოველი ერი თავის სიძლიერეს სხვათა სასარგებლოდ ხმარობსო, თუ ამ ერს ამ ძლიერს ძალასთან თავის ზნეობითი მხარეებიც ექმნებაო. ამის საშვალებით ამ ერს შეაქვს თავის კულტური, ზნეობითი და განათლებითი მხარეები და იგი ამ ძლიერი ძალის შემწეობით ანათლებს მრავალს სხვა-და-სხვა ასეთ ერს, რომელიც თავის პროგრესით ზემო აღნიშნულ ერთან განათლებით ერთობ დაბალა მდგარა. მაგრამ შესაწყნარისია ესაო! მიტომ, რომ ჩვენ ბევრი მაგალითები ვიცით, რომ ბევრს ძლიერ სახელმწიფოებს ის ჭაზრი ჰქონდათ სახეში, რომ მათ თავიანთის ომების და ხმლების საშვალებით სადმე ერი მონათ ჩაეგდოთ და მხოლოდ მათის შრომით ესარგებლნათ, ასეთ მაგალითებს თვით ისტორიაც გვიჩენებს. ამას გარდა ამ დროებაშიაც ბევრს ძლიერ სახელმწიფოებს ვნახავთ, რომელნიც თავიანთ დამონებულის ერისთვის სულაც არა სდომნიათ ის, რასაც პრუდონი მოუთხრობსო, ვითომც ყველა ამაების შეცვლა სდომნია პრუდონს, მაგრამ სიკვდილმა უსწრო თურმე, იგი გარდაიცვალა 19 იანვარს 1865 წ. ბელგიაში. გარდაიცვალა, როგორც სცხოვრებდა, ღარიბად, უკეთ რომ ვსთქვათ, დიდსა და წარმოუდგენს სიღატაკეში, ისეთ სიღატაკეში, რომ უკანასკნელ მას მარკის ყიდვის საშვალებაც არ ჰქონდა, რომ წერილები გაეგზავნა ხოლმე აქეთ იქითაო, მაგრამ მას თავის სიკვდილის წუთამდის შერჩა თავის ძალა, ნიჭი, საღი გონება, კრიტიკული შემძლებლობა, უღრმესი მეცადინეობა და ჭაზროვნება. ასეთი ძალოვნების პატრონი კაცი და ჭაზროვნების რეფორმატი მოკვდა ევროპის ერისათვის დიდათ შესარცხვენს გაჭირვება-შეწუხებაში.

პრუდონის ამ წიგნის კიცხვის მიზეზათ ჩვენ ისე ომის შესახები მსჯელობა არ უნდა მივიღოთ, როგორც ის, სადაც ეს ჰკიცხავს იტალიელთ შეერთების მებრძოლ გმირებს და

პატრიოტებს, ეს ამბობს, ნეტავ ამ პირებს რა სურთ იტალიისთვის, მე არ მესმის ესო, ამათ სურთ, რომ ერთს მგელს გამოგლიჯონ პირიდამ დაოსებული ხალხი და მეორეებს ჩაუგდონ ხელში. მეორებათ მას მიაჩნია სამეფო გვარეულობა. აქ ეს გარიბალდსაც კი ჰკიცხავს, მასთან მთელს იტალიელს პატრიოტებსაც, რომელნიც თავიანთის ნაციონალურის კითხვებისთვის დაუზოგავად ბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ. ეს ამბობს: ნეტა რათ გახდება ეს მხარეო, კონსტიტუციონალურათ, საიმპერიოთ, სარესპუბლიკოთ; თუ იგი ელტვის ცენტრალიზაციას და ლიბერალიზმს, ეს არ ვიცი მეო. ეს მხარე რომ ეკკლესიებისაგან განთავისუფლდეს, მაინც საეჭვოა მათი წინ წასვლაო. ამათ ბურჟუაზული და ლიბერალური პარტიაც ნამდვილი კათოლიკეაო. გარიბალდიც, როგორც ავანტიურისტი ელტვის მხოლოდ იტალიელთ შფოთების ატეხასო. ნუ თუ იტალიელნი არ უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ ნაციონალური დასის მოღვაწეთ პირნი არიან წარმომადგენი შფოთების, ამტეხნი ბურჟუების, თავად აზნაურების და ამ პატრიოტების ბრძოლას დემოკრატიული არაფერი აქვსო. ამან ხომ სასტიკი მტრები აუტეხა პრუდონს, მაგრამ ამ ჩინებულის პირის ჩინებულს მოაზრებას და შეხედულებას სულ არ მიაქციეს ყურადღება. ამის ჭაზრები იმას შეიცავდა, რომ იტალიელთ რაკი ამ დრომდის მოაღწიეს, დღეს მათთვის რაღა საჭიროა ბრძოლა იმისთვის, რომ სამღვდელოებისაგან თავი გაინთავისუფლონ და სხვა იმათ მზგავს პირს ჩაუვარდენ ხელშიო. განთავისუფლება თუ კი იქნება ამ საუკუნეში, და ისეთი თავისუფლება იქმნეს, რომ ეგი ღირდეს ამისთვის და ბრძოლისთვისო. აქედამ მკითხველი კარგათ მიხვდება იმას, თუ პრუდონს რა გვარი თავისუფლება სურდა იტალიელთა ერისთვის და ან მას როგორ უნდა ემზარა საგვარტომო პატრიოტების ბრძოლის და მოღვაწეობისთვის. პრუდონმა ეს წიგნი პირველად გამოსცა ბრიუსელში. პარიჟში

კი მის შოვნა არ იყო, რადგანაც არც ერთი მეწიგნე არ კისრულობდა იმას, რომ ეს წიგნი აკოშკაში გამოეფინათ, ეშინოდათ. აქ მას დიდათ ეწინააღმდეგებოდა ყველასაგან ცნობილი თავქარიანი ემილ დე ჟირარდენი, მაგრამ მაინც პრუდონსაც გამოუჩნდნენ პარიჟში დამცველნი და მომხრენი. მაინც ამას მთელი დასი აღუდგა წინ. ესენი ამბობდნენ, რომ პრუდონი ტყუილი დემოკრატი არისო, მწერალი ჯამაგირზე, საღმრთო კავშირზე. პრუდონმა არც ეს ლიბერალები დასტოვა უპასუხოთ. უნდა ითქვას, რომ პრუდონს მთელს თავის სიცოცხლეში ერთხელაც არავის წინაშე ნაბიჯიც არ დაუწევია უკან, მისი ცხოვრება სავსეა წარმოუდგენის მაგალითებით; მთელი ამის სიცოცხლე, ცხოვრება და მოღვაწეობა ერთ საშიშარს და საოცარს სოციალურს ბრძოლას წარმოადგენს, ბრძოლას აშკარად გამოცხადებულს, ბრძოლას მკაცრს, ბრძოლას სინდისიერს. ეს ამ ბრძოლისთვის ხშირად კარდება საპატიმროში, თვით პატარაობითვე ეჩვევა შიმშილს; ხანში შესვლის დროსაც ხშირად ეხვევა ასეთივე გაჭირება და შიმშილი, ხშირად ეს კარდება კალში, ჰყიდება ყველაფერი; ხშირად სხვა-და-სხვა კითხვების გამო ამას სწამებენ ბევრს რასმე ცუდს; კაცობრიობის მტრობას; ქვეყანას და ერს მას დიდ ჭუჭყიან კაცად აცნობებენ, ხშირად სამართალში ისეთ ჯარიმასაც ადებენ, რომ მას ამისთვის თავის შეძლებაც არ ჰყოფნის, ერთხელ თავის სამშობლოდამ სხვაგან ფეხით გაქცევაც უხდება. დევნა რამდენი, გმობა, შეწუხება და საყვედურები, მაგრამ ყველა ამების წინაშე, ეს დიდათ სახელოვანი კაცი, ამაყი აზროვნებით და მცოდნე ბევრი რამ კარგის, გულ-ამაყათ სდგას ყველას წინ. ეს არ ზოგავს ამისთვის არაფერს, შრომას, წვალებას და თვით თავის სიცოცხლესაც. ეს ხშირად ხედავს თავის ბრძოლასა და ტანჯვაში თავის თავს დამარცხებულს და წაგებულს, მაგრამ მაინც გულს არ იტეხს, იმედს არ იკარგავს; ეს ამბობს: «დაე დაეცეთ სუყველანი, დაე შეგინებულ და შელახულ იქმნეს ჩვენი

გვამი და საფლავები ჩვენ მტერთ წინაშე. არა უშავს რა, დრო მოვა, როცა შეჰკრებენ მეცნიერნი ჩვენს მეცადინეობას, შრომას და ძაფზე აღასხმენ და ჩვენის მოგონებით მრავალთ თაობას გაამხნევებენ. ეს არის ჩვენი ერთად ერთი იმედი და სასოება და ვიდრე ეს სასოება გვექნება, მანამდის ჩვენ არ შევდრკებით არავის წინაშე, ხალხის თავისუფლების და თანასწორების მოპოებისთვის ყოველთვის გულ ამაყათ გამოვალთ, როგორათაც მწერლობაში მრავალთ ძველის ძველ უკუღმართ მწერალთ საწინააღმდეგოთ კალმით ბრძოლაში, ისევე საომრო ასპარეზზე სისხლის ღვრაში და სხვაფრივ მოღვაწეობაში. ეს იმიტომ, რომ ამ ბრძოლით და მეცადინეობით ჩვენ უნდა შევსაცვალოთ ბევრი რამ უსწორ-მასწორობა და ის დიდ პატარაობა, რომელიც დღევანდლამდის კაცობრიობას კიდევ უტრიალებს თავში და ხშირათაც განისმის ხოლმე აქეთ იქით სიტყვა «დიდი და პატარა!» ეს იყო უმთავრესი მიზანი პრუდონის დაუცხრომლის და აღუწერელის ბრძოლის და ამავე მიზანში მყოფი პირი გამოესალმა თავის სიცოცხლეს და ჩვენ სამაგალითოდ დაგვიტოვა თავის თავ-გამოდებული მოღვაწეობა, კაცობრიობის და თანასწორობის სიყვარული, რომელიც წარწერილია პრუდონის მზგავს გამოჩენილ პირთაგან აღმართულს თავისუფლების, თანასწორობის და მეცნიერების დროშაზე.

ფ. ჯ.

---

15 გვერდზედ, სრულიად გამოტოვებულია შემდეგი პირველი სტრიქონი:

1839 წ. მომხდარა ათას თოთხმეტი გაკოტრება

მზადდება დასაბეჭდათ:

# ქართული მწერლობა

## მეცხრამეტე საუკუნეში.

საქართველოს რუსეთთან შეკავშირების შემდეგი დრო, ქართული მწერლები რუსეთსა და საქართველოში 1802 წლის შემდეგიდამ 1820 წლამდის. 1821 წ. პირველი ქართული გაზეთი. 1824 წ. მეორე ქართული გაზეთი. 1827 წ. მესამე ქართული გაზეთი, მათი რედაქტორები და სხვა-და სხვა ქართველი მწერლები საქართველოში და რუსეთში მყოფნი.—1832 წ. დოდაევისაგან გამოცემული გაზეთ-ჟურნალი და იმ დროის ქართველი მწერლები. შემდეგი დრო. 1846 წ. გამოსული ქართული ოფიციალური გაზეთი. ალექ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილი, გ. ერისთავი, რაფიელ ერისთავი, პ. იოსელიანი, ბროსე, ჩუბინოვი, დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე, ბერძენოვი, ალ. ორბელიანი. 1852 წ. «ცისკრის» დაარსება და თეატრის, მათი დახურვა და იმ დროის მწერლები. 1857 წ. «ცისკრის» განახლება, კერესელიძე, მესხიევი, რჩეულოვი, არდაზიანი, ჭონქაძე, ჩიქოვანი და ამ დროის მწერლები. 1863 წ. «საქართველოს მოამბის» დაარსება ბ. ილ, ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე. პ. უმიკაშვილი. 1864 წ. «მახარებლის» დაარსება. 1866 წ. «დროების» გ. წერეთელი, სერგეი მესხი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ინაშვილი 1868 წ. «სასოფლო გაზეთის» დაარსება. 1869 წ. «მნათობის.» 1871 წ. «კრებულის.» 1874 «გუთნის დედის.» განახლება. 1877 წ. «ივერიის» გამოცემა. 1881 «იმედის» 1883 წ. ბიბლიოტეკის და 1885 «ნობათის» ამავ წელში «დროების» დახურვა. ქუთაისში გაზ. «შრომის» დაწყება. მიმოხილვა, მოამბე, არე, გზა, კანდელი, 1885 წ. «თეატრი» «მწყემსი» «ცისკრის» განახლება. «მეურნეს» დაარსება.

305
Ж 551

ყველა ამ გამოცემათა რედაქტორები, თანამშრომლები, ერთმანეთთან დამოკიდებულება, პოლემიკა, კრიტიკა, მიმართულება, ბიოგრაფიული ცნობები, მათი განვითარება და სხვანი და სხვანი.

## II

დავითაშვილი, ცახელი, ზაყელი, ბაჩანა, ვაჟა-ფშაველა, მკ. ბაბაშვილი, ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, ა. ყაზბეგი, ნ. ხიზანაშვილი, გოგებაშვილი, სხვა-და-სხვა პედაგოგები, მეისტორიენი, პუბლიცისტები, კომიკები, მოთხრობის მწერლები და მელექსენი. ყველა ესენი დაწვრილებით და დალაგებით არიან აღწერილნი და გაცნობილნი. ამათ გარდა აქვე აღწერილია ყველა ის ღირს შესანიშნავი ამბები, რაც კი ჩვენს მწერლობაში მომხდარა და შეეხება მას.